საქართველოს თეატრალური საზოგადოება

ნინო ჩხეიძე

მოგონებანი

გამომცემლობა „ხელოვნება“
ქართველი ხალხი

ვუძღვნი ჩემი ცხოვრების ხანგრძლივ თანამგზავრს, — მეგობარს და მეუღლეს მიხეილ ქორელს.

ავტორი.

ნუცა ჩხეიძე

შადრევანივით მჩქეფარე, სიცოცხლით და ხალისით აღსავსე მაკო საფაროვი; ჯანსაღი სიცილის უბადლო ოსტატი, სცენურ ბეწვის ხიდზე თავისუფლად მონავარდე ნატო გაბუნია; ქართული გენიის გამოვლინება, დიდი ხელოვანი ვასო აბაშიძე—აი 1879 წლის განახლებული მუდმივი ქართული დასის სამი მნათობი. ამ სამეულს 1881 წელს ემატება მოზღვავებული ტემპერამენტის მსახიობი, სცენის ჯადოქარი ლადო მესხიშვილი. ძველი ქართული თეატრის ამ ოთხ ბურჯს მხარს უმშვენებდნენ საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად წოდებულის შვილი კოტე ყიფიანი, ქართული მახვილგონიერების გამომსახველი კოტე მესხი, თეატრის საიმედო, თავდადებული გუშაგი ვალ. გუნია და მრავალი სხვა, რომელთა ნაყოფიერმა მუშაობამ ერის მნიშვნელოვანი კულტურის კერა—თეატრი გააღვივა და ააელვარა.

ამ შესანიშნავი კოლექტივის მიერ განსახიერებული სცენური სახეები თაობიდან თაობაზე გადავა, როგორც ქართული შემოქმედებითი გენიის თვალწარმტაცი თქმულება. მართლაც, ვისაც კი ბედნიერება ჰქონია ერთხელ მაინც ეხილა მაკო ახალგაზრდა ქალიშვილების და მანდილოსნების განსახიერებისას, ენახა ნატოს სას წაულმოქმედება ხნიერი ქალების როლებში, დამტკბარ

იყო ვასო აბაშიძის კომიკური სახეებით, ლადო მესხიშვილის დრამატული განცდებით, მას ვერავითარი დროთა ვითარება ვერ დაავიწყებს ამ უპკნობ ნიჭთა გამოძერწილ სახეებს.

ამ შესანიშნავ ხელოვანთა ანსამბლს როდი ეთიშებოდა ბევრი სხვა მსახიობი, მაგრამ ქალის ტრაგედიული როლების შემსრულებლები ისეთ მწვერვალებს ვერ აღწევდნენ, როგორც შეეფერებოდათ ამ ბუმბერაზთ. დრამატული როლების პირველი შემსრულებელი ბაბო ავალიშვილი დიდხანს ვერ შერჩა სცენას ავადმყოფობის გამო და ეს საუცხოო სცენური გარეგნობის მსახიობი, ვერც უტოლდებოდა თავის ბუმბერაზ პარტნიორებს. უდავოდ ნიჭიერი ეფემია მესხი კი, ოჯახური პირობების გამო, თეატრს უფრო ხშირად გასტროლიორივით ევლინებოდა. ეფემია მესხმა პირველმა განახორციელა ქართულ სცენაზე ზეინაბი („ლალატი"), ადრიანა ლეკუვრერ (ამავე სახელწოდების პიესაში), მარგარიტა გოტიე („მარგარიტა გოტიე") და მრავალი სხვა. დიდია ღვაწლი ეფემია მესხისა, როგორც ქართული თეატრის ნამდვილი ტრაგედიული მსახიობისა და ამ მხრივ მას პირველობას ვერავინ წაართმევს. მისი ეს დამსახურება მით ორკეცდება, რომ იგი პლატონ ჩხეიძის ასულის ნუცას ერთი მიმრქმელთაგანი იყო სასცენო მოღვაწეობის ასპარეზზე. 12 წლის ნუცას 1894 წელს შემთხვევით დააკისრეს „დამნაშავის ოჯახში" პატარა ემას როლი, მაგრამ ეს შემთხვევა მოულოდნელი ამბავი როდი იყო. ადრე თუ გვიან ნუცას თეატრის კარები უნდა შეეღო, როგორც მსახიობს; რამდენადაც მისი ოჯახი ახლოს იდგა თეატრთან. ნუცას დედა ევგენია ქუთაისის თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო სცენისმოყვარე იყო, ხო-

ლო უფროსი და მაშო ამ თეატრის შესამჩნევი და დიდი იმედის მომცემი ახალგაზრდა მსახიობი.

ქუთაისის დასი სახელოვანი ლადო მესხიშვილის საგასტროლოდ ემზადება. დგამენ ჯიაკომეტის „დამნაშავის ოჯახს", რომლის მთავარი როლი—კორადო, ლადოს რეპერტუარიდან ერთი დაუვიწყარი სახეთაგანი იყო. ემას როლის შემსრულებელი მაშო ჩხეიძე მძიმე ავადმყოფობამ სარეცელს მიაკრა და განკურნების იმედი აღარაა. დასის ხელმძღვანელმა კოტე მესხმა ემას როლი ნუცას დააკისრა. ნუცამ თავისი როლი ისეთი გრძნობით შეასრულა, რომ მთელი საზოგადოების აღტაცება გამოიწვია და გასტროლიორმა მესხიშვილმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ახალგაზრდა დებიუტანტს. სცენის იშვიათი ოსტატი და დიდი მასწავლებელი არ მოტყუებულა. მალე ნუცა ლადოს საუკეთესო მოწაფე და ღირსეული პარტნიორი გახდა. ეს არც გასაკვირველია. ნუცას ბუნებით უხვად ჰქონდა მონიჭებული ყველა ის თვისება, რაც ესოდენ საჭიროა მსახიობისათვის. მომხიბვლელი სცენური გარეგნობა, გულში ჩამწვდომი ხმა, ქართული სიტყვის ელვარე დიქცია, მოზღვავებული გრძნობები, მომჯადოებელი ემოციურობა და ტემპერამენტი, ნათელი გონება და საქმის სიყვარული—აი ყოველივე, რითაც უხვად იყო დაჯილდოებული ნუცა. ხილს თვალი სჭამსო,—ამბობს ჩვენი ხალხი,—და ეს ნათქვამი ყველაზე მეტად მსახიობს ეხება. თუ აქტიორი მოკლებულია სცენურ გარეგნობას, ძნელია დააჯერო მაყურებელი კვაზიმოდოს სახით მითიური აპოლონის განსახიერებაში. ნუცას კდემამოსილი სახე, ლამაზი პროფილი, გონიერი თვალები, ნათელი შუბლი და სინაზე ხელს უწყობდა მას დამაჯერებლად წარმოესახა გმირი. მაგრამ გამარჯვებისათვის მარტო სცენური გარეგნობა სა-

კმარისი როდია, თუ აქტიორი დაჯილდოებული არაა იმ მომხიბლველობით, რაც ესოდენ საჭირო არის მსახიობისათვის. შეიძლება ადამიანის სახის ყველა ნაკვთი უზადო იყოს, მთელი სხეული საუცხოოდ გამოძერწილი, მაგრამ აკლდეს საერთო მიმზიდველობა. გარეგნული სრულყოფა მხოლოდ მაშინაა, თუ სილამაზეს თან ერთვის მომხიბლველობა. ამ მხრივ ძველ ქართულ თეატრს კარგად ახსოვს ლადო მესხიშვილი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ვასილ კაჩალოვი და ბევრი სხვა, რომელთა დასახელებაც შორს წაგვიყვანს. სწორედ ამ სცენური მომხიბლველობით იყო დაჯილდოებული ნუცა, რაც სასცენო მოღვაწეობის სარბიელზე გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარი იყო.

მაგრამ სილამაზე და მომხიბლველობა მალე გაქრება, თუ იგი ჰარმონიულად არ არის შეხმატკბილებული სხვა საჭირო შინაგან თვისებებთან, მსახიობის ამ გარეგან მხარესთან ერთად ენა თუ არ მუსიკობს, ფუჭია მომხიბლველობა. ნათქვამია, ოპერის მომღერალს სამი რამ სჭირდება: ხმა, ხმა და ხმა. ეს სამი რამ დრამატული მსახიობისათვისაც მეტად საჭიროა. და ნუცას ხმა ეს იშვიათი მოვლენა იყო ქართულ სცენაზე. რამდენი სილამაზე და სინაზე იყო მის ხავერდოვანი ტემბრის, გულის საძირკვლამდე გამტან ხმაში. რა მდიდარი იყო ის ნიუანსებით, მთელი მუსიკალური გამები, მთელი მელოდიკა იშლებოდა ამ ხმაში და ატკბობდა ადამიანის ყურთასმენას. ნუცას სცენურ მომხიბლველობას ჰარმონიულად ერთვოდა მომჯადოებელი ხმა. რაც მთავარია ამ მუსიკალური, მელოდიური ხმის ყველა ბგერა, ყველა ფრაზა გარკვევით აღწევდა მაყურებლამდე და გვხიბლავდა მსახიობი თავისი დიქციით.

მაგრამ ყველა ამ თვისებას თუ არ ახლავს შინაგანი სითბო, ტემპერამენტი, სცენური გარეგნობა, მომხიბლველობა, იშვიათი ხმა, დიქცია და სწორი მეტყველება კიდევ არ არის საკმარისი ხელოვნების მბრძანებელი მწვერვალების დაპყრობისათვის. ნუცა სცენაზე ყოველთვის იწვოდა თავისი დასახული გმირის შინაგანი ცეცხლით და მისი ტემპერამენტი საჭიროებისამებრ ხან თუ აბობოქრებული ზღვის ტალღათა შეჯახებას მოგვაგონებდა, ხან ნაზი იყო, მოალერსე ვით მთის ნიავი სისხამ დილის პირზე. მაგრამ ,რაოდენ ძლიერადაც უნდა იწვოდეს გმირი შინაგანი ცეცხლით—ტრაგიკული პათოსი და მოსალბუნე ლირიზმი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის სრულყოფილი სახე შექმნა თუ მას შესისხლხორცებული, შეგნებული არ აქვს მთლიანად დასახული გმირის სულისკვეთება, თუ არ იცნობს ზუსტად იმ ეპოქას, იმ გარემოს, რომელშიაც მოქმედებს გმირი.

ნუცას მიერ განსახიერებულ როლებში ჩანდა ზემოხსენებულ თვისებებთან ერთად ნათელი გონიერება, წარმოსასახავ გმირთა ეპოქის ცოდნა—განმტკიცებული თავდადებული შრომით. ყველა ამას ერთვოდა საქმისადმი ის დიდი სიყვარული, რომელიც გამარჯვების პირველი საწინდარია. ნუცასათვის სცენა ეს მიხი წმიდათა-წმიდა იყო, მისი სული და გული, მისი საოცნებო, სანეტარო და საყვარელი კულტურის კერა. ხალხმაც სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხა და ერის სახელოვან შვილთა რიგებში მას თავისი საპატიო ადგილი მიაკუთვნა.

ხელოვანთა შორის, ყველაზე ბედნიერი აქტიორია და თანაც ყველაზე უბედური. აქტიორის შემოქმედება მაყურებლის წინაშე ხდება. მაყურებელი უშუალოდ განიცდის აქტიორის ნიჭის ზემოქმედების ძალას და ესაა

მსახიობის ბედნიერება. მაგრამ ეს შემოქმედება ფარდის ჩამოშვებისთანავე ქრება და მისი ფიქსაცია არ ხდება, თუ უშუალოდ მოწმე არა ხარ აქტიორის შემოქმედებისა. შემდეგ ვერავითარი მემუარი, პორტრეტები, რეცენზიები, ვერც ხოტბა და ვერც კილვა, რაოდენ ნიჭიერადაც უნდა იყოს დაწერილი, ოდნავაც ვერ წარმოგვიდგენს ცოცხლად იმ ხელოვანს. ესაა აქტიორის, როგორც შემოქმედის, უბედურება. დიდი მსახიობის მიერ გამოკვეთილი სახეები იმათ მეხსიერებაში რჩება, ვინც აქტიორის შემოქმედებითი პროცესის უშუალოდ მომსწრე იყო. რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, ძლიერი შთაბეჭდილება მეხსიერებიდან არ ამოიშლება და გახსენებისას ყოველთვის ცოცხლად წარმოიდგენ იმ ხელოვანს, რომელმაც სიხარულისა და სიმწრის ცრემლები გაფრქვევინა, დაგატკბო, აღგაფრთოვანა, გტანჯა და შვება მოგანიჭა. განა დროთა ვითარება დაგავიწყებს ვასო აბაშიძის ბესოს („ღალატი“) მარილიან იუმორს, მხიარულ აკოფას („ხანუმა“), მაკო საფაროვის მიერ უბრალო ვოდევილში („ადვოკატთან“) წამოთქმულ ფრაზას „მრცხვენიან ღმერთმანი“, ნატო გაბუნიას მელანიას („მელანიას ოინები“) გულიან ხითხითს, ხანუმას ოსტატობას, ლადო მესხიშვილის ლევანის „დაჰკა ლევან, მით სამშობლოს იცავ“, ურიელის გოდებას („ურიელ აკოსტა“), პავლე ორლეანიევის ოსვალდის („მოჩვენებანი“) „დედა მომეცი მზე“, მარიამ ერმოლოვას კრუჩინინას („უდანაშაულო დამნაშავენი“) „სად არის ჩემი შვილი“ და ამავე პიესაში მამონტი დალსკის ნეზნამოვის სასოწარკვეთილ ხმას „სად ხარ დედა“....ჩვენ ვიხსენებთ ამ მსახიობთა წარმოთქმულ თვითეულ ფრაზას და ყურში მათი ხმის ბგერა ახლაც კი გაისმის. ისინი ცოცხლდებიან და ამ სტრიქონების დაწერისას სიამეს გვაგრძნობინებენ. ორმოცი

წლის წინათ საკლასო მერხზე შენს გვერდით მყოფი მეგობრის სახე დაგვიწყებია, შენი კურსის ბევრი სტუდენტის აღარც სახე და არც გვარი გაგონდება და ლადო მესხიშვილის წარმოთქმული ფრაზა კი ახლაც ყურში გაისმის და ნეტარებას გაგრძნობინებს. რატომ ხდება ეს, რით აიხსნება? იმით, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება უკვდავია და დროთა ვითარება მას ვერაფერს აკლებს. ასევე არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს ნუცა ჩხეიძის ზეინაბი, მარგარიტა გოტიე, მედეა, კრუჩინინა, ფრუ ალვინგ, ვარვარა მიხაილოვნა („უბედური ნაბიჯი") და მრავალი სხვა. აქ ჩამოთვლილი როლები ყველა ერთი ღირებულების არ არის, როგორც დრამატული მასალა და ნუცას ღირსება სწორედ იმაში იყო, რომ ხშირად უბრალო როლისათვის ისე ძლიერად შთაუბერნია სული, რომ ავტორის ჩანაფიქრს გასცილებია და უფრო სრულყოფილი სახე შეუქმნია. მაგალითისათვის გავიხსენოთ კარეევის „უბედური ნაბიჯი". პიესა, გარეგნულ ეფექტებზე აგებული, თავისთავად დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. სანტიმენტალური მელოდრამული სიტუაციებით აღსავსე პიესა ნუცას მომადლებულ ნიჭს ტრაგიკულ მწვერვალებამდე აჰყავდა. პირველ სცენებში პიესის გმირის ცხოვრება ძლიერ ჰგავდა თვით მსახიობის ცხოვრებას, ისიც ნუცასავით სათნო, მოკრძალებული, ნაზი და ღარიბი ქალიშვილია. და აი, ეს სპეტაკი, მოსიყვარულე ადამიანი გაცვალეს უსულგულო, ფუქსავატ ადამიანში. ქალის სათუთი გრძნობა ფეხქვეშ გათელეს, სიყვარული შეუბღალეს. უბედურება თავს დაატყდა, საბედისწერო ნაბიჯის წინაშე დადგა. წყნარი ადამიანი ვეფხვად გადაიქცა, მოზღვავებული ტემპერამენტი ოკეანის ტალღებად წამოვა და ზღუდეთა გადალახვას ლამობს. საშინელი ფერი გადაკრავს მსახიობს. აი გაიკრა ხელი და ერთის ჩამოკვრით

ჩამოიხია შავი სადა ხალათი, გაიშიშვლა ქალწული გულ-მკერდი, თვალებით ცეცხლს აფრქვევს, გული გადმოვარ-დნაზე აქვს, ნესტორები დაებერა და სასოწარკვეთილი ხმით უძახის მეზობელ ოფიცერს, როტმისტრ ბალავინს გამო-გლეჯს ბოთლს ხელიდან, მოიყუდებს და გულშემოყრი-ლი იატაკზე გაენართხება. დარბაზი კი დატყვევებული, სულგანაბული ცრემლად იღვრება. დაეშვა ფარდა. წუ-თით მდუმარებაა, მწუხარების ცრემლები თანდათან სი-ხარულის ცრემლებად შეიცვალა და ერთსულოვანი ტაშის გრიალმა მოიცვა დარბაზი. ამ ტაშით მადლობას უხდიდ-ნენ მსახიობს ესთეტიკური სიამოვნების მონიჭებისათვის, გმირის სიმართლით წარმოსახვისათვის, აღტაცებული იყვნენ თავისი ქვეყნის შვილის ესოდენი ნიჭიერებით. ნუ-ცას თამაში გვავიწყებდა პიესის ნაკლს და არარეალური სიტუაციები რეალურ ამბად გვევლინებოდა. ამაში იყო ნუცას ოსტატობა, ეს იწვევდა მაყურებლის აღტაცებას. პიესის გმირის ვარვარა მიხაილოვნას ტრაგედია ნუცა ჩხეიძის განსახიერებით მაყურებელს ატყვევებდა და ცრემლთა ნაკადს აფრქვევინებდა.

ნუცა ჩხეიძე თავისი დიდი მასწავლებლის ლადო მეს-ხიშვილის დახმარებით კარგად დაეუფლა სცენის ტექ-ნიკას, მაგრამ თუ ის თითქმის ყოველ როლში სრულ-ყოფილ სახეს ქმნიდა, ამას მარტო აქტიორული ტექ-ნიკით და გარეგნული ხერხებით კი არ აღწევდა, არა-მედ დიდი განცდით და წარმოსასახავი გმირის ორეულად გარდაქმნის მეშვეობით. გაკვრით შევეხოთ ნუცას მიერ განსახიერებულ ზოგიერთ გმირს. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ მითოლოგიური მედეა.

ბერძენთა უძველესი მითი—„არგო“ ნავით იაზონის მიერ ზღვის ტალღების გადმოლახვა და კოლხეთის სანა-პიროებიდან ოქროს ვერძის გატაცება, ბევრ დრამა-

ტურგს ხიბლავდა თავისი ტრაგიკული სიტუაციით და წარმტაცი სიუჟეტით. ბევრმა დრამატურგმა ხელი შემართა და ეს მითი სცენურ ჩარჩოებში მოაქცია. მაგრამ ევრიპიდეს, ამ ტრაგედიის პირველ ავტორს, ვერავინ ვერ გაუტოლდა და ოდნავაც ვერ მიუახლოვდა. რატომღაც ძველად თეატრები ვერ ბედავდნენ ევრიპიდეს ტრაგედიის დადგმას, იოლ გზას ირჩევდნენ და სხვადასხვა ავტორების მიერ გადამღერებულ ამბავს ჰკიდებდნენ ხელს.

ნუცა ჩხეიძემაც სუვორინისა და ბურენინის მიერ დაწერილ „მედეაში“ ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტორთა პიესა ევრიპიდეს მედეას მკრთალი ასლი იყო, ნუცამ შეძლო თავისი ბრწყინვალე ნიჭის მეოხებით მედეასათვის ორიგინალის სახე მიეცა. კოლხეთის მეფის აეტისის ასული მედეა ხომ მითოლოგიური პიროვნებაა, ზექალი. ამას კარგად გვაგრძნობინებდა მსახიობი და ამას აღწევდა ძლიერი ტემპერამენტით, წარმტაცი პათოსით და ბუნებრივობით.

გატაცებულია მაყურებელი მედეას ძლიერი სიყვარულით იაზონისადმი, მოხიბლულია შვილების მოსიყვარულე დედის ხილვით. წუთიერი გამოდგა მედეას ბედნიერება. იგი უარყოფილია იაზონის მიერ. გრიგალივით თავს დაატყდა მედეას უბედურება. მითოლოგიურმა „მოირამ“ (ბედისწერამ) განწირა იგი და უნდა შთანთქას. შეკითხვაზე, ვინ ხართ თქვენ? ჩვენ უბედურნი ვართ, გაისმის მედეას სმა. და ამას ამბობდა მსახიობი, ისე ძლიერად, ისეთი ექსპრესით რომ გაგრძნობინებდა საშინელი ბედისწერის მოახლოებას. დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევს. შურისძიებით შეპყრობილი მედეა ჯადოქრად იქცა, ცეცხლს მისცა მეტოქის სასახლე, სიცოცხლე მოუსპო მას და გაიქცა თავისი შვილებით, მაგ-

რამ რწმუნდება რა, რომ ბედს ვერ გაექცევა, მითოლოგიურ ფერიასავით შემოიკრება სცენაზე თმაგაწეწილი, ბასრი დანით ხელში. ეს არის ამ დანით დაკლა თავისი ორი შვილი. რა სიტყვებს ამბობს მსახიობი ამ მომენტში არ მაგონდება, ან რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს, როცა მსახიობის მთელი არსება, მისი სახე, თვალები სიტყვებზე უკეთ მეტყველებენ. აი, უკანასკნელად ხელის აქნევა მოქანდაკისა. მსახიობმა ოდნავ შეარხია აწეულ ხელში მოღერებული დანა და თქვენ თითქოს დაინახეთ, რომ დანის წვერს მოსწყდა მედეას შვილების ალისფერი სისხლი. თავზარდამცემი წუთებია და თანაც დამატკბობელი. მსახიობი იმდენად ბუნებრივი იყო, იმდენად დამაჯერებელი და მისი პათოსი ისეთი ძლიერი, რომ საშინელების ხილვა თავზარს გცემდა, მაგრამ არ გაძრწუნებდა, არამედ გხიბლავდა თავისი სრულყოფითა და სიმართლით. ასეთსავე მწვერვალებს აღწევდა ნუცა მშობლიური ზეინაბის როლში. ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“, ავტორის მიერ ლეგენდად წოდებული, ქართველი ერის საუკეთესო ქმნილებათაგანია. ხალხს უყვარს სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი, ხალხის წიაღიდან გამოსული ანანია გლახა, მგზნებარე დათო, მხიარული ბესო; უყვარს იმიტომ, რომ ისინი ერის თავისუფლებისათვის იბრძვიან. ხალხს უყვარს დედოფალი ზეინაბიც, რომელიც მრისხანე სულეიმან-ხანის სარეცელს იზიარებს, ბოღმას გულში იკლავს და ელის იმ მომენტს, როცა აღსდგება მისი ქვეყანა და მძიმე უღელს დაამსხვრევს. რა ოსტატობით, რაოდენი სიძლიერით ახორციელებდა ნუცა ამ რთულ პიროვნებას. რა საუცხოოდ ატარებდა ნიღაბს სასახლეში ოდესღაც საქართველოს დიდი დედოფალი თამარი აწ ზეინაბად წოდებული სოლეიმანის ჰარამხანის უფროსი მხევალი.

მაგრამ აი განთავისუფლების ჟამი მოახლოვდა. ტახტის მემკვიდრე დავაჟკაცდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იწყება. მოსიყვარულე დედა შვილს გზავნის მეტეხის ასაფეთქებლად. რა სიხარულს განიცდის თამარი სანეტარო ჟამის მოახლოებისას, და ეს რა მწუხარებით შეიცვლება, როდესაც შეიტყობს, რომ მისი საიმედო დასაყრდენი, მისი ოცნება, მისი პირმშო წუთიერი ვნებათა ღელვის მსხვერპლი შეიქნა და უნებლიე მოღალატე გახდა. როგორი სიძლიერით წარმოსთქვამდა მსახიობი ზეინაბის უკანასკნელ მონოლოგს. აქ ჩანდა სამშობლოს მოსიყვარულე ქართველი ქალი, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობას დედობრივ გრძნობაზე მაღლა აყენებდა.

თუ მედეაში ნუცა გვევლინებოდა, როგორც ტრაგიკული არტისტი, თუ ამ როლში გვიპყრობდა თავისი მგზნებარე ტემპერამენტით, „მარგარიტა გოტიეში“ იგი თავისი ნიჭის სხვა მხარესაც იჩენდა. რაოდენ სიფაქიზეს, სინაზეს ააშკარავებდა მსახიობი ბურჟუაზიულ წუმპეში ჩაფლული „ცოდვილ“ მსხვერპლისას. თქმა იმისა, რომ ამ პიესაში—მსახიობი აღწევდა გარეგნულ გარდაქმნას და ალექსანდრე დიუმას მარგარიტას სახეს იძლეოდა, არ შეიძლება. გამოცდილი მაყურებლის თვალი შეამჩნევდა, რომ ნუცას მარგარიტა თავისი მანერებით, ჟესტებით არ იყო წმინდაწყლის ფრანგი ქალი, თქვენს წინაშე იდგა ადამიანი და რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. პორტრეტული მსგავსება რა შუაშია იმ დიდ განცდებთან, რასაც აღწევდა მსახიობი ამ როლის განსახიერებისას. როლის შეგრძნობა და განცდა კი ისეთ კულმინაციურ წერტილს აღწევდა, რომლის იქითაც წარმოდგენა ადამიანის გონებას არ ძალუძს.

მარგარიტა გოტიე ეს ხომ ბურჟუაზიული წყობილების მსხვერპლია. გარყვნილების მორევში გადავარდნილი მარგარიტას სხეულით ტკბება ბურჟუაზია, ხრწნის მას ზნეობრივად, ფეხქვეშ თელავს მის პიროვნებას და თანაც ზიზღით უცქერის, თითქოს მისი გარყვნილების მსხვერპლი არ იყოს ეს მშვენიერი არსება. მარგარიტას პიროვნება ორად არის გაყოფილი. ერთი მხრივ გახრწნილი, სხეულით მოვაჭრე, მეორე მხრივ სპეტაკი მოსიყვარულე არმანისა. მხახიობს უნდა მოენახა და სხვებისათვის დაენახვებინა ტალახსა და ჭუჭყში ჩავარდნილი ძვირფასი მარგალიტი. ნუცა ამას ოსტატურად ახერხებდა. იმდენ სინაზეს, იმდენ კეთილშობილებას, იმდენ სისპეტაკეს სულისას გამოფენდა, რომ მთელი თანაგრძნობა საზოგადოებისა ამ „ცოდვილის“ მხარეს იყო. სულგანაბული, მდუმარებით შეჰყურებდი ჭლექით შეპყრობილ სარეცელზე მიკრულ მარგარიტას. გრძნობდით, რომ თანდათანობით იფერფლებოდა, ქრებოდა ეს მშვენიერი ანთებული ლამპარი. სუნთქვა გეკვროდა, ისწრაფოდი მალე გაიღოს კარი, ჩქარა შემოვიდეს არმანი და მომაკვდავ მარგარიტას წუთიერი შვება აგრძნობინოს. ნეტარი წამი დადგა. აი არმანიც მოვიდა და მარგარიტა თითქოს სიცოცხლეს უბრუნდება, სასწაულთმოქმედი სიყვარული თითქოს სძლევს უძლეველ სიკვდილს. მაგრამ გაირბინა ნეტარმა წამებამ და მარგარიტას ტანჯულ სულს შვება მიეცა და ჩაქრა. ხომ გახსოვთ, რა ნეტარ წამებს ქმნის კომპოზიტორი ვერდი თავისი ლირიზმით აღსავსე მუსიკით ვიოლეტას საუკუნო განსვენების მოახლოების ჟამს „ტრავიატაში“. ამავე სიუჟეტის დრამაში მარგარიტას განსახიერებისას წარმტაცი მუსიკა არ ახლავს, მაგრამ ნინო ჩხეიძე ისეთ განწყობილებას ქმნიდა, მისი ენა ისე მუსიკობდა, მისი ფერ-

მკრთალი სახე, მისი განცდები ისეთი სათუთი ისეთ
ნაზი და ლირიზმით იყო აღსავსე, რომ მუსიკის აკომპა
ნიმენტს არ საჭიროებდა ნეტარი შთაბეჭდილებისათვის
ჩაქრა ლამპარი და არმანთან ერთად მთელი დარბაზ
ცრემლად იღვრებოდა.

თავის მოგონებაში ნუცა უბრალოდ, მოკრძალებით
აღნიშნავს, რომ თეატრი მისი წმიდათა წმიდა იყო და
ის კი მისი ერთგული მსახური. ნუცას სრული უფლება
აქვს ასეთი განცხადებისა. მან საქმითა და თავდადებუ-
ლი შრომით დაამტკიცა ეს. ვისთვის არ არის ცნობი-
ლი ძველ ქართულ თეატრს რა ჯოჯოხეთურ პირობებში
უხდებოდა მუშაობა. რეაქციის მიერ დევნილი ქართული
თეატრის მსახიობები ნახევრად მშიერნი წელებზე ფეხს
იდგამდნენ და თავის დიდ მისიას, ერის გათვითცნობი-
ერების საქმეს ემსახურებოდნენ. ყოველგვარ სუბსიდიებს
და დოტაციებს მოკლებული თეატრი იძულებული იყო
ორი-სამი რეპეტიციით მოემზადებინა პრემიერა და
გაფხეკილი სალაროს დანაკლისი შეევსო. ასეთ პირო-
ბებში ორი-სამი რეპეტიციით პიესის გვარიანად დადგმა
იოლი როდი იყო. ხშირად აქტიორებმა არამცთუ პიე-
სის ტექსტი არ იცოდნენ ზეპირად, ზოგჯერ ხეირიანად
პიესის შინაარსიც კი არ ჰქონდათ შეთვისებული. აქ
უკვე სუფლიორის უნარზე და აქტიორის იმპროვიზაციულ
ნიჭზე ამყარებდნენ იმედს. გადაფურცლეთ ძველი გა-
ზეთები და ხშირად წააწყდებით საყვედურებს ჩვენს ბუმ-
ბერაზ მსახიობთა მიმართ როლის უცოდინარობის გა-
მო. რა კოლოსალური შრომისმოყვარეობა უნდა ჰქონო-
და ნუცას, რომ ამ მხრივ მის მიმართ ასეთ საყვედუ-
რებს ერთხელაც ვერ იხილავთ. თვით ნუცა კი მოგვითხ-
რობს ერთ პატარა ამბავს, რაც შეუმჩნეველი დარჩა
მაყურებელს ნუცას დიდი ნიჭის მეოხებით. დგამდნენ

შილერის „მარიამ სტიუარტს“. პიესა ჩვეულებისამებრ სახელდახელოდ მზადდებოდა. შალვა დადიანი თარგმნის პიესას ლექსად. აი ერთი მოქმედება გადათარგმნა საჩქაროდ. მსახიობებს რეპეტიცია აქვთ. მეორე დღეს მეორე მოქმედება მოამზადეს და ასე ორ-სამ დღეში წარდგნენ ჩვენი მსახიობები საზოგადოების წინაშე. ნუცამ ვერ შესძლო როლის ზეპირად დასწავლა და თავისი სიტყვებით დაასრულა მონოლოგი. მიუხედავად ოვაციებისა მსახიობი მწუხარებით იგონებს ამ ამბავს და, ვგონებ, ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო ნუცას სასცენო ცხოვრებაში.

ნუცას კარგად ჰქონდა შეგნებული აქტიორის დიდი მოვალეობა და ამას მტკიცედ იცავდა. თუ როლი მას ძვალსა და რბილში არ გაუჯდებოდა, თუ წარმოსასახავი გმირის არსებით არ განიმსჭვალებოდა, თუ არ გადაადგილებდა ამ როლს, ისე სცენაზე არ მოგვევლინებოდა. ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდა მსახიობი თბილისის დრამატულ საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულებაში თანხმდება მხოლოდ თვეში ოთხჯერ ითამაშოს. ნუცა ასევე არ ჰკიდებს ხელს ისეთ პიესას, რომელიც მის მხატვრულ გემოვნებას არ შეეფერება. ამავე ხელშეკრულებაში იტოვებს უფლებას არ ითამაშოს ისეთ ისტორიულ პიესებში, რომლებიც მხატვრულად არ არის გამართლებული და ყალბ სიტუაციებზეა აგებული. პირდაპირ გხიბლავს ამ შემთხვევაში ნუცა ჩხეიძის პრინციპულობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ნუცას მიერ განსახიერებული როლები ნახევარი საუკუნის მანძილზე სულ ორ ასეულს ძლივს აღწევს, მაშინ როცა მისი ამხანაგების მიერ შესრულებულ როლების რიცხვი რამდენიმე ასეულია. მაგრამ ეს ორი ასეული თავისი ღირებულებით მრავალ ასეულს სჯობდა.

განა ოდესმე დაივიწყებს ადამიანი ნუცას მიერ განსახიერებულ ზეინაბს, მედეას, დეზდემონას, ნორას, კრუჩინინას, პორციას, მარგარიტა გოტიეს, ხანდაზმულობისას ფრუ ალვინგს და მრავალ სხვას?

ხელოვანისადმი სიყვარული ისეთი ძლიერია, რომ ხშირად თავბრუს გახვევს და გონიერი საზომით ვეღარა სჯი. შორს რომ არ წავიდეთ ნუცას დიდი მასწავლებელი ლადო გავიხსენოთ თავისი მოღვაწეობის ხანდაზმულობისას. იშვიათი ხმის პატრონს ლადოს სიბერისას ხმა ჩაეხლიჩა, მაგრამ ვინმეს უგრძვნია თუ არა ეს. პირიქით, ისეთი ძლიერი იყო ლადოთი გატაცება, რომ ბევრს მისი ჩახლეჩილი ხმა იდეალად მიაჩნდა და ბევრი მსახიობი ბაძავდა რა ამ ბუმბერაზს, ხმას განგებ იხლეჩდა. აქ უკვე ობიექტური საზომი მეტად ძნელია. მაგრამ არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც ხშირად ივიწყებს მზის ცხოველმყოფელ ძალას და მზეზე ლაქებს ეძებს. ასეთი წუნია ადამიანებიც კი ნუცას ნიჭის წინაშე ყოველთვის ქედს იხრიდნენ. ძველი გაზეთების ფურცლებზე ჩვენ თითქმის არ შეგვხვედრია ისეთი წერილი, რეცენზია, რომ ნუცასადმი ხოტბით არ იყოს აღსავსე. მაგრამ ნუცას შესახებ მარტო რეცენზენტები ხომ არ ბჭობენ. ნუცა ისეთი ხელოვანია, რომ როდესაც ძველ ქართულ თეატრზე ლაპარაკი ჩამოვარდება, ნუცა რომ არ გაიხსენონ, შეუძლებელია. და ეს ბუნებრივიცაა. განა ვისაც უნახავს რუსეთის თეატრის თეთრი თოლია უნიჭიერესი მსახიობი ვერა კომისარჟევსკაია „ნორაში“, მყისვე ნუცა არ გაახსენდებოდა ისეთივე წარმტაცი, როგორიც იყო კომისარჟევსკაია? ახალგაზრდობას რამდენი უძილო ღამეები გაუტარებია იმის განსჯაში, რომელი მარგალიტი უფრო ელვარებდა ამ როლში, ვერა თუ ნუცა. ამ კამათში გამოერეოდნენ ხოლმე იმ კატე-

გორიის ადამიანებიც, რომლებიც მზეზე ლაქებს დაეძებდნენ და ნუცას ტემპერამენტით აღტაცებულნი, მისი მუსიკალური ხმით დამტკბარნი გაიძახოდნენ, ჰარმონიულად შეხმატკბილებულ თამაშს თავისი სადარი მიმიკა არ ახლდაო. ჩვენ აქ საკამათოდ არ გავხდით ამ საკითხს, რამდენადაც მიმიკა, გვგონია, გამოხატულებაა იმ შინაგანი ძლიერი ცეცხლისა, რომლითაც იწვოდა ხოლმე ნუცა. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, გავიხსენოთ ნუცა ეკრანზე სულ რამდენიმე სურათში, მოვიგონოთ მის მიერ გამოკვეთილი სახეები და საკითხი მიმიკის შესახებ ამომწურავად ჩავთვალოთ.

ბევრი ვთქვით, მაგრამ განა ამოვწურეთ დასახული თემა და ნუცას პორტრეტი დავხატეთ? ასეთი თხრობა—პორტრეტს უწოდებთ მას, სილუეტს თუ მონოგრაფიას, საქმეს არ შველის და მსახიობის უკვე განვლილ შემოქმედებას სულს ვერ შთაბერავს და მას ცოცხლად ვერ წარმოგვიდგენს. დიდ შემოქმედს თავისი სადარი მემატიანე სჭირდება. უეჭველია, არა ერთი და ორი დაისახავს მიზნად კვლევის საგანი გახადოს ნუცას მოღვაწეობა და მეცნიერული ანალიზით მომავალ თაობას გააცნოს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მსახიობის შემოქმედების ის საიდუმლოება, რითაც გვხიბლავდა ნუცა ყველას. ჩვენ კი ის დაგვრჩენია, რომ დღეგრძელობა ვუსურვოთ იმ ადამიანს, ვინც სცენიდან გვასწავლიდა რა კარგია წრფელი სიყვარული, რა კარგია სამშობლოსათვის თავდადება, რა კარგია ბრძოლა თავისუფლებისათვის, რა კარგია მტერთან მტრობა, მოყვარესთან მოყვრობა და რა კარგია სიცოცხლე, თუ მას წარმართავ ისე, როგორც ეს ხალხს ესაჭიროება.

ა. ბურთიკაშვილი

თავი პირველი

ბავშვობა და პირველი ნაბიჯები

გამოვტეხილვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მქონდა ჩაწერილი ჩემი წარსულიდან, არ მინდოდა მოგონების დაწერა; აღარც ხალისი მქონდა ამისი და აღარც გული. ჩემი მეგობარი-მეუღლე მიხეილ ქორელი დღედაღამ ჩამჩიჩინებდა: „ნუცა, აიღე კალამი, ბევრი ჩაწერილი გაქვს, ბევრი რამ გახსოვს, რატომ არ გინდა გაუზიარო ახალგაზრდობას ძველი ქართული თეატრის წარსული?“ და აი ახლა, როდესაც ჩემი მეგობარი აღარ არის, ვასრულებ მის სურვილს, ვიღებ კალამს ხელში. არ ვიცი რა გამოვა. უკვე მოხუცი, გონებადაღლილი შევძლებ თუ არა მოვუთხრო ახალგაზრდობას ჩვენი ძველი თეატრის განვლილი გზა, მისი ლხენა და გაჭირვება. ბევრის მომსწრე ვარ, ბევრი რამ მინახავს, მე ხომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ თეატრის ერთი მუშაკთაგანი ვიყავი, თეატრი ხომ ჩემი შეორე ოჯახი იყო, ჩემი წმიდათა წმიდა. ძნელია მახლობელზე ლაპარაკი, საყვარელ არსებაზე წერა, მეშინია, ვაითუ გრძნობამ დამძლიოს და პირუთვნელი მემატიანე ვერ გამოვდგე. მაგრამ რამდენადაც გულწრფელად მიყვარს ჩემი სათაყვანო ხელოვნების კერა—თეატრი, შეც გულწრფელად, უბრალოდ მოგიყვებით მის ამბავს. შე ხომ მწერალი არა ვარ, რომ შევალამაზო საღებავე-

ბით ჩემი თხრობა. ერთი კი უდავოა: ყოველივე ის, რასაც მოისმენთ, ნამდვილი ამბავია, იქ არაფერია გამოგონილი.

საერთოდ ყველა მოგონებანი. უმეტეს ნაწილად, ასე იწყება: არაჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მიყვარდა თეატრი, სახლში წარმოდგენებს ვმართავდი და სხვა ამგვარი. მე ამას ვერ დავიკვეხნი. სრულიად ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი და უფრო საოჯახო საქმეები მიყვარდა. დავიბადე ქ. ქუთაისში 1881 წელს. მამაჩემი პლატონ ჩხეიძე ვექილი იყო. დედა ევგენია ქორქაშვილის ასული იმ დროის კარგი სცენისმოყვარე იყო, ეხმარებოდა კოტე მესხს ქუთაისში, თამაშობდა სახასიათო როლებს.

განსაკუთრებული სინაზით ვიგონებ მამას, მის ნაზ ალერსს, მის სიყვარულს. საკვირველი გრძნობა მქონდა მამისადმი, მიყვარდა უზომოდ და თან შიში მქონდა, რომ რამე მოუვა, თითქოს წინაგრძნობა მქონდა, რომ ადრე მოკვდებოდა. ღამე არაფრისათვის არ დავწვებოდი, სანამ მამა არ დაწვებოდა. თავზე ხელი უნდა მომესვა და მერე წავსულიყავი დასაძინებლად. ჩემი მშობლების ოთახის გვერდით ბავშვების ოთახი იყო; ყოველთვის, როცა გამოვეთხოვებოდი, მამა მეტყოდა ხოლმე—ოთახის კარები გაიხურე, შვილო. მე კი ყოველთვის ცოტა ღიას ვტოვებდი—ოთახში რომ ვინმე შევიდეს, მამას რამე დაუშაოს, გავიგო მეთქი. რატომ მქონდა ასეთი შიში, ჩემთვის გაუგებარია.

გვქონდა დედისეული მამული სოფელ ბაშში, რომლის ხშირი სტუმარი ვიყავით მე და მამაჩემი.

სოფელი ბაში ორ-სამ კილომეტრზეა სადგურ კოპიტნარიდან. დაბალი ადგილია, მაგრამ საკმაოდ ლამაზი. ჩვენ ძალიან დიდი ეზო გვქონდა ხეხილით სავსე, პატარა სახლი ორი ოთახით და აივნით. ეზოს წყალი ჩაუდიო-

ნუცა ჩხეიძის მშობლები (ევგენია და პლატონი)

და. სახლს გვერდით დიდი ბაღი ჰქონდა ვენახით და ბაღის ვაშლებით. იქვე იყო სამთვალიანი წისქვილი. წისქვილთან გაღმა-გამოღმა გაშენებული იყო ბაღი, დედისა და მამის ხელით დარგული ყვავილებით. წყალგაღმა ცხვრობდნენ ძიძა და ძიძისშვილები. როგორც კი ჩავიღოდი სოფელში, გავიქცეოდი წყლის პირად და გადავძახებდი ძიძისშვილებს: პასიკო! კალისტინე! ოო, გენაცვალოს პასიკო, გენაცვალოს კალისტინე,—შემომძახებდნენ, მოირბენდნენ, წყალში მუხლამდის ჩადგებოდნენ, ამიყვანდნენ და ისე გადამიყვანდნენ თავიანთ ეზოში. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დავდევდი ძიძისშვილებს ძროხის და ცხვრების მოსადენად და გზადაგზა მაყვალს შევექცეოდით. ხშირად ღამეც ვრჩებოდი ძიძასთან. მახსოვს მიწური ოთახი, კედლებთან ორი გრძელი ტახტი—ერთ მხარეს ქალები იძინებდნენ, მეორე მხარეს მამაკაცები. ღამე პატარა ჭრაქი ბჟუტავდა და ამ ატმოსფეროში მეძინა ტკბილი და მაგარი ძილით, როგორც კი ბავშვს შეუძლია იძინოს. დილით გემრიელად გეახლებოდით დაბალ სუფრაზე ცხელ ღომსა და ყველს.

ერთი ზაფხული მარტო გავატარე სოფელში. ფრთაშესხმული ვიყავი. დიასახლისი მე ვიყავი ოჯახში. ცხვრები გვყავდა. გაპარსეს და ჩემი ინიციატივით დავუძახე მეზობელ დედაკაცებს და ვაწეწინებდი მატყლს ლეიბისათვის, თავს დავტრიალებდი, სადილს მივართმევდი. თავისუფალ დროს მათთან ერთად ვწეწავდი მატყლს. ჩვენ, მეწისქვილე, თეძმოქცეული პავლე, ხაჭაპურებით და დაბრაწული ვარიებით მიმასპინძლდებოდა და ვიყავი განცხრომაში, ალბათ, ბავშვობიდან დამყვა დიასახლისობის ხალისი, რომ შემდეგ შევძელი თეატრის და ოჯახის შეთავსება.

ხშირად მამაჩემი ერთი დღით მიდიოდა ეტლით სოფელში და მეც თან მივყავდი. ერთი დღით წასვლა არ

შაკმაყოფილებდა და როცა მთელი კვირით წამიყვანდა, სიხარულით ვხტოდი. დილით ადრე გამაღვიძებდა ხოლმე მამა, რომ დიმენახა ცხვრის ფარა, რომელსაც მწყემსი მიერეკებოდა საბალახოდ. თითქოს გადარჩეულიაო, ყველა ცხვარი თეთრი იყო და ახლად ამოსულ მზის სხივზე მშვენიერი სანახავი. გვქონდა სახლის მოშორებით პატარა ბაღი, დამყნილი ხეხილით სავსე. ხშირად მამა-ჩემი დაუძახებდა გლეხებს ნადზე სამუშაოდ და გაემგზავრებოდა მათთან ერთად. სადილობის დროს ურმით მიგვქონდა სადილი: ფოთლებში გამოხვეული ცხელი მჭადები, ყველი, ქათმები და ღვინო. მე და ჩემი და მაშო ურემს თან გავყვებოდით თითისტარით ხელში. ვატრიალებდით თითისტარს: ძაფს ვართავდით, დიდებს ვბაძავდით. ამ ხეხილის ბაღში მახსოვს დიდი მუხა, რომლის ირგვლივ მწვანე იყო. აი ამ მწვანეზე, მუხის ჩრდილქვეშ გავშლიდით სუფრას. მამა გადასძახებდა მუშებს—აბა, სადილიო. ისინიც შემოუსხდებოდნენ. მამა შუაში ჩაჯდებოდა. ჩვენც მოვუსხდებოდით და გემრიელად ვისადილებდით. სადილის შემდეგ მუშები დაისვენებდნენ, მამა კი ხელს გადაგვხვევდა და გვიამბობდა სხვადასხვა ამბავს. მზე რომ გადაიხრებოდა, წამოვიდოდნენ ნელ-ნელა ბაასით, ჩვენ დები კი თითისტარის ტრიალით.

მახსოვს, მამამ ზემო იმერეთიდან, ჩვენი სოფლიდან, გლეხი ჩამოიყვანა ვენახის მოსავლელად. ენამახვილი იყო, ხალხური შაირები იცოდა ამ გლეხმა. ვიჯექი ვენახში, როცა ის მუშაობდა და პირზე ღიმილით შაირებს ამბობდა. სმენად ვიყავი გადაქცეული და ვთხოვდი: კიდევ, კიდევ ჩემო ოქროპირა. ისიც დაუზარებლად განაგრძობდა. ჩვენს მახლობლად მოედანი იყო, სადაც კვირადღეობით ჯარობა იმართებოდა. შეგროვდებოდნენ

გოგო-ბიქები და გაიმართებოდა ცეკვა-თამაში გარმონით და დაირით. მე და ჩემი უფროსი და მაშო გავერეოდით ახალგაზრდობაში. მოშორებით მამა იჯდა დინჯ, ხნიერ გლეხებთან და ბაასობდა.

ერთხელ შარაზე მივდივართ, თან მიგვყვება ოქროპირა. მოედანს, რომ მივუახლოვდით, დაწინაურდა, მაღალი ჯოხი გამოქრა და მოედანზე დაასო ამ სიტყვებით: რომელი ქალიც კვირას ამ ჯოხთან გაჩერდება, ჩემი ცოლი უნდა იყოსო. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა იყო, მაგრამ ბავშვები ძალიან დაგვაინტერესა და კვირას გავიქეცით მოედნისაკენ. მოვედით და ვხედავთ იმ ჯოხთან დგას იმ სოფლის თვალი გოგო, ლამაზი, შეძლებული დედ-მამის ერთადერთი ქალიშვილი. მივცვივდით მაშინვე მამას, ვუამბეთ ეს ამბავი და ვთხოვეთ: მამიკო, შენი ჭირიმე, უთხოვე ის ქალი ჩვენს ოქროპირას. მამაც ჩაფიქრდა, რატომ არ შეიძლება ეს საქმე გაკეთდესო. ოქროპირი მართალია ღარიბი კაცია, მაგრამ ძალიან მშრომელია, პატიოსანი, მეც ხელს შევუწყობ, იმ ქალს მოხუცი დედ-მამის მეტი არავინ ჰყავსო, და შეუთვალა მშობლებს. ზემო იმერეთის ხრიოკიდან ჩამოსულ ოქროპირა ღიბრაძეს ქალს როგორ მივცემდით, მაგრამ პლატონ ჩხეიძეს უარს ვერ ვეტყვითო და გაიჩარხა საქმე. თუმცა უნდა სიმართლე ითქვას, რომ ზემო იმერეთში მამაჩემის სოფელი თვრინი გაცილებით სჯობდა მდებარეობითაც და ჰავითაც ქვემო იმერეთის სოფლებს. საერთოდ განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული ჰქონდათ გლეხებს მამაჩემისადმი. კვირა დღეს მღვდელი წირვას არ დაიწყებდა, სანამ მამაჩემი არ მოვიდოდა. ხუთი წუთის შემდეგ მამა ეკლესიიდან გალავანში გამოვიდოდა, გლეხები გარს შემოეხვეოდნენ და დაიწყებოდა ბაასი საჭირბოროტო საკითხებზე.

დედაჩემის სოფელ ბაშის გარდა სხვა სოფელიც გვქონდა: ეს იყო ზემო იმერეთში ჩხეიძეების სოფელი თვრინა ზესტაფონიდან ხუთი კილომეტრით დაშორებული. ამ სოფლის ბუნება წარმტაცია; გაშენებულია მაღლობზე, ეზოები სავსეა დიდი გაშლილი ცაცხვის და მუხის ხეებით. ყოველ მოსახლეს ეზოში საუკეთესო წყაროს წყალი აქვს. სოფელში აუარებელი ხეხილი, ვენახები და ბაღებია. ჩხეიძეები, ჩემი ბიძები და ბიძაშვილები ბრგე ვაჟკაცები, ხელგაშლილნი, პურმარილის მოყვარულნი, სიტყვამოსწრებული და ენამახვილნი იყვნენ. ამ სოფელში ცხოვრობდა ბაბუაჩემის ძმა სიმონ (სოსო) ჩხეიძე,—კაცი ჭკვიანი, დარბაისელი, მშვენიერი კარმიდამოს პატრონი. მას ერთი ჩემი ბიძა-სევასტი ჩხეიძე ჰყავდა ნაშვილები. ბიძაჩემი რკინიგზაზე (სადგურის უფროსი) მსახურობდა და დაავადმყოფდა. ქუთაისში იყო ცნობილი ექიმი სამსონ თოფურია. ავადმყოფი ბიძაჩემი იმან გასინჯა და პირდაპირ მიახალა—ტუბერკულოზი გჭირსო. მერე რა ეშველება ახლა ამას,—ჰკითხა ბიძია სევასტიმ.—უნდა ჭამო კვერცხი, კარაქი, ბულიონი, რძე...—შე დალოცვილო, შენ ამბობ ტუბერკულოზი გჭირს...კვერცხით და კარაქით ხომ უფრო გავამრავლებ ბაცილებს? წიწაკა უნდა ვჭამო, რომ ის წყეული ბაცილები დავხოცოო. ასე ხუმრობაში ჩაატარა ექიმის საშინელი დიაგნოზი ბიძაჩემმა. მაშინვე სოფელში წავიდა, სუფთა ჰაერი, ახალი ქათმები, კარგი ღვინო, რძე, კვერცხი დედის ძუძუსავით შეერგო და მალე სულ გამოჯანსაღდა. ცოლი შეირთო, მისი შვილები ახლაც არიან სრულიად ჯანსაღნი; თითონ ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

ბაბუაჩემი გიორგი ჩხეიძე სოფელ ლახუნდარაში იყო დასიძებული. ეს სოფელი თვრინზე 2-3 კილომეტრითაა დაშორებული. იქაც დიდი მამული ჰქონდა. ბაბუაჩემის

ძმა დათა ჩხეიძე თავისი ლექსებით იმ სოფელში განთქმული იყო. დიდი მეგობარი იყო აკაკი წერეთლისა. აკაკიც რამდენჯერმე სწვევია სოფლად. ხშირი სტუმარი ვიყავი ამ სოფელში ბიძაჩემებისა. დილაადრიან ბიძაჩემი თოხით გავიდოდა ბაღში და მუშაობდა. მზე რომ დაადგერდა, შინ ბრუნდებოდა. სამზარეულოსთან უყვარდა, საუზმის მირთმევა, ხელში ქათმის ბარკალს დაიჭერდა, ჭინჭილით მშვენიერ ღვინოს შეექცეოდა. მეც გვერდით მომისვამდა: მოდი, ბიძია, მხარი დამიმშვენე. და აი, ერთად შეექცეოდით გაფიცხებულ მჭადს, ჭყინტლ ყველს და ახალ ქათამს, სანამ სხვებიც გაიღვიძებდნენ და დილის საერთო ჩაი იქნებოდა.

სოფელი ლახუნდარა კიდევ უფრო მაღლობზეა. გარშემო აქაც ტყე, ხეხილი და ვენახებია. იქ ცხოვრობდნენ ჩემი ბებია მელანია, ბაბუა და ბიძა თომა. ეს ყველაზე უმცროსი იყო ძმებში და ყველაზე სათნო ადამიანიც. ბებია და ბაბუა ორივე ოთხმოც წელს გადაცილებულნი იყვნენ, მაგრამ „უყმაწვილოდ“ სიტყვას არ ეტყოდნენ ერთმანეთს: გიორგი, ყმაწვილო, მელანია, ყმაწვილო. ბაბუაჩემს, მიუხედავად მოხუცებულობისა, ჭაბუკივით უბრწყინავდა თვალები.

შვიდი წლის რომ გავხდი, ეფემია მესხმა, რომელიც ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო, საზაფხულოდ წამიყვანა სოფელ რიონში, სადაც მას დედა და ძმები ჰყავდა. იქ იყრიდა თავს ზაფხულობით ყველა ნათესავი. წამიყვანა თავის დისწულ ნინო გამრეკელთან ერთად და იქ დამაწყებინა ანბანის სწავლა. ორი პატარა გოგო, მე და ნინო ერთი ხნისანი ვიყავით, დავმეგობრდით და ეს ამხანაგობა სიბერემდე გამოგვყვა.

მშვენიერი სოფელია რიონი. ძალიან სათუთად მექცეოდნენ ყველანი—ეფემია, მისი და ნინო, ნატო (კოტე

ნუცა ჩხეიძე ოჯახით

მესხის მეუღლე), კატო (ივანე მესხის მეუღლე) და მათი მოხუცი დედა მაგდანი. მეგობარი მყავს, მაგრამ უმშობლებოდ ძნელია, განსაკუთრებით უმამოდ და ხშირად ჩუმად ცრემლსა ვღვრი. მენატრება მამის გვერდით ყოფნა, მასთან საუბარი. მამას ჩვეულება ჰქონდა თავის გეგმები გადაეშალა ჩემთვის. ახლაც ნათლად მახსოვს: ფერმიხდილი ვზივარ ტახტზე, მამა კი დადის ოთახში ერთი კუთხიდან მეორემდე და მიამბობს თავის გეგმებს სოფლის შესახებ. ეს ხომ ჩემი საყვარელი საგანია. მიამბობს, თუ როგორ გაამშვენიერებს ბაღს, როგორ იმეცადინებს ჩემთან, რა არის საჭირო, რომ შევისწავლო და სხვა და სხვა. აი ყოველივე ამაზე მონატრული ვარ და ვიჩქარი ოჯახში დაბრუნებას.

გაზაფხულის დამლევს ისევ ქუთაისს ვბრუნდები და აქ ეფემია მესხი განაგრძობს ჩემთან მეცადინეობას. ამით ამოიწურა ჩემი „განათლება“. მამაჩემმა სასწავლებელში არ მიმაბარა: „ჩემი გოგო ჩემ ჭკუაზე უნდა აღვზარდოო“. ეს მას არ დასცალდა, დაავადმყოფდა, მალე გარდაიცვალა და მის გარდაცვალებასთან ერთად ჩემი სწავლაც და ჩემი ბავშვობაც დასრულდა. თუ რამ გაგვაჩნდა მამის ან დედის ქონება, ყველაფერი გაიყიდა და დავრჩით უარარაოდ. თუ რამ ცოდნა მაქვს, უნდა ვუმადლოდე იმ დიდ ბიბლიოთეკას, რომელიც ჩვენს ოჯახში იყო. სამწუხაროდ, ვკითხულობდი უსისტემოდ, ყველაფერს განურჩევლად. ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარი იყო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წიგნის კითხვის სიყვარული იმ დროს აღმეძრა.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ დედამ ვეღარ მოუარა საქმეს და ბაშის მამული ერთმა მევალემ ძალიან იაფად ჩაიგდო ხელში. გაბრაზებულმა გლეხებმა სულ აპრეს ვენახი და ხეხილი; ასე გაჩანაგებული დაახვედრეს ახალ

მეპატრონეს. დიდი ხნის განმავლობაში ამ ახალ მფლობელს არაფრით არ ეხმარებოდნენ გლეხები. ისიც გაბრაზებული იძახოდა: „რად მინდა ასეთი მამული, ვერც კაცს, ვერც ცხენს ჭიშკრამდე ვერ ვშოულობ“.

მამის სიკვდილის შემდეგ დაიწყო გაჭირვება, შიმშილი, წყურვილი.. მიუხედავად ამისა, ჩემმა უფროსმა დამ მაშომ მაინც შესძლო სწავლის დასრულება ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში.

* * *

ჩვენს ოჯახს ძალიან ახლო დამოკიდებულება ჰქონდა კოტე მესხთან, რომელმაც ქუთაისის ქართულ თეატრს საძირკველი ჩაუყარა. ქუთაისის ქართული თეატრი თითქმის კოტე მესხის ოჯახისაგან შედგებოდა: თვით კოტე—მსახიობი, რეჟისორი, მისი და ეფემია, მისი ძმები ნესტორი და დათიკო და მეუღლე ნატო. ამათთან ერთად მუშაობდა დედაჩემი ევგენია, როგორც სცენისმოყვარე. აგრეთვე მუშაობდნენ შალვა დადიანი, ვასო ბალანჩივაძე, მ. ბოლქვაძე ჯერ ისევ ხარაზოვის ძველ თეატრში. შემდეგ კი კოტე მესხმა თეატრისათვის გადააკეთა ის შენობა, რომელიც ქალაქის ბაღში ააშენეს ალექსანდრე მესამეს ჩამოსვლისათვის. ეს თეატრი ძალიან პატარა და ამავე დროს კოხტა და ლამაზი იყო. ამ თეატრში დაიწყო მუშაობა ჩემმა დამ მაშომ, რომელმაც ის იყო დაასრულა საშუალო სასწავლებელი. აი მეც 12 წლის გოგონა, წამიყვანეს თეატრში. პირველად ვნახე ა. სუმბათაშვილის პიესა „ბორკილები“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, განსაკუთრებით კი ეფემია მესხის თამაშმა, მისმა მოხდენილმა გარეგნობამ, გრძნობამ და მოწკრიალე ხმამ. იმავე ხანებში ქუთაისში ჩამოვიდა საგასტროლოდ ვლადიმერ ალექსი-

მესხიშვილი. დადგეს აკაკის „თამარ ცბიერი“. ლადო გოჩას თამაშობდა, ჩემი და მაშო—ცირას. ირგვლივ ისეთი სიხარული იყო, რომ, რა თქმა უნდა, მეც გული ამიტოკდა და ვთხოვე მაშოს თეატრში წავეყვანე. თხოვნა შემისრულეს და აი სულგანაბული ველოდები მესხიშვილის მოსვლას. გაიღო კარი და გამოჩნდა ისიც. ღმერთო, ღმერთო, რა შესახედავი იყო! ნამდვილი არწივი! მეც კი, პატარა გოგონამ, თვალები დავაჭყიტე. „ჩემო ნათლულო, შენ გენაცვალე“,-ამ სიტყვებით გამოეშურა ჩემი დისაკენ. მე რომ დამინახა, მიცნო ჩემს დასთან მიმსგავსებით, თავი ამიწია, მაკოცა და თქვა: ამას ისეთი თვალები აქვს, რომ დედასაც აჯობებს და დასაცაო. რას იგრძნობდა ჩემი პატარა გული, მკითხველი ადვილად მიხვდება. პირველად იმ საღამოს ვნახე ლადო და ახლაც, 58 წლის შემდეგ, თვალწინ მიდგას.

ამავე წლის გაზაფხულზე ლადოს ბენეფისი იყო დანიშნული. დგამდნენ ჯია-კომეტის „დამნაშავის ოჯახს“. ლადო თამაშობდა კორრადოს. ჩემს დას უნდა ეთამაშნა პატარა ქალი ემა. ჩემი და ავად გახდა პლევრიტით. ემას როლის შემსრულებელი აღარავინ იყო, და კოტე მესხი ძალიან ჩააფიქრა ამ მდგომარეობამ. ერთ მშვენიერ დღეს კოტეს მეუღლე ნატო მოვიდა ჩვენთან და დედაჩემს ეუბნება: ევგენია, ემას ამსრულებელი არავინა გვყავს, მოდი, შენი ნუცა ვათამაშოთ, მე მგონია შესძლებს თამაშს. დედაჩემს სასაცილოდ არ ეყო ეს ამბავი. კოტეც ძალიან ეჭვის თვალით უყურებდა ამას, მაგრამ ნატომ თავისი გაიტანა და მეც რეპეტიციაზე წამიყვანეს. როლი ჩავაბულბულე (უკვე ზეპირად ვიცოდი). რა თქმა უნდა ჩაბულბულება კოტეს არ მოეწონა და თვითეული სიტყვა, თვითეული ნაბიჯი მასწავლა. სხვათა შორის კოტე მეტად მკაცრი რეჟისორი იყო, მეტად ენერგიული, მო-

ძრავი, მთელი რეპეტიცია ფეხზე იდგა და ვაი იმის ბრალი, ვისაც დაავიწყდებოდა მისი გასწორებული. ჩემდა საუბედურად მეც შემეშალა ერთ ადგილას, კოტემ დაიყვირა: „დაგავიწყდა, ბოშო". ოი, რა იყო ეს ჩემთვის, რომ იცოდეთ... როგორც იყო, რეპეტიცია დავასრულე, მერე კი მოვძებნე კუთხე და მივეცი ცრემლს თავისუფლება... კოტემ გაიგო, პატარა გოგო ძალიან შეურაცხყოფილიაო, მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და, როგორც იყო, დამამშვიდა. ის იყო და ის, ეს გაკვეთილი არ დამავიწყებია. არ დამავიწყებია არასოდეს რეჟისორის ნასწავლები. მალე მესხიშვილიც ჩამოვიდა. დადგა წარმოდგენის დღე. თითქოს გუშინდელი ამბავია, ისე მახსოვს ყველაფერი. ღელავდა ქუთაისის საზოგადოება მესხიშვილის ბენეფისის მოლოდინის გამო. შიშით კანკალებდა პატარა გოგო, მისი დედა და და. მე მგონია, არა ნაკლებ ღელავდნენ ბენეფიციანტი და რეჟისორი—პატარა გოგომ არ შეგვარცხვინოსო. კაბა ეფემია მესხმა თავის კაბისაგან გადამიკეთა, გრიმიც თვითონ გამიკეთა და მითხრა, აბა ახლა, სანამ ფარდა ჩამოშვებულია, სცენა დაათვალიერე და შეეჩვიეო. გავედი სცენაზე, მაგრამ შენს მტერს მე მდგომარეობაში ჩავარდი: მთელი ტანით ავკანკალდი, კრიჭა შემეკრა, შოშიასავით ვცდილობდი პირი გამეღო, რომ ერთი სიტყვა მაინც გამომეთქვა. თავზარი დამეცა, ვიფიქრე, ვერაფერს ვეღარ ვიტყვი და რა მეშველება მეთქი. მაგრამ აიხადა ფარდა, ჩემი გამოსვლის დროც მოვიდა და თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მომხსნეს ზურგიდან: რამპა, შავი უფსკრული და ავლაპარაკდი... როგორ ვითამაშე არ ვიცი, მაგრამ ახალგაზრდობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მხურვალე ტაში მივიღე. ეს საკმარისი იყო, რომ ბავშვურ სიამაყეს გაეღვიძნა. კულისები სავსე იყო

მოსწავლე ახალგაზრდობით. მაშინ ხომ ი'მეიათად უმეტ-
ნენ მოწაფეებს თეატრში. და აი მთელი მერვე კლასი
გამოპარულიყო თეატრში. მოაგროვეს თითო შაურო-
ბით და პატარა ცხვირაწეულ გოგოს კანფეტი მომიტანეს.
ამას დაერთო კიდევ უფრო დიდი ბედნიერება: მესხი-
შვილმა და კოტე მესხმა თავზე ხელი გადამისვეს, მო-
მიალერსეს, და ჩემი ბედიც გადაწყდა—ამიერიდან
თეატრს ველარავინ მომაშორა.

შემდეგი წარმოდგენაა ალ. დიუმას „ცოდვის შვილი".
ვთამაშობ ისევ პატარა ქალს ადას. ეს პიესა უფრო
იმიტომ მოვიგონე რომ, სხვათა შორის, მაშინ პირველად
ითამაშა კოტე მარჯანიშვილმა. კოტე მარჯანიშვილი
ახლო ნათესავი იყო კოტე მესხისა. ბიძაშვილები და მო-
გვარე ნათესავები ქუთაისში ჰყავდა, ჩამოვიდა მათთან
ქუთაისში და პირველად აქ დაიწყო მუშაობა, როგორც
შსახიობმა. ძალიან მოხდენილი ახალგაზრდა იყო. რო-
გორ ითამაშა, არ მახსოვს. იმ წელიწადს ჩემი ქუთაისში
მუშაობა ხანგრძლივი არ გამოვიდა. ჩვენი თეატრი და-
იწვა და კოტე მესხი თავის ოჯახით თბილისში გაემ-
გზავრა სამუშაოდ. დარჩნენ ქუთაისის ახალგაზრდა მსა-
ხიობები უმეშვერად და შეადგინეს ამხანაგობა, რომ
რამდენიმე წარმოდგენა მაინც გაემართათ ზაფხულ-
ში. მოსალაპარაკებლად კრება დაინიშნა ჩვენს სახლში.
მახსოვს, რომ გამოვედი, სალამიც კი არავინ მომცა,
როგორც ბავშვს. მხოლოდ ერთი ქულაჯიანი თმახუ-
ჭუჭა ახალგაზრდა ადგა, მომესალმა და ხელიც კი ჩამო-
მართვა. ეს იყო (ქუჯი) შალვა დადიანი და ეს ახალგა-
ზრდა თმახუჭუჭა ყმაწვილი ჩემს თვალში გახდა საზლა-
პრო გმირი; თუ ამ ზრდილმა ახალგაზრდამ ყურადღე-
ბა მომაქცია, ჩანს, არც მე ვყოფილვარ სულ უმნიშვნე-
ლო. ამხანაგობა შედგა და მეც მათთან ერთად ვითამა-

ეფემია მესხი

შე რამდენიმე პიესაში. ამხანაგობაში შედიოდნენ: დე-
სპინე ივანიძე, შალვა დადიანი, გიორგი თუთბერიძე,
მიხეილ მარჯანიშვილი (მოკარნახე), მიხეილ ჯანოევი
(ნემო), ქურციკიძე, მალაქია ბოლქვაძე, დედაჩემი ევგე-
ნია და მე. სხვების გვარები აღარ მახსოვს. ამხანაგო-
ბას ხელმძღვანელობდა ვასო ბალანჩივაძე. ეს მოხდა 1894
წელს.

სრულებით ჩემთვის მოულოდნელად მომიწვიეს თბი-
ლისში, დამინიშნეს 50 მანეთი, რა თქმა უნდა, მესხიშვი-
ლის და კოტე მესხის მეოხებით. ჩემს სიხარულს საზღვა-
რი არა ჰქონდა. მომწერეს შემესწავლა ანიკოს როლი
ა. სუმბათაშვილის პიესაში „ბორკილები“.

ავბარგდით მე და დედაჩემი და გამოვემგზავრეთ თბი-
ლისში. ბინა მქონდა კ. მესხთან, სადაც თავს ისე ვგრძნო-
ბდი, როგორც ჩემს სახლში. ქართული თეატრის ბედ-
ილბალს განაგებდა დრამატული საზოგადოება თავისი
გამგეობის სახით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ:
გ. სულხანიშვილი, პ. ყიფიანი, მ. კვალიაშვილი, გ. ჟუ-
რული, ექიმი ყ. ჩიქოვანი და ივ. მაჭავარიანი. მუშაო-
ბა წარმოებდა ყოფილ არწრუნის თეატრში, რომელიც
ქართველ თავადაზნაურობას ჰქონდა შესყიდული. ეს თეა-
ტრი სასახლის ქუჩაზე იყო.

რა თანხით სარგებლობდა თეატრი? იგივე ქართველი
თავადაზნაურობა აძლევდა ცოტაოდენ სუბსიდიას ყო-
ველწლიურად. იმართებოდა საღამოებიც დრამატული
საზოგადოების სასარგებლოდ და ეს იყო თეატრის შე-
მოსავალი.

დასში იყვნენ: ნატო გაბუნია-ცაგარლისა, მაკო
საფაროვი-აბაშიძისა, ეფემია მესხი, ბაბო ავალიშვი-
ლი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ვლადი-
მერ ალექსი-მესხიშვილი, ვალერიან გუნია, კოტე მეს-
ხი, კოტე ყიფიანი, კ. შათირიშვილი. გ. გედევანიშვილი
გ. კანდელაკი და სხვები.

თავი მეორე

დებიუტი დედაქალაქის თეატრში. „ივერიის“ რეცენზია. ა. სუმბათაშვილის „ბორკილები“. ემილიას როლი „ოტელოში“. დიდ ილიასთან შეხვედრა. ილიას შეუღლე ოლღა თადეოზის ასული. ეკატერინე გაბაშვილი. გუნიას „პირველი ბუზი“. რაფიელ ერისთავის იუბილე.

გამოვტყდები, 15 წლის გოგონას ძლიერ მიხაროდა, რომ დედაქალაქის პროფესიულ მსახიობთა რიგებში მოვხვდი და ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლადომ „სამშობლოში“ ფაიხოშის როლი გადმომცა. მეორე დღესვე მთელი როლი ზეპირად ვიცოდი. რეპეტიციამდე დიდ დახმარებას მიწევდა ჩემი პირველი მასწავლებელი კოტე მესხი, რომელსაც ამავე პიესაში ლევან ხიმშიაშვილის როლი უნდა ეთამაშნა. უნდა გენახათ, როგორ გულმოდგინედ მასწავლიდა და მიხსნიდა კოტე როლის ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას. კოტე მესხი, როგორც ჩინებული მსახიობი, ასევე დიდი პედაგოგიც იყო. კოტე მესხის მამობრივ მზრუნველობას რა დამავიწყებს. პიესას რეჟისორობდა ჩემი სათაყვანებელი დიდი ლადო. როცა სცენარიუსმა სცენაზე მიმიხმო, მღელვარებისაგან ისედაც ფერმიხდილი, სულ მთლად გაფითრებული ვიყავი. ასეთ მღელვარებას მე ყოველთვის განვიცდიდი შემდეგშიაც და მაშინ რა მდგო-

მარეობაში ვიქნებოდი ჩვენი სცენის ბუმბერაზი მსახიო-
ბების გვერდით, ადვილი წარმოსადგენია. მე არ ვიცი
როგორ დავძლიე როლი, მაგრამ კულისებში მეორე მო-
ქმედების შემდეგ ლადოს გაბრწყინებულმა სახემ, კო-
ტეს გამამხნევებელმა სიტყვებმა, ბაბო ავალიშვილის
ალერსმა მე დამამშვიდა და შემდეგ სცენაში უფრო
თამამად ვითამაშე. ჩემი არტისტული ცხოვრების მან-
ძილზე პრესაში ბევრი ხოტბა მომისმენია, საყვედურიც,
მაგრამ არც ერთ რეცენზიას ჩემზე ისე არ უმოქმედნია,
როგორც დიდი ილიას „ივერიის“ ფურცლებზე პირველ
შეფასებას. გამოვტყდები, რამდენჯერმე გადავიკითხე ის
ადგილი, რომელიც მე მეხებოდა და თითქმის ზეპირა-
დაც დავისწავლე—„ფაქიზი, უმანკო და ავადმყოფი ასუ-
ლი სპარსეთის უგულო მპყრობელისა მშვენივრად და-
გვიხატა ჩხეიძის ასულმა; ნაზი და მშვენიერი სახე, თავ-
დაპერილი მიმოხვრა და მომხიბლავი ხმა ახალგაზრდა
ქალისა, ყოველივე ასე ამკობდა სპარსეთის ყეენის ქალს
და იზიდავდა მაყურებელთა სიმპათიას არტისტი
ქალის მიმართ.

„ეჭველია ქ—ნ ჩხეიძის ასული ძვირფას და ახლად
გაშლილ ყვავილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი თეატრის
თაიგულში, რომელიც მართალი, რომ ვთქვათ, გვარია-
ნად შემჭკნარია“ („ივერია“ № 206, 26 სექტემბერი
1895 წელი).

ფაიხოშის როლის შემდეგ, ხუთი დღის გასვლისას, სა-
ხელდობრ 29 სექტემბერს ლადომ ა. სუმბათაშვილის
„ბორკილებში“ ანიას როლი გადმომცა. „ივერია“ კვლავ
გამოეხმაურა ამ სპექტაკლს და თავის 1—ლი ოქტომ-
ბრის № 209-ში ჩემს შესახებ წერდა: „ახალგაზრდა
ჩხეიძისა დიდ იმედებს იძლევა, რომ ჩინებული არტის-
ტი შეიქმნება, მაგრამ ჯერ ბევრი სწავლა სჭირდება მას-

სჭირდება სკოლა და ეს სკოლა სამწუხაროდ—კი ჩვენ სცენაზე არ მოიპოვება. ერთადერთი იმედია, რომ ისეთი გამოცდილი რეჟისორი და ჩინებული არტისტი, როგორც ალექსი-მესხიშვილია, ბევრ ყურადღებას მიაქცევს ამ ახალგაზრდა ქალს და საზოგადოების იმედებს ადვილად გაამართლებს". ჩემდა საბედნიეროდ „ივერიის" რეცენზენტის იმედები დიდმა მასწავლებელმა გაამართლა და ლადომ ისეთი მზრუნველობა გამოიჩინა ჩემდამი, როგორც ყველა თავის მოწაფეებისადმი, რომ თუ რამ გავაკეთე და სცენის საჭირო მუშაკი შევიქენი, ამაში ლადოს უნდა ვუმადლოდე. მაგრამ წინ გავრბივარ, ლადოს შესახებ ხომ ბევრჯერ მომიხდება ლაპარაკი. ძნელია სიბერის ჟამს მოგონებათა წერა და ისიც ამ დარგში გამოუცდელი ადამიანის მიერ.

ჩვენი დასი არ იყო მრავალრიცხოვანი; ნამეტნავად ქალთა პერსონალის ნაკლებლობას განიცდიდა თეატრი და ამით უნდა აიხსნას, რომ ჯერ ხუთმეტი წლის არც კი ვიყავი, როცა რეჟისორმა შექსპირის „ოტელოში" ემილიას როლი დამაკისრა. გამოუცდელმა მსახიობმა როლი ვერ დავძლიე, რაც პრესამაც აღნიშნა.

პირველ სეზონშივე, თბილისში რომ ჩამოვედი, იმავე წელს ჩამოვიდა ველიჩკო, რომელიც დაინიშნა გაზეთ „კავკაზის" რედაქტორად. ინტელიგენციამ თავის მოვალეობად ჩათვალა ამ ახლად ჩამოსული მოღვაწისათვის პატივი ეცა. ბანკეტი გაუმართეს ქართული თეატრის ფოიეში. ქართული სუფრა, ქართული ლხინი, დუდუკი, ლეკური. არ ვიცი, რატომ მეც მოვხვდი ბანკეტზე. კოტე მესხმა წამიყვანა, ალბათ იმიტომ, რომ ეჩვენებინა ჩემთვის ქართველი მოღვაწეები, ინტელიგენცია. ამ საღამოს დაესწრო ჩვენი დიდი მწერალი ილია. მახსოვს, სუფრაზე დამსვეს ილიას და ვალერიან გუნიას შუა. ისე

დარცხვენილი კიჯექი, როგორც სოფლის პატარძალი. ვერ ვბედავდი ვერც ხელის განძრევას და ვერც თავის აწევას. ალბათ ვეცოდებოდი ილიას, რომ საქმელებს მთავაზობდა ხოლმე. მე კი „გმადლობთ, ბატონო, არ მინდას“ ვიძახდი. აბა ვის ჰქონდა ჭამის თავი. „როგორ შეიძლება. ქალო, მსახიობმაც უნდა ჭამოს“,—მეუბნებოდა ილია. ვალერიან გუნია კი თავის სიტყვებით იყო გართული. მას ძალიან უყვარდა ლამაზი სიტყვების თქმა. ეხერხებოდა კიდევაც. მართალია რუსული კარგად იცოდა, მაგრამ რატომღაც არა ერთხელ მიმართა ილიას: „ბატონო ილია, მგონი ვერ ვთქვი კარგად“. „რა ქალა გადგას, შე დალოცვილო ამდენს რომ ლაპარაკობ“, —ღიმილით უპასუხა ილიამ. სხვათა შორის, ვალერიან გუნია დიდი თაყვანისმცემელი იყო ილიასი.

სამწუხაროდ, შემთხვევა არ მქონდა ილიასთან ხშირად შეხვედრისა. სამაგიეროდ ხშირად ეხვდებოდი მის მეუღლეს ოლღა თადეოზის ასულს, განსაკუთრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ყურთა სმენა არ ჰქონდა, ხშირად დადიოდა თეატრში. ძალიან უბრალო, თავაზიანი, გულთბილი ადამიანი იყო. ახალგაზრდობის წინსვლა ახარებდა, ისე შემხვდებოდა, როგორც დედა—შვილს, თავზე ხელს გადამისვამდა, მკითხავდა ამბებს: რას ვთამაშობ, რა როლები უფრო მომწონს. ახარებდა ყოველი ჩემი გამარჯვება.

დიდი მოწიწებით, დიდი სიყვარულით ვიგონებ ჩვენს ტკბილ ეკატერინე გაბაშვილს. რამდენი სითბო, რამდენი გულისხმიერება იყო მის გულში. მახსოვს, ქუთაისში საღამო გავუმართეთ. იქ ნაცნობები სცენაზე არავინ ჰყავდა. ჩამჭიდა ხელში ხელი და მითხრა: ჩემთან იყავიო; შეც

ნ. ჩხეიძე ვარვარას როლში („უბედური ნაბიჯი“)

დავდექი მისი საკარძლის უკან და მთელი საღამო არ მოვშორებივარ.

ეკატერინეს განსაკუთრებით უყვარდა ქართული თეატრი, ქართველი მსახიობები; ჯერ კიდევ ლადო მესხიშვილმა რომ ითამაშა ლევან ხიმშიაშვილი „სამშობლოში“ დაიბეჭდა მისი აღფრთოვანებული რეცენზია მესხიშვილის შესახებ. ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა ეს სიყვარული თეატრის და მისი მუშაკების. მათ რიცხვში ვიყავი მეც. რამდენი ალერსი, ტკბილი სიტყვა, გონივრული რჩევა მახსოვს მისგან. უკვე ღრმა მოხუცებული, მხრებში მოხრილი შემხვდებოდა ხოლმე ქუჩაში, უსათუოდ გამაჩერებდა, მომეხვეოდა, გამომკითხავდა როგორც თეატრის, ისე ოჯახის ამბავს. მისი წერილები ახლაც შენახული მაქვს.

ამავე წელს ქართველმა საზოგადოებრივობამ დიდი ზეიმით იუბილე გადაუხადა მხცოვან მგოსანს რაფიელ ერისთავს. დილით საზეიმო სხდომა მოეწყო. სცენაზე რაფიელი ილიამ და აკაკიმ შემოიყვანეს. მე როგორც ქართული თეატრის მსახიობი, ვიდექი კულისებში და ვტკბებოდი იმ დიდი სანახაობით, რის მოწამეც ვიყავი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იყვნენ დელეგატები და მხურვალე სიტყვებით ესალმებოდნენ. ფშავ-ხევსურების წარმომადგენლების დარბაისლურმა სიტყვამ მთელი თეატრი აღაფრთოვანა. დიდი მოწონება ჰქონდა გრიშა აბაშიძის მიერ წარმოთქმულ ლექსს. საღამოთი ჩვენმა დასმა რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ დადგა, რომელშიაც მეც ვიღებდი მონაწილეობას. ხალხის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ლადოს გამოსვლამ ოსეფას ბიჭის როლში. მსახიობს შხოლოდ ერთი ფრაზა ჰქონდა სათქმელი „აღაჯან არავინ სჩანს“, ხოლო მსახიობის მიმართ ოვაციები დიდხანს გაგრძელ-

და. დიდმა მსახიობმა არ იუკადრისა მხცოვანი მგოსნის პატივისცემის ნიშნად უსიტყვო როლში გამოსულიყო. ასევე უმნიშვნელო გოგოს როლში გამოვიდა ბაბო ავალიშვილი.

კვირაში ორ წარმოდგენას ვდგამდით და მუშაობა საკმაოდ დიდი მქონდა. მახსოვს ამავე სეზონში დაიდგა ველიჩკოს პიესა, რომელიც გადმოაკეთა ქართული სცენისათვის ვალერიან გუნიამ „პირველი ბუზი-ს" სახელწოდებით. ამ პიესაში ცუცას როლს ვთამაშობდი. ერთი პატარა ამბავი უნდა გაეიხსენო. მე მშობლიურ სოფელში ბავშვობიდანვე მიყვარდა სიტყვა „ბეჩას" თქმა; ეს სიტყვა დასავლეთ საქართველოში მეტად გავრცელებულია. როგორც აღმოსავლეთ საქართველოში „ქაჯან". ჩვენი დიდი მსახიობი ვასო აბაშიძე ცხოვრებაში სიტყვას ისე არ იტყოდა, რომ სიტყვა „ქაჯან" არ დაეტანებინა. ერთ-ერთ რეპეტიციაზე მე წამომცდა სიტყვა „ბეჩა". გუნიას პროტესტი არ განუცხადებია; პირიქით დამავალა სიტყვა ბეჩა დამეტანებინა. ამ სიტყვას ისეთი მოწონება ჰქონდა, რომ წარმოდგენის გათავების შემდეგ დამსწრენი ხშირად გაიძახოდნენ ამას და ახალგაზრდები დამინახავდნენ თუ არა ბეჩა-ბეჩას მომძახოდნენ. პიესა გავიმეორეთ და ვგრძნობდი, რომ ბეჩას ხალხი კარგად იღებდა. შემდეგ წლებში მე ქუთაისში ამ სიტყვას ხშირად ვურთავდი, მაგრამ არავითარი გამოხმაურება არ ჰქონდა და შეუმჩნეველი დარჩა. იქ, ბეჩა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1895 წლის თებერვლის ბოლოს სეზონი დავამთავრე და ჩემს მშობლიურ ქუთაისს დავუბრუნდი.

თავი მესამე

მესხიშვილის სეზონები. თეატრის უჩინარი მუშაკნი. შილერის „მარიამ სტიუარტი“. განცდა.

1896 წლის აპრილში მე კვლავ ჩემს მშობლიურ ქუთაისში ვარ და მსახიობთა მიერ შედგენილ ამხანაგობის სპექტაკლებში ვიღებ მონაწილეობას. რამდენიმე თვის შემდეგ ქუთაისში მსახიობთა ამხანაგობას სათავეში ჩაუდგა ჩემი დიდი მასწავლებელი ლადო. ქართული თეატრის ისტორიაში ქუთაისის 1896—1905 წლების სეზონები ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანია.. ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის პერიოდი, ეს ქუთაისის თეატრის აღმავლობის ხანაა. თეატრის რეპერტუარი განახლდა. გამოვლინდნენ ნიჭიერი მსახიობები. სპექტაკლებს ეტყობოდა დიდი რეჟისორის მტკიცე ხელი, ხოლო ის პიესები. რომლებშიაც ლადო იღებდა მონაწილეობას ხელოვნების ნამდვილ ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენი თეატრისა, როგორც გასტროლიორები დედაქალაქის უნიჭიერესი მსახიობნი— ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია. ტასო აბაშიძე და სხვები. პირადად ჩემთვისაც დიდად ნაყოფიერი იყო ქუთაისის სეზონი; ბევრი საინტერესო როლის განსახიერება მხვდა წილად. რუს კლასიკოსებს, შექსპირის, შილერის პიესებს ფართო ასპარეზი მიეცათ ჩვენს სცენაზე და მსახიობთათვის იმაზე დიდი

ბედნიერება რა არის ამ კლასიკოსთა უკვდავ ქმნილებებში ითამაშოს და თავისი ძალა გამოაელინოს. ლადოს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობის დაწინაურება და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ახალგაზრდა მსახიობი წარმატებას მიაღწევდა. დიდი ამაგი დასდო ლადომ ქუთაისის თეატრს. ამ ჩემი დიდი მასწავლებლის დახასიათებას მე შევეცდები ჩემი ძალღონის მიხედვით სპეციალური თავი ვუძღვნა, ისევე როგორც სხვა ჩვენი თეატრის ბუმბერაზთ. ახლა მე მინდა გავიხსენო ის პატარა მუშაკები, რომლებიც თეატრის ამ დიდი მეექანიზმის პატარა ხრასნები იყვნენ, მაგრამ მეტად საჭირონი.

გვყავდა თეატრში ორიგინალები, ერთი ასეთი ორიგინალი იყო მსახიობი გრიგოლი. არ ვიცი, საიდან და როგორ მოხვდა თეატრში, ან რისთვის. მსახიობის მას არაფერი ეცხო. მაგრამ იმდენად უყვარდა ამ კაცს თეატრი, რომ ვერც ერთი რეჟისორი ვერ იშორებდა. იგი მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, თუნდაც სცენას დაგვიდა. რა როლიც უნდა მიგვეცათ, პასუხსაგები, თუნდ უსიტყვო, ის ერთგვარი ხალისით, ერთგვარი მოწიწებით მიიღებდა და შეასრულებდა. ის იყო—მსახიობი, სცენარიუსი, გარდერობის გამგე, მოკარნახე. ერთი სიტყვით, ოღონდ თეატრში ემუშავნა და ყველაფერზე მზად იყო გრიგოლი. მის შესახებ მრავალი ანეგდოტია გავრცელებული. მაგალითად, ერთხელ მესხიშვილი სცენის გეგმას უხატავდა სცენის მემანქანეს და ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა „კაკ პოსტავიტ შალაშ“. აქ გაისმა გრიგოლის ხმა: „ბატონო ლადო, გენაცვალე სულში, შალაში მე ვიქნებიო“. ძალიან ხშირად ქანდაკებად დგებოდა ხოლმე სცენაზე, როდესაც შესაფერ ქანდაკებას ვერ აკეთებდნენ. ასეთ შემთხვევაში გრიგოლი ფასდაუდებელი იყო; მთელი მოქმედების დროს გაშეშებული იდგა და თვალსაც კი არ დაახამხამებდა.

ერთხელ ძალიან ულამაზო ხუმრობა გაუწია ერთ-ერთმა მსახიობმა. როდესაც გრიგოლი ქანდაკებას წარმოადგენდა, მან „კალასნიკებიდან“ ბურნუთი გადმოაყარა. არ ვიცი, როგორ მოახერხა, მაგრამ გრიგოლმა არც ერთხელ არ დააცემინა ცხვირი, მხოლოდ ცრემლი წამოსცვივდა. მოქმედება რომ გათავდა, მაშინ კი თითქმის გულშეღონებული დაეცა საწყალი. გრიგოლი ძალიან კეთილი კაცი იყო. ერთხელ წარმოდგენის დროს, ქუთაისში სროლა ატყდა. ჩვენ ცენტრში ვცხოვრობდით და ბავშვები სახლში მყავდა დატოვებული მომვლელ დედაკაცთან. გრიგოლი გაქცეულა, დედაკაცი გაუღვიძებია, მისი დახმარებით ბავშვები წინა ოთახიდან უკანა ოთახში გადაუყვანია, ტყვიამ არ დააზიანოსო, და თვითონაც თავს დასდგომია ბავშვებს. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, გრიგოლი სახლში დამხვდა—აი, შენი სულის ჭირიმე, ნუცა, ბავშვები მშვიდობით დაგახვედრეო.

მეორედ რეპეტიციის დროს მოირბინა გულამოვარდნილმა:—ლადო, ბატონო, დესპინე ივანიძე ცუდად არის, უშველეთ რამეო. ჩვენც წამოვცვივდით, ექიმს დავუძახეთ და გავეშურეთ. გრიგოლს კი ცრემლი ჩამოსდიოდა სახეზე.

ხშირად გრიგოლი პატარა როლებს თამაშობდა და ამავე დროს სცენარიუსობასაც ეწეოდა. ერთხელ, რომელიღაც პიესის დადგმის დროს, დგას პიესით ხელში კართან და იძახის—პეტრე, კაცო, შენი გასვლის დროა, პეტრე, სად ხარ, კაცო? არბის კიბეზე, ზემოთ საპირფარეშოში, პეტრე, სად ხარ, პეტრე? ერთბაშად დაიხედა თავის ტანისამოსზე—მე აგერ არ ვყოფილვარ, პეტრე? დადო პიესა და შევიდა სცენაზე. ასეთი კურიოზები ძალიან ბევრი იყო.

თუ ვინმე მსახიობი ან მისი ახლობელი გარდაიცვლებოდა, გრიგოლი იქ იყო გაჩენილი. მიცვალებულის ღამის მთეველი, დამხმარე ჭირისუფლებისა, გასვენებას უთუოდ წინ მიუძღოდა. საერთოდ მსახიობები ხუმრობდნენ უგრიგოლოდ ქუთაისში არავინ დაიკრძალებაო. ეს ორიგინალი კაცი, ორიგინალურადაც იცვამდა. ყოველთვის განსხვავებული ტანსაცმელი, ღილები აუარება, სხვადასხვა ფერისა. სად შოულობდა ამ ჭრელაჭრელა ღილებს, არ ვიცი. ჩვენში მაშინ ფუტურისტები არ ჩანდნენ და გრიგოლი კი ჩაცმულობით ნამდვილი ფუტურისტი იყო.

ონისიმე დადიანი. ო. დადიანი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, კარგი თვალტანადი, მარჯვე მოვიდა ქუთაისის თეატრში. ჯერ დურგალია, შემდეგ სცენის მემანქანე, ხან კიდევ დეკორაციებს ხატავს, რეკვიზიტს ამზადებს. მთელი დღე და ღამე თეატრში გაისმის მუქარე ხმა, მუშაობს, ბევრ გაჭირვებას განიცდის, ჯამაგირს ცოტას იღებს და იმასაც ძალიან დაგვიანებით. მიუხედავად იმისა, რომ სხვაგან ბევრად მეტი შეუძლია მიიღოს, უზრუნველყოფილი ცხოვრება შეიქმნას, თეატრს მაინც ვერ შორდება. შეეზარდა. შეუსისხლხორცდა. წარმოდგენის დროს დეკორაციის ჭუჭრუტანას თვალს არ აშორებს. ხშირად მინახავს ეს ბრგე ვაჟკაცი აქვითინებული. მახსოვს ღრმა მოხუცმა მითხრა, ნუცა, ბატონო, ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი ლადო მესხიშვილი „ურიელ აკოსტაში“. სინაგოგაში თეთრი სამოსელით, ცრემლებით სავსე თვალებითო.

ერთხელ მახსოვს ონისიმე დეკორაციას აპედებს და ხმამაღლა იძახის, თუ მე აქედან არ წავიდე. ყველამ ბ... დამიძახეთ. გავიგონე ეს სიტყვები და ვეუბნები. ნუ

ამბობ ონისიმე, ვერსად ვერ წახვალ, განა არ იცი, ვინც თეატრში ფეხი შემოდგა, აქვე უნდა მოკვდეს მეთქი. ნინო, ბატონო, აღარ შემიძლია მეტი, თუ თქვენ მომავალ სეზონში აქ მნახოთ, თვალებში ჩამაფურთხეთ. ონისიმე, ნუ იხდი ჩასაფურთხებლად საქმეს, ვერსადაც ვერ წახვალ მეთქი; მართლაც, ჩვენი ონისიმე ისევ ქუთაისის თეატრში ტრიალებს ჩაქუჩით ხელში. მოვაგონე წინათ ნათქვამი: მართალი ბრძანებულხართ, იწამლება თეატრით თურმე ადამიანი. მე ვხედავ, რომ ველარსად წავალ აქედან და მართლაც ვერ წავიდა, თავისი ახალგაზრდული ძალღონე შეალია თეატრს, უკვე დაბერდა, მუშაობა უჭირს. კ. მარჯანიშვილმა ქუთაისის სეზონის დროს ონისიმე გადაიყვანა ტანსაცმლის შემნახველად დარბაზში. გული დასწყდა ონისიმეს, მაგრამ რა ქნას, სად წავიდეს? უკვე მოხუცებულია.

სერგო ჭელიძე და ნიკიფორე ქათამაძე. ასევე უანგარო ერთგულნი მუშაკნი იყვნენ ქუთაისის თეატრისა. სერგო ჭელიძე-სცენის მემანქანე და დეკორატორი და გრიმიორი-ნიკიფორე ქათამაძე. სერგო ჭელიძე პატარა ბიჭი მოვიდა თეატრში და ისიც შეაბერდა თეატრს, როგორც ონისიმე დადიანი.

ივანე ნაჭყეპია. არ შემიძლია არ მოვიხსენიო ივანე ნაჭყეპია. ეს იყო სცენის დარაჯი, სრულებით გაუგებარი, ყრუ ადამიანი. მისი საქმე იყო სცენის სისუფთავე, სცენის დარაჯობა. ესეც დაბერდა თეატრში, დაბერდა იმდენად, რომ უკვე ღონე აღარ ჰქონდა სისუფთავე დაეცვა. იმდენად გამოჩერჩეტდა, რომ აღარაფერი ესმოდა. თეატრს კი ვერ მოაშორეს. როდესაც გამგეობის ხაზინადარმა ალ. დარახველიძემ უთხრა, სხვა დარაჯი უნდა მოვიყვანოთო, ივანემ ცოცხს წამოავლო ხელი და დარტყმა მოუნდომა.—როგორ, ჩემსავით

ვის უყვარს თეატრი? ვინ მოუვლის ისე, როგორც მე? მერე დიდი მოციქულობით, დიდი ამბით დააჯერეს, რომ საჭიროა დამხმარე და მას კი პენსიას დაუნიშნავენ. დათანხმდა, მაგრამ ვაი ახალი დარაჯის ბრალი, მოსვენებას არ აძლევდა, სულ ებუზღუნებოდა, სულ ეჩხუბებოდა. დაავადმყოფდა, საავადმყოფოში წაიყვანეს, გამოიქცა იქიდან, თავს ვერ უვლიდა. ბოლოს შეატყობინეს მის ნათესავებს მიეხედათ მოხუცისათვის. მართლაც ჩამოვიდა ნათესავი, უთხრა—ბიძია, შენ მოხუცდი, რას ჩააცივდი ამ თეატრს, წამოდი ჩემთან, მოგივლით, თბილად დაგაწვენთ. დათანხმდა, კარგი, წამოვალო. წაიყვანეს, მაგრამ არ გასულა ერთი თვე, რომ ივანე ისევ თეატრში გაჩნდა. რა ამბავია, ივანე? რად ჩამოხველი? არ მოგიარეს?—არა, არ შემიძლია. რა არ შეგიძლია?—უთეატროდ ცხოვრება, აქ უნდა მოვკვდეო, და მართლაც თეატრში მოკვდა ჩვენი ივანე.

ა რ ტ ე მ ა დ ა შ უ ხ ა. ორი წევრი კიდევ გვყავდა—არტემა და შუხა—ორივე აფიშების გამკვრელები. პირველი ტომით სომეხი, მეორე კი—ებრაელი. არტემა უფროსი აფიშორი; დინჯი, ჭკვიანი, მოხერხებული, გაცინებულს იშვიათად ნახავდი. შუხა—წინააღმდეგ; მუდამ მოცინარი, ოხუნჯი, მხიარული, ცოტა დაჯაბნებულიც ჰყავდა არტემას. არტემამ სამსახური გაუწია თეატრის ისტორიას; ქუთაისის თეატრის დაარსებიდან აფიშები და პროგრამები შემონახული ჰქონდა. ჩემთვის უთქვამს ხშირად, შენი კი არა, დედათქვენის გამოსვლის პირველი აფიშაც-კი მაქვს, ვაგროვებ ყველას, იცოდნენ, გაიგონ სხვებმაცო. შემდეგში ეს აფიშები გადასცა მსახიობთა კავშირს. მოხუცებულობის დროს გალოთდა და დაავადმყოფდა. თეატრს უანდერძა დიდი სარკე წარწერით, რომელიც ახლაც მსახიობთა ფოიეში ჰკი-

დია. მისი სურვილით დაასაფლავეს დაფა-ზურნით. არტემას სიკვდილის შემდეგ შუბაც მოტყდა, თუმცა ობუ-ნჯობას თავს არ ანებებდა. პატარა კაცი, ცოცხალი, სრულიად ახალგაზრდის თვალებით, სახე გადატკეცი-ლი, უნაოქო. ყოველ ახალ წელიწადს მოგვდიოდა მისი სადარბაზო ბარათი შემდეგი ლექსით: -

აფიშორ შუხა ვას უვაქაეტ,
სნოვიმ გოდომ პოზდრავლიაეტ,
ი ნა ჩაიოკ ოეიდაეტ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოახერხა ერთ-ერთ პასუხისმგებელ ამხანაგთან მისვლა; „რამდენჯერ უბილეთოთ შემიშვია მოწაფეობის დროს და ახლა პენსიას არ დამინიშნავს?“ მივიდა, ნახა, ამხანაგმა, იცნო, აბა ვინ არ იცნობდა შუხას, ვისაც კი ქუთაისში უცხოვრია. მიიღო, ღამე თავის სახლში გაათევინა, ჩააცვა, დაახურა და პენსიაც მოუწყო. ჰო-და, ამის შემდეგ უნდა გენახათ შუხა, რა თვალებ-გაბრწყინებული გვიამბობდა თავის ამბავს: მიცნო, მას ვენაცვალე, კარგი ვახშამი მაჭამა და ისეთ სუფთა ლოგინში დამაძინა, რომ შიშით ვერ დავიძინე, არაფე-რი დავსვაროო.

შუხა, კარგ ამინდში კალოშებსა და ქოლგას თან ატარებდა იღლიაში ამოჩრილს. რად გინდა, შუხა, ეს კალოშები და ქოლგა ამ მზიან ამინდში? „გაიგოს ყვე-ლამ, რომ მაქვს“,—იყო პასუხი. დადიოდა მამლაყინ-წასავით... ბუნებამ თავისი გაიტანა და ესეც მალე გარდაიცვალა.

***

ძველი თეატრი მოკლებული იყო საშუალებას პიესე-ბი დიდხანს ემზადებინა, ამისათვის არც დრო იყო და

ცაფხეკილი სალაროც ამის საშეალებას არ იძლეოდა. სეზონში პიესის რამდენიმეჯერ განმეორება ეს იშვიათი მოვლენა იყო. ყოველ კვირაში ახალი პრემიერის დადგმა არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ხშირად როლების შესწავლას ვერ ვახერხებდით და სუფლიორის უნარზე იყო დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება და მარცხიც. ერთი ასეთი ამბავი მახსენდება შილერის—„მარიამ სტიუარტის“ დადგმისას: შალვა დადიანმა ნაჩქარევად თარგმნა აღნიშნული პიესა. ერთ მოქმედებას რომ გადათარგმნიდა, ვიწყებდით რეპეტიციას. შემდეგ მეორეს, მესამეს და ასე. შილერის თარგმნა არც ასე ადვილია, ისიც ლექსად, ნაჩქარევად. არც მომზადებაა ადვილი, ჩვენ კი ვიჩქარით, საჭიროა პიესა დაიდგას, და რის ვაი-ვაგლახით ვამზადებთ. პირველი იყო ჩემს სიცოცხლეში, რომ როლი კარგად ვერ ვისწავლე და პირველად მივმართე მოკარნახეს: აბა, გიორგი, დღეს კი შენი იმედით ვარ. არა უშავს რა, ერთხელ თქვენც გამოსცადეთ, როგორია როლის უცოდინარად თამაში,— მეუბნება მოკარნახე. შილერის პიესაში ვთამაშობ მარიამ სტიუარტს. პირველ-ორ მოქმედებამ დინჯად ჩაიარა, მივდევ მოკარნახეს. მაგრამ აი, მესამე მოქმედება, სადაც ორი დედოფალი-მარიამი და ელისაბედი შეხვდებიან ერთმანეთს. აქ უკვე ძლიერი სცენაა, სიდინჯე არ გიშველის, და მე სრულებით ყურს ვეღარ ვუგდებ მოკარნახეს, დედააზრი, რა თქმა უნდა ვიცი, დაახლოებით ტექსტიც, მაგრამ ისე კარგად კი არა, რომ ზეპირად ვილაპარაკო, და აქ მიშველა ენის ცოდნამ. უმტყუნე შალვა დადიანის თარგმანს და ჩემი „თარგმანით“ ვლაპარაკობ. ერთი მომენტი იყო ისეთი, რომ კინაღამ გული შემიღონდა, ციცმა ოფლმა დამასხა. ჯოჯოხეთო დააღე პირი და წარმოგზავნე.,. აი რა წარმოგზავ-

ნე ეს არ მახსოვს, საშინელებაა! და ერთბაშად თავში გამიელვა—ბნელი ძალები... როგორც იყო, დავაღწიე თავი, მაგრამ იმ ერთ მომენტში ისეთი საშინელება განვიცადე, რომ ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ რომ მომაგონდება, გამაჟრჟოლებს ხოლმე. ნერვები დაჭიმულია, ძლიერი სცენაა და გახარებულმა ხალხმა, მარიამი, ელისაბედს რომ სძლევს, მქუხარე ტაშით დამაჯილდოვა, აღარ დამაცალა მოქმედების დამთავრება. მაშინ შალვა დადიანს ვუთხარი: ბოდიში, ბატონო შალვა, მაგრამ ახლა თქვენი თარგმანიდან ერთი სიტყვაც არ მითქვამს მეთქი. ამაზე მან მითხრა: არა უშავს რა ბატონო, კარგად კი გამოვიდა.

ამ ამბავმა გამახსენა ერთი ჩვენი მსახიობი სვიმონიძე. როლი არასოდეს არ იცოდა, ერთ პაუზასაც არ დაუშვებდა. შეეძლო მთელი საათი ელაპარაკნა სცენაზე, დედააზრს არ გადაუხვევდა, მხოლოდ ტექსტი მისი პირადი იყო. მახსოვს, ხონში (ახლანდელი წულუკიძე), მე ჯერ სრულებით ახალგაზრდა მსახიობი ვიყავი, დადგეს „არსენა". სვიმონიძე არსენას თამაშობდა, მე ნინოს. არსენა სცენაზეა. პატარა მონოლოგი აქვს. შემდეგ შედის ნინო. ვდგავარ კარებთან. ვღელავ საშინლად. ჩემი გამოსვლაა. იქვე დგას სცენარიუსი პიესით ხელში. სცენარიუსი გამოუცდელია, სცენისმოყვარე საშინელი დაბნეული დგას. ვეკითხები რა მოხდა, ნუთუ პატარა მონოლოგი აქამდე არ გაათავა მეთქი-ბატონო, ჯერ ერთი სიტყვაც არ უთქვამს პიესიდან. დავუგდე ყური, დედააზრს გადმოსცემს, მაგრამ სულ სხვა სიტყვებით. ვიფიქრე, ეს დღეს არ გაათავებს ლაპარაკს მეთქი და შევედი სცენაზე. იგივე მსახიობი თბილისში თამაშობდა „ოტელოში" იაგოს. სცენარიუსმა დამიძახა და მეუბნება, შენი ჰირიმე ყური დაუგდე და თან პიესას მაწვდის,

აბა თუ ერთი სიტყვა თქვას პიესიდან? ავიღე პიესა და ქართლაც სულ სხვა სიტყვებით ლაპარაკობს მსახიობი. ნოქმედება გათავდა. მივცვივდით ყველანი, რა მოგვიდა, მაჩაბელს ასე არ უთარგმნია შექსპირი.—მე მაჩაბლის თარგმანით კი არა, მესხის თარგმანით ვთამაშობო,—გვიპასუხა. დ. მესხს არასოდეს უფიქრნია შექსპირის თარგმნა.

ჩვენს ძველ თეატრს ზოგიერთები შოვინისტურ თეატრს უწოდებდნენ. არ ვიცი, რამდენად სამართლიანია ასეთი აზრი. მართალია, ქართული ისტორიული პიესები ხშირად იდგმებოდა, მაგრამ, ჯერ-ერთი, ხალხის წარსულის ამსახველ პიესებს შოვინიზმთან კავშირი სრულიად არა აქვს, მეორეც ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი ბუმბერაზების ნაწარმოებებიც ხშირად იყო ჩვენს სცენაზე, როგორიცაა მაგალითად, შექსპირის—„ჰამლეტი“, „ოტელო“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ჰირველი ცოლის მორჯულება“, „რომეო და ჯულიეტა“, „რიჩარდ მესამე“, „მეფე ლირი“, შილერის—„ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“, „მარიამ სტიუარტი“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, მოლიერის—„სკაპენის ცუღლუტობა“, „დონ ჟუანი“ და სხვა. რუს კლასიკოსთაგან იდგმებოდა ოსტროვსკის, გრიბოედოვის, გოგოლის, ტოლსტოის პიესები, აგრეთვე ფრანგული მელოდრამები. მართალია ხალხი უფრო ქართულ ისტორიულ პიესებს ეტანებოდა, მაგრამ ეს არც გასაკვირველია. ბუნებრივია, რომ ქართველი ერის ცხოვრებიდან ამსახველ პიესებს მეტი ინტერესი გამოეწვია იმ პირობებში, როდესაც ყველაფერი ქართული განდევნილი იყო. ვერც ერთ დაწესებულებაში, ვერც ერთ სასწავლებელში ქართულს ვერ გაიგონებდით. ქართულს ისე ასწავლიდნენ, როგორც უცხო ენას. ხშირად გაიგებდით შავრაზმელ მასწავლებლის ნათქვამს:

„ძაღლის ენაზედ“ ლაპარაკობთო. თუ კლასში მოწაფე გაბედავდა ქართულად ლაპარაკს სჯიდნენ. თეატრი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ქართველი თავისუფლად გრძნობდა თავს, სადაც ქართველს შეეძლო თავისი პროტესტის გამოთქმა. ეს პროტესტი გამოიხატებოდა იმ აღტაცებით, რასაც გმირს უძღვნიდა. ასეთი იყო მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ისტორიული პიესა მხატვრულად არ იდგა საჭირო სიმაღლეზე; ბევრ ჩვენგანს არც გვქონია სურვილი ასეთ პიესაში თამაშისა, მე პირადად რამდენიმე სეზონი პირობა მქონდა დრამატულ საზოგადოების გამგეობასთან, რომ არ მეთამაშნა არც ერთ ისტორიულ პიესაში გარდა „სამშობლოს“ და „ღალატისა“. განა შეიძლება იმ თეატრს, რომელსაც ჰყავდა ისეთი ბუმბერაზები, როგორიც იყვნენ მაკო საფაროვ-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალ. გუნია, ბ. ავალიშვილი, ეფ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშკილი, გ. გედეონიშვილი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, გ. არადელ-იშხნელი და ბოლოს ალ. იმედაშვილი, არათუ თეატრი, არამედ დიდი თეატრი არ ეწოდოს! მართალია, როცა ეს ბუმბერაზნი თამაშობდნენ, გვერდში ისეთი მსახიობნიც უდგნენ, რომელთა სცენაზე გამოშვება არ შეიძლებოდა, მაგრამ, რა ვქნათ, ხელოვანთა ტალანტებს შორის განსხვავება მუდამ ყოფილა და ახლაც არის.

როდესაც თეატრის წარსული მუშაობის შეფასება გვინდა, უნდა გავითვალისწინოთ მაშინდელი და ახლანდელი პირობები. წინათ მსახიობს და ხელოვნებას არავითარი ხელშემწყობი პირობა არ გააჩნდა. სულ სხვა დგომარეობაა ახლა. მაგალითად, ჩვენმა დიდმა ხე-

ლოვანმა კ. მარჯანიშვილმა დადგა გუ[illegible]ურიელ-
აკოსტა". აიხადა ფარდა. სცენაზეა ნიკიერ[illegible]
მშვენიერი კოსტიუმით, მშვენივრად თმა დავარცხნილი.
საუცხოო ბაღი. იქვე მაღალი კიბეები, კიბესთან ხე,
შესაფერისი სინათლე. მთელი ორკესტრი, მხატვარი,
გაცნათებელი, კომპოზიტორი, გრიმიორი და მკერავი
თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს. ყველაფერი დიდი ხე-
ლოვანის—რეჟისორის მიერ ჰარმონიულად შედულებუ-
ლია. ამ დადგმამ დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა
ჩემზე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ურიელის რო-
ლის შემსრულებელი საქართველოს სახალხო არტისტი
უშანგი ჩხეიძე. ეს უკანასკნელი დიდხანს არ შერჩა
სცენას, მაგრამ მცირეხნის მანძილზედაც იშვიათი სა-
ხეები შექმნა და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.
დაუვიწყარია უშანგის ურიელი, იაგო, ჩენჩი, კარლ ტომა-
სი, ყვარყვარე, კვიჟინაძე (შ. დადიანის „კაკალ გულში")
და სხვა. ასევე წარმტაცი იყო ივდითის როლში სსრ კავში-
რის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე. ამ უკანასკნელის
მიერ განსახიერებული ოფელია, დეზდემონა, მარგარიტა
გოტიე და სხვა მრავალი ხელოვნების გამარჯვების მაჩვე-
ნებელია. ამავე საღამოს ვიხილე სცენის ჩემი პარტნიორი,
საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი
ალ. იმედაშვილი დე-სანტოს როლში. თავისი დიდი ტემ-
პერამენტით და ელვარე დიქციით წარუშლელ შთაბეჭ-
დილებას ტოვებდა მსახიობი. დაუვიწყარია ჩემთვის
ა. იმედაშვილის ოიდიპოსი, ოტელო, კარლოსი. ლექ-
სის კითხვაში ხომ იმედაშვილს ბადალი არ ჰყავდა.
დიდი შთაბეჭდილება დატოვა თავის ბუნებრივი თამა-
შით დე-სილვას როლში საქართველოს სს რესპუბლიკის
სახალხო არტისტმა შ. ღამბაშიძემ. პარტიისა და მთავ-
რობის ყოველდღიურმა ზრუნვამ საშუალება მისცა ქარ-

თველ არტისტებს გამოევლინებინათ თავიანთი დიდი შესაძლებლობანი. ნიჭს ფართო გასაქანი მიეცა. ასეთი პიროებები ჩვენ არა გვქონია. მახსოვს ქუთაისის თეატრში ერთი დაფლეთილი ტყის დეკორაცია იყო. ეს იყო ჩვენი დაბურული ტყეც შილერის „ყაჩაღებში“ და მანასეს საუცხოო ბაღიც. ორკესტრსა და მხატვარზე ვინ ოცნებობდა. იყო მემანქანე, რომელიც დეკორაციებსაც ხატავდა, სცენასაც ანათებდა. ერთხელ „სიმახინჯეში“ რეჟისორმა ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულის ახსნის დროს კულისებში მსახიობი ამღერა გიტარაზე, რომ ამით გაეცხოველებინა სცენა. მე სცენაზე გახლდით იმ დროს და ამ გიტარის ხმამ და ნაზმა ღიღინმა ისე იმოქმედა ჩემზე, ერთიათად უკეთ ვითამაშე, ვიდრე ისე ვთამაშობდი. ახლანდელი მსახიობები ბედნიერნი არიან. ჩვენ თავის დღეში არ გვღირსებია ის, რაც ახლა არის. მიუხედავად ამისა, უსათუოდ იყო დიდი განცდა. ავიღოთ მაგალითად ისეთი საშუალო მელოდრამა, როგორიცაა „ორი ობოლი“. თამაშობენ: ლუიზა—მ. საფაროვი-აბაშიძისა, გენრიეტა—ეფ. მესხი, ფროშარი—ნატო გაბუნიაცაგარელისა, პიერ—ლადო მესხიშვილი, პიკარი—ვასო აბაშიძე. ეს ხომ ხელოვნების დღესასწაულია. დიახ, არა გვაქვს დეკორაციები, ორკესტრი, განათება, მაგრამ თეატრი მაინც არის, იმიტომ რომ არიან დრამატურგები და დიდი მსახიობები, რომლებმაც გაჭირვებით დიდი ჭაპანწყვეტით ხშირად მშიერ-მწყურვალებმა თეატრი თავის მხრებით მოიტანეს დღემდე და ჩააბარეს ახალგაზრდებს, რომელთაც ია-ვარდი აქვთ ფეხქვეშ დაფენილი.

ძველ მსახიობებს დრო არა გვქონდა რეპეტიციების, როლის დამუშავებისა, რეჟისორს მიზანსცენების და-

ნ. ჩხეიძე მედეას როლში („მედეა")

ლაგებისა. რეჟისორი ძლივს ასწრებდა პიესის ამა თუ იმ ადგილის გაშუქებას, ამა თუ იმ მომენტისათვის ხაზგასმას. ყოველივე დანარჩენი ჩვენ თვითონ უნდა მოგვეფიქრნა, ჩვენ უნდა დაგვეშუშავებინა. მახსოვს მხოლოდ ანიკოს როლი (ა. სუმბათაშვილის „ბორკილები") მოვამზადე ლადო მესხიშვილის დახმარებით და მეორე „იაკობინელებში" პატარა სულელ ბიჭს ვთამაშობდი. ამ როლში კოტე მესხმა საბლში მომამზადა და მის შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. დანარჩენი როლები, ახლა რომ მოვიგონებ, მხოლოდ ჩაბულბულებული იყო, ე.ი. როლს ზეპირად ვისწავლიდი და თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიტყოდი. შემდეგ კი, როცა პასუხსაგები როლები მივიღე, პიესა თვითონ უნდა წამეკითხა და პირველი წაკითხვისთანავე შემეძლო მეთქვა, შევძლებდი თუ არა თამაშს. თუ როლს ვიგრძნობდი, ჩემი თავის იმედი მქონდა, თუ არადა, ვცდილობდი სინდისიერად მოვქცეოდი, მაგრამ არა ვგრძნობდი. მაშასადამე, თამაშიც ძალდატანებული, ყალბი იყო. დღემდე სადავოა: მსახიობი როლს უნდა განიცდიდეს თუ არა. ამ დავის გადაწყვეტას მე არ ვკისრულობ, მაგრამ პირადად მე, თუ როლს არ განვიცდიდი, მაშინ ჩემი შესრულება ყალბი იყო.

ცრემლის ღვრა არ ვიცი სცენაზე. ცხოვრებაშიც ასეთი ვარ. თუ უბედურება რამ დამატყდა, დიდხანს ვერ ვიტირებ, დავდუმდები, ვკანკალებ, ცუდად გამიხდება. თავი გული. თუ როლს განვიცდი, იგივეა. მთელ სხეულს ჭიანჭველები დამივლიან, გული დაუდეგრად მიცემს. მახსოვს, მარგარიტა გოტიეს ვთამაშობდი. უკანასკნელ მოქმედებაში მარტო ვარ სცენაზე. კარები გაიღო. მესმის ნელი ფეხის ხმა და თვალს ვხუჭავ. სრული დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილი მიახლოვდება. საკვირველია,

ხმასაც არ ვიღებ. მხოლოდ ველოდები და ერთბაშად ნანინის სიტყვებმა გამომაფხიზლა. ასევე მომივიდა, როდესაც ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯეში" სონას ვასახიერებდი. როდესაც სონა საპატარძლოდ მორთული ეახოვება თავის მშობლებს, რომ მახინჯი საბას ბრჭყალებში ჩავარდეს. თვალდახუჭულს მეგონა, რომ სიცოცხლეს ვესალმებოდი და სრულიად გაფითრებული ვიდექი სცენაზე. სწორედ მაშინ დაწერა განსვენებულმა კიტა აბაშიძემ: ნ. ჩხეიძე სასიკვდილოდ გამზადებულ პატარძალს მოგვაგონებდაო. მაშასადამე, მე ჩემს თავს ვთვლი განცდის, გრძნობის მსახიობად. რა თქმა უნდა, არავითარი სკოლა მე არ დამისრულებია, დიდი მსახიობებიც, გარდა ჩვენებისა, უცხოელი, ძალიან ცოტა მინახავს, სცენური ტექნიკა მხოლოდ პრაქტიკით მაქვს შესწავლილი.

წარმოდგენების შემდეგ ყოველთვის დაღლილ-დაქანცული ვიყავი. არც ჭამა შემეძლო, არც ძილი. განსვენებული ლადო მესხიშვილი, თუ პასუხსაგებ როლს ვთამაშობდი, მეორე დღეს თავისუფლებას მაძლევდა, რეპეტიციაზე არ დამიშვებდა. არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი ახირებული შემთხვევაც. ჩვენმა პატივცემულმა მსახიობმა ელ. ჩერქეზიშვილმა თავის საბენეფისოდ აირჩია „ორი ობოლი". ეს პიესა უკვე კარგა ხნის მობერებული იყო და არავის არ გვიხაროდა მისი შესრულება. ლუიზას როლი მე მომანდო, ხოლო გენრიეტასი ანეტა ქიქოძეს. ორივე უხალისოდ მოვეკიდეთ როლებს, რეპეტიციაზე ორივე უხალისოდ ებუტბუტებდით. ლიზა გაგვიჯავრდა: არც ისეთი სასაცილოა ეს პიესა, როგორც თქვენ ეკიდებით. ჩვენ ბოდიში მოვიხადეთ,—ნუ გაგვიჯავრდები, ვეცდებით არ შეგარცხვინოთ-თქო. წარმოდგენა დაიწყო. ბრმა ლუიზა დგას ეკლესიის კარებთან, საიდანაც გამოდის გრაფინია: ბრმა ვარ, მიწყალობეთ რამე..

ქალბატონო, და ცრემლები სრულიად მოულოდნელად ჩამოდის ჩემს სახეზე. გრაფინია—ეფ. მესხი ხედავს ჩემს ცრემლებს და ისიც იწყებს ტირილს, საკვირველია: როლს განვიცდი, ცრემლს არ ვღვრი. აქ კი ყალბმა მელოდრამულმა სცენამ ცრემლი გამოიწვია.

თავი მეოთხე

მოგზაურობა პროვინციებში. ჩვენს რიგებს ახალი ძალები ემატებიან. პირველი გასტროლები დედაქალაქში

როგორც თავშივე აღვნიშნე, ძველად სეზონი 5—6 თვეს გრძელდებოდა. დასი მუშაობას იწყებდა სექტემბერში და თებერვლის ბოლომდე რომ გაგრძელებულიყო სეზონი დიდი საქმე იყო, უჯამაგიროდ დარჩენილი მსახიობები შეადგენდნენ ხოლმე ამხანაგობას და პროვინციებს ესტუმრებოდნენ. უფრო ხშირად შეარჩევდნენ ხოლმე ისეთ პიესებს, რომლებშიაც მოქმედნი პირნი ცოტანი იყვნენ. უსიტყვო, ან პატარა როლებისათვის ადგილობრივ სცენისმოყვარეებს იხმარებდნენ. მეც ხშირად ვიღებდი მონაწილეობას ასეთ ამხანაგობებში. სამწუხაროდ ჩვენი მოგზაურობის თარიღები არ მახსოვს, არც ის მაგონდება, სად რომელი პიესა დავდგით და აღარც ძალღონე მყოფნის არქივებში ვეძიო ყოველივე ეს. მე გავიხსენებ მხოლოდ იმას, რაც მაგონდება. შესაძლებელია თხრობისას თანმიმდევრობა დავარღვიო. იმედია მკითხველი მომიტევებს ამას. მე ხომ მემატიანე არა ვარ და არც მკვლევარი, რომ მომეთხოვოს ამ წესების დაცვა.

1899 წლიდან მახსოვს ჭიათურა. ეს ის ხანაა, როდესაც მუშებით სავსე იყო იქაურობა. მრეწველები—რამდენიმე კაცი. არც ერთი ქალი. მრეწველთაგან მუდმი-

ეაღ ოითქმის არავინ არ ცხოვრობდა მაშინ ჭიათურაში. დროგამოშვებით ჩამოდიოდნენ და, რა თქმა უნდა, ოჯახიც იქ არა ჰქავდათ. არავითარი გონების საზრდო მუშებისათვის, არავითარი გართობა. ასე გასინჯეთ, აბანოც კი არ იყო,—რამდენადაც მახსოვს, და აი შაბათ საღამოობით შავი ქვის მტვერში თავით ფეხამდე ამოსვრილი მუშები ბანაობდნენ მდინარე ყვირილაში. თუ გონებრივ გასართობს ვერ ნახავდით, სამაგიეროდ საშიკიტნოები ბლომად იყო. მუდამ ისმოდა არღნის ჭყიპინი, და დაღლილ-დაქანცული მუშები სამიკიტნოებისაკენ მიეშურებოდნენ. მთელი ღამე და მეორე დღე მრავალ-ჯამიერისა და ოდელიას ხმა ისმოდა იქიდან. ამ ხანებში ძალიან ხშირად დავდიოდით ჭიათურაში წარმოდგენების გასამართავად. რა თქმა უნდა, ვდგამდით პატარა პიესებს, ვოდევილებს, სადაც მხოლოდ ერთი ქალი იყო, და აი მე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ვთამაშობდი იმ ერთ ქალს. ჩვენთან დადიოდნენ სცენისმოყვარენი ალ. საყვარელიძე. ამბ. საყვარელიძე, კ. მოდებაძე, ს. ბაქრაძე და მსახიობი შ. ნემო (ჯანოევი), შ. დადიანი, ვ. ბალანჩივაძე და სხვები. ძალიან ხელს გვიწყობდა მაშინ ჭიათურაში მყოფი მირიან ჭანიშვილი. ის მსახიობად, სუფლიორად, სცენარიუსად მუშაობდა და, რაც მთავარია, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, სცენის მოსაწყობ ავეჯს თუ ხელსაწყოს შოულობდა წარმოდგენისათვის. რა თქმა უნდა, თეატრი არ იყო. ვთამაშობდით ღვინის სარდაფში. ღვინის კასრებს გარეთ გაალაგებდნენ, გრძელ სკამებს სცენისათვის ვამაღლებდით ფიცრის ტახტებით; რამდენიმეს ერთად მივადგამდით. ღმერთო, რა ჭრიალ-ჭრიალი იყო სცენაზე სიარულის დროს. დეკორაციებზე ლაპარაკიც ზედმეტია: ჩვენი დეკორაცია კედლები და წითელი ქსოვი-

ლი იყო. მაყურებელი ყოველთვის ბევრი გვყავდა. ყოველგვარ გასართობს მოკლებული მუშები და მრეწველებიც მოიჩქაროდნენ წარმოდგენაზე და ეს ჩვენი მხატვრულად სრულიად მიუღებელი წარმოდგენა მათთვის დღესასწაული იყო. მხიარულ კომედიაზე თუ ვოდევილზე გულით იცინოდნენ, მთელი კვირის მუშაობით დაღლილ-დაქანცულნი ისვენებდნენ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვისმენდით მათ გულიან ხარხარს. წარმოდგენები ჩვენი ჯიბისათვის როდი იმართებოდა. მთელი შემოსავალი სხვადასხვა ორგანიზაციას ხმარდებოდა, რევოლუციურ მოძრაობას, რევოლუციონერ კატორღელების ოჯახებს და ღარიბ სტუდენტობას. აფიშაზე მეტწილად ჩემი სახელი იყო. ამბობდნენ, ნუცა ჩხეიძის წარმოდგენაა. მაშინ მხოლოდ მსახიობს შეეძლო წარმოდგენის გამართვა. ასე იყო ოფიციალურად პოლიციისათვის. საზოგადოებაში კი ყველამ იცოდა, რისთვის იმართებოდა წარმოდგენა და უფრო მეტი ხალისით მოდიოდნენ ჩვენს წარმოდგენებზე.

ასეთივე მიზნით ხშირად იმართებოდა წარმოდგენები ქუთაისშიც. იქაც მეტწილად ჩემი სახელი იყო აფიშაზე. ამის გამო გულის ტრიალიც გამომიცდია. ქუთაისში იყო პოლიცმეისტერი ლისოვსკი. იმის თვალებს რომ მოვიგონებ, ახალაც კი გამაჟრჟოლებს ხოლმე; თითქოს ნემსები ჰქონდა თვალებში და ამ ნემსებს გულში გიყრიდა. აი, ეს ლისოვსკი მიბარებდა ხოლმე პოლიციაში: რაშია საქმე, რომ ასე ხშირად მართავთ წარმოდგენებს. აქ რაღაც საეჭვო ამბავია. რა უნდა იყოს საეჭვო? მიჭირს ბავშვები (და-ძმა) მყავს გასაზრდელი და ამიტომ ვმართავ წარმოდგენებს. რა უნდა ეთქვა, თითს კი დამიქნევდა—ფრთხილად იყავიო და გამომის-

ტუმრებდა. ამის შემდეგ რამდენიმე დღე გაბრუებული დავდიოდი.

ჭიათურაში რომ ჩავდიოდით, ყოველთვის მძიმე სულიერი განწყობილება მქონდა: შავი მთები, მამაკაცები შავად მოსვრილნი, ყველაფერი შავ ქვაში ამოსვრილი. ვერაფერს ხელს ვერ მოკიდებდი, რომ არ გაგესვარა. მდინარე შავი. არც ერთი დედაკაცი, არც ერთი ბავშვი. გამუდმებული არღნის ჭყიპინი. ეს იყო ამ ორმოცდაათი წლის წინათ. როგორ იცვალა ფერი ჭიათურამ. დღეს ჭიათურა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სამრეწველო ცენტრია, მშვენიერი თეატრით და მრავალი კულტურული გასართობით შემკული. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ააღორძინა მთელი ჩვენი ქვეყანა და მათ შორის ჭიათურაც.

* * *

ხშირად ვმოგზაურობდით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, დაბებსა და სოფლებშიაც და წარმოდგენებს ვმართავდით. გამახსენდა მარულობა სენაკში, რომელიც ჩვეულებრივად ივნისში იმართებოდა პეტრე-პავლობის დღეს. გამახსენდა ერთ-ერთი ჩვენი ასეთი მოგზაურობა სენაკში.

მთელი იმერეთი, სამეგრელო და გურია აქ არის და მთელი დღე და ღამე ჟრიამულია. პირველ წყებებში ჩვენი ჩოხოსანი თავადებია, უკანა წყებებში აუარებელი გლეხობა, სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული. შვიდი დღე და ღამე იქ ვიყავით და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დამიძინია: საშინელი სიცხე, ბუზები, ფანჯარასაც ვერ აღებ, რადგან სასტუმროს აივნებზე ხალხს სძინავს. რა თქმა უნდა, ძილზე ფიქრიც მეტია. ვზივარ მთელი ღამეები ჩაცმული, მხოლოდ ერთხელ გათენები-

სას, როდესაც ძალიან დავიღალე, გავაღე ფანჯარა, გავეხვიე ზეწარში, მკვდარივით დამეძინა. მესმის ვიღაცა მაღვიძებს: „ნუცა, ადექი ჩქარა, გამოიხედე აივნიდან. შენს სადღეგრძელოს სვამენო“. ეს იყო ერთი ჩემი ნათესავი კაცი, რომელსაც ჩემს მოსვენებაზე უფრო სადღეგრძელო აინტერესებდა. იძულებული გავხდი გამოვთხოვებოდი ძილს და აივანზე გამოვსულიყავი. ვხედავ მინდორში გაუშლიათ სუფრა და მათ შორის ქუთაისელი თავადი ყანწით ხელში სვამს სადღეგრძელოს ლამაზი სიტყვებით. იქ მყოფნი აფხაზები ისე იცნობდნენ ნუცა ჩხეიძეს, როგორც ნუცა მათ, მაგრამ მეტი რა ძალა აქვთ: თამადის სურვილი ასეთია.

* * *

1899 წელს ზესტაფონში ვიყავით. საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენა გვქონდა. სადილად მიწვეული ვიყავით აქაურ მკვიდრ მცხოვრებთან.

სუფრასთან იდგა მშვენიერი შავთვალწარბა გოგონა, გიტარაზე დამღეროდა ტკბილი ხმით. ეს გოგონა იყო მარო მდივანი. იმავე წლის სეზონში მოიწვიეს ქუთაისის დასში. მისი გარეგნობით მოიხიბლა ქუთაისის საზოგადოება. მალე პასუხსაგები როლების თამაში დაიწყო. ჯერ როგორც „ინჟენიუ“, შემდეგ სეზონში კი დეზდემონა—შექსპირის „ოტელოში“, ოფელია—„ჰამლეტში“, მერცია—„ვიდრე ხვალ უფალოში“ და მრავალი სხვა როლი შეუსრულებია. იმ ხნიდან მარო თეატრს არ მოშორებია. მრავალი როლი კოხტად და მოხდენილად შეუსრულებია. ძალიან კარგი ამხანაგი იყო. უკანასკნელ ხანებში ჯანმთელობის განყოფილების სანკულტურის თეატრში მუშაობდა და მხოლოდ 1948 წ. გამოსათხოვარი წარმოდგენით ჩამოშორდა თავის საყვარელ საქმეს.

დაჯილდოებულია აჭარის ასსრ სახალხო არტისტის წოდებით, სადაც მან მრავალი წელი იმუშავა. ქართული რეალისტური თეატრის აღდგენის 100 წლისთავზე მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

თანდათან გვემატებიან ახალ-ახალი ძალები: ანეტა ქიქოძე—ნიჭიერი. კულტურული ადამიანი, კარგი გარეგნობით, დრამატული როლების ამსრულებელი. ბევრი ძალიან კარგი სახე შექმნა.

თამარ გოგოლაშვილი—მშვენიერი შემსრულებელი ლევ ტოლსტოის პიესა „ცოცხალ ლეშში“ ბოშა ქალი მაშას როლისა.

ცაცა ამირეჯიბი—კარგი გარეგნობით, მშვენიერი დიქციით და მომხიბლავი ხმით. მრავალი პასუხსაგები როლის შემსრულებელი.

თამარ თამარაშვილი (ბაქრაძე), ანიკო ჩხეიძე (ჩემიდა), ანა ჩირგაძე, რომელმაც თავი ისახელა ლენინგრადში ზეინაბის თამაშით, გიორგი იშხნელი—მეტად ნიჭიერი, დიდი ტემპერამენტის, ფრიად განათლებული, შესანიშნავი შემსრულებელი ტირეზისა („ოიდიპოს მეფე“), ონუფრი (ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“) და („გაიდეამუსში“) და სხვა მრავალი როლებისა, ხავერდოვანი ხმით, კარგი დიქციით.

შალვა შარაშიძე—ჩვენი იუმორისტი, სოლეიმანის („ღალატი“) კარგი შემსრულებელი. იუზა ზარდალიშვილი იშვიათი არმანი, კრეჩინსკი და სხვ.

მიხეილ გელოვანი—ნიჭიერი მსახიობი: დაუვიწყარია მისი კოწია შ. დადიანის „გუშინდელნში“, შემდეგ კინოში გადავიდა და დიდი წარმატებით განასახიერებს ჩვენი დიდი ბელადის ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახეს.

ვასო არაბიძე—შესანიშნავი სახე მოგვცა შ. დადიანის პიესაში „გუშინდელნი“, ჰაუტმანის პიესაში „ჰანელე“—მათხოვარის, ი. გოლდონის „საკლავში“—კლეშკის.

ნიკო გვარაძე—პატარა ტანის, უფრო მოწაფეების როლებს ასრულებდა მაგალითად, „ნიშანი ყოფაქცევა-

ნ. ჩხეიძე გულჯავარის როლში („ლეკის ქალი გულჯავარი“)

ში". ჩინებული შემსრულებელი ერეკლესი პიესაში „ღალატი", ძალიან ბეჯითი, ძალიან დისციპლინიანი.

ალ. მგალობლიშვილი—უმაღლესი განათლებით, კულტურული მსახიობი.

ამგვარად საქმე გაიჩარხა და ქუთაისის თეატრი პირველ რიგში ჩადგა.

განსაკუთრებული სიყვარულით უნდა მოვიგონო საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ელო ანდრონიკაშვილის მეტად ნაყოფიერი მუშაობა. ელოს გახსენებამ ცოტა თხრობის ქრონოლოგია უნდა დამარღვევინოს და გავიხსენო 1904 წლის 17 დეკემბერს თბილისში გამართული წარმოდგენა ვ. გუნიას ხელმძღვანელობით, მაშინდელ ეგრეთწოდებულ ვეტცელის თეატრში (ამჟამად რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრის შენობა). დავდგით კარაევის „უბედური ნაბიჯი" და მბიარული ვოდევილი „თაგვის ბრალია". კულისებში თავის დედით მეწვია ახალგაზრდა, ცქრიალა ქალი. გადამეხვია და თავის აღტაცება გამოსთქვა ჩემი თამაშით. ეს ამბავი დავიწყებული მქონდა. ამ რვა წლის წინათ ნინაობას მეწვია ჩემი მეგობარი ელო, რომელმაც გამახსენა ვეტცელის თეატრში გამართული წარმოდგენა და გადმომცა პროგრამა თავისი წარწერით: საზღვარგარეთ წასვლის წინ დედასთან ერთად ვიყავი ამ წარმოდგენაზე. მშვენიერმა ნუცამ აღტაცებაში მომიყვანა „უბედურ ნაბიჯში", მართლაც მშვენიერო ნუცა 38 წელიწადი შემინახავს ეს პროგრამა. მაშ როგორ მყვარებიხარ და ისევ ისე შეუცვლელად გისურვებ ჯანმრთელობას. ელო ანდრონიკაშვილი 1942 წ. 27 იანვარი". ელოსთან ერთად მომიხდა მუშაობა თეატრში და ჩვენს მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ელოს ღვაწლი მართლაც თვალსაჩინოა. ის პირველთაგანი იყო, რომ

ხაბავშვო წარმოდგენებს აწყობდა, როგორც ძაუჯიკაუს ქართველობისათვის, ასევე ჩვენს დედაქალაქში. ელო მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველივე საზოგადოებრივ საქმიანობაში, წერდა ჟურნალ-გაზეთებში წერილებს, თარგმნიდა პიესებს და სხვ. დაუვიწყარი სახეები შექმნა გორკის „უკანასკნელებში“ (ლუბა), ანდრეევის „გაუდეამუსში“ (ლილია), ა. სუმბათაშვილის „ღალატში“ (რუქაია) და სხვა მრავალი.

1904 წლის 17 დეკემბერს დადგმულ წარმოდგენაში ჩვენთან ერთად თამაშობდა ბარონესას როლს მსახიობი ოლღა ლეჟავა. კულტურულმა მსახიობმა თავიდანვე საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ჩვენი თეატრის ბაშინდელი უზომოდ მკაცრი რეცენზენტი ლ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ქართულ თეატრს დღევანდლამდე ასეთი გაიანე („ღალატი“) არ უნახავსო. ო. ლეჟავა შშვენივრად ანსახიერებდა „ორ ჯიბგირში“ კლოდინეს, „ივანობის ღამეში“ ტრუდას და სხვა.

ამავე პერიოდში ქართულ თეატრში მუშაობდა კარგი გარეგნობის მსახიობი ალ. კარგარეთელი, რომელიც გრანდ დამების როლებს თამაშობდა. შემდგომში სცენაზე დაიწყეს მუშაობა თვალსაჩინო მსახიობებმა პაშა შოთაძემ, ელენე ციმაკურიძემ, თამარ აბაშიძემ, ბაბო გამრეკელმა, შალვა ხონელმა (გოგოლაშვილმა), დათა მგალობლიშვილმა, შაქრო გომელაურმა და სხვ.

* * *

1901 წლის თებერვალში ლადო მესხიშვილის რეჟისორობით და ვალერიან გუნიას ადმინისტრატორობით შედგენილ იქნა პატარა დასი, რომელმაც იმოგზაურა ბათუმში, ფოთში და ოზურგეთში. რეპერტუარში იყო შექსპირის „ოტელო“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედ-

ნიერება“, ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული „ორი გმირი“, „პირველი ბუზი“ და ერთმოქმედებიანი კომედიები და ვოდევილები. ჩინებული მსახიობი ვ. გუნია, ასევე კარგი ორგანიზატორიც იყო. დასს კიდევ ამშვენებდა ისეთი მსახიობი, როგორც იყო ლადო მესხიშვილი და ამიტომაც ყველგან ხალხი აღფრთოვანებით ეგებებოდა ჩვენს წარმოდგენებს.

ამ მოგზაურობის შემდეგ ვეწვიეთ დედაქალაქს. ქუთაისის სეზონების ხელმძღვანელობისას ლადო ხშირი და სასურველი სტუმარი იყო დედაქალაქის. დრამატული საზოგადოება ხშირად იწვევდა თბილისში საგასტროლოდ ლადოს, რომლის სახელიც ყოველთვის აუარებელ მაყურებელს იზიდავდა და მატერიალურად დიდად ხელს უწყობდა მისი გასტროლები თბილისის დასს. გასტროლებზე ლადო ხშირად თავის პარტნიორებით, ქუთაისის მსახიობებით მიდიოდა ხოლმე. ჯერ კიდევ 1900 წელს, როცა ლადო მიიწვიეს თბილისში საგასტროლოდ, მან დადგა „ედმონდ კინი“, „ცხოვრების გმირი“, „სამშობლო“. ლადოსთან ერთად მეც ვიღებდი მონაწილეობას ამ წარმოდგენებში, როგორც გასტროლიორი, ხოლო 1901 წ. კი ლადო ეწვია თბილისს შილერის „ყაჩაღებით“ და კარეევის „უბედური ნაბიჯით“. გასტროლების დროს ჩემს საბენეფისოდ დავდგით „უბედური ნაბიჯი“. როგორ შეხვდა საზოგადოება და პრესა ამ ჩვენს გასტროლებს, ამაზე არაფერს ვიტყვი. თავის თავზე ლაპარაკი უხერხულად მიმაჩნია და არც მიზნად მაქვს ჩემი არტისტული შემოქმედების შემფასებელი მე თვითონ გავხდე. მე მგონია ერთხელ უკვე დავარღვიე ეს, როცა მოგონებათა მეორე თავში პირველი რეცენზია მოვიყვანე, მაგრამ მოგეხსენებათ დებიუტანტისათვის პირველი რეცენზია და ისიც დიდი ილიას გაზეთში, ეს ისეთი ამბავი იყო ახალგაზრდა მსახიობისათვის, რომ არ შემეძლო თავი შემეკავებინა და ჩემი მაშინდელი სიხარული არ აღმენიშნა.

თავი მეხუთე

კვლავ მშობლიურ ქუთაისში. დრამატული საზოგადოების 1903—1904 წლების სეზონი. აკაკის დადგმები, „ლალატი“ ქართულ სცენაზე. დასიდან ჩემი გასვლა. „მოცლილი კაცის“ წერილი. კოტე მესხიხ პასუხი. ჩემი წერილი რედაქციის მიმართ.

1901 წლის გასტროლების დამთავრების შემდეგ ქუთაისს დავბრუნდი. ავადმყოფობის გამო თითქმის მთელ წელიწადს ჩამოვშორდი სცენას და მხოლოდ 1902 წლის 10 თებერვალს პირველად მივიღე მონაწილეობა და ვითამაშე ა. ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილში“ პოლინას როლი. მშობლიური ქუთაისი გულთბილად შემხვდა. ჩემი განკურნების და სცენაზე გამოჩენისთანავე მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაცია მომიწყო. გული სიამით ივსებოდა, რომ კვლავ საყვარელ ქუთაისში ვიმყოფებოდი, ჩემს მეგობრებს შორის, ჩემს მასწავლებელ ლადო მესხიშვილთან. როგორც ყოველთვის ლადომ ამ საღამოსაც ისახელა თავი, იუსოვის დაუვიწყარი სახე შექმნა და მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია. ამავე წლის ბოლოს დრამატული საზოგადოების მიწვევით თბილისში მოეწყო ჩემი გასტროლები. ვითამაშე „უბედურ ნაბიჯში“ ვარვარას როლი, მელიაკ და ჰალევის „ცქრიალაში“ და სხვა.

1903 წლის 19 თებერვალს ქუთაისის სცენაზე პირველად განვასახიერე იბსენის „ნორაში“ მთავარი როლი და

ამავე წელს გავიმეორეთ. ჩემი რეპერტუარი გაფართოვდა და 1903 წლის მარტში თბილისში ძველ რეპერტუართან ერთად ვითამაშე ნორა და მედეა. ამ პერიოდში ქართულ თეატრს ისეთი ბრწყინვალე მსახიობები ამშვენებდნენ, როგორიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი-აბაშიძისა, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ყ. გამყრელიძე და სხვები. ქუთაისის დასს კი სათავეში ედგა ლადო მესხიშვილი თავისი ახალგაზრდა ნიჭიერი მოწაფეებით. ბრწყინვალე თბილისის დასს არ ყავდა ტრაგედიული როლების შემსრულებელი ქალი მსახიობი და გასტროლიორებით სეზონის რიგიანად წარმოება შეუძლებელი იყო. დრამატული საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა მთელი სეზონით ჩემი მოწვევა დასში და გაიმართა მოლაპარაკება. თუმცა მიმძიმდა ქუთაისისათვის თავის დანებება, მით უმეტეს იქ ჩემი დიდი მასწავლებელი ლადო იყო, მაგრამ მაინც დავთანხმდი 1903-1904 წლის სეზონში თბილისში მემუშავნა. დრამატულ საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებით მე ვალდებული ვიყავი თვეში მხოლოდ ოთხჯერ მეთამაშნა და ამასთან ვიტოვებდი უფლებას არ მიმეღო მონაწილეობა ისეთ ისტორიულ პიესებში, რომლებიც ჩემს მხატვრულ გემოვნებას არ აკმაყოფილებდნენ. ეს გამოწვეული იყო ისეთი ისტორიული პიესების გამრავლებით, რომლებიც დრამატულ ნაწარმოებთა ელემენტარულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ. საკმარისია დავასახელოთ „მტარვალი“, „ქართვლის დედა“ და სხვა. გავიხსენოთ დიდი ილიას წერილი 1890 წელს „ახალი დრამების გამო“, რომელშიაც სასტიკად იყო დაგმობილი ასეთი ყალბი პიესები.

ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“ ჯერ არ იყო დაწერილი და მე ისტორიული პიესებიდან მხოლოდ „სამშო-

ბლოში“ ვთამაშობდი ქეთევანს, ვ. გუნიას „და-ძმაში“ მარინეს. დრამატული საზოგადოება ქუთაისიდან ხშირად იწვევდა საგასტროლოდ მესხიშვილს და ამ სეზონში ვითამაშე მესხიშვილთან „ჰამლეტში“ ოფელია, „ყაჩაღებში“ ამალია და „კინში“ ელენე.

დასის მთავარ რეჟისორად მოწვეული იყო ჩვენი დიდი პოეტი აკაკი. აკაკის რეჟისორობით დაიდგა მისივე „პატარა კახი“, სუვორინის „მედეა“, „მონასტრის ზღუდეთა შორის“, „პირველი ბუზი“ და სხვა. ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი ქართული თეატრის დიდი მოამაგე იყო და 1879 წ. განახლებული პროფესიული დასის ერთი ორგანიზატორთაგანი. აკაკი თეატრთან ყოველთვის ახლოს იდგა და მის საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, როგორც დრამატურგი, რეცენზენტი და სხვა. ერის საამაყო მგოსანი დიდი შარავანდედით იყო მოსილი და ვგონებ აკაკის რეჟისორად მოწვევა ამით აიხსნება. საჭირო იყო დასში ავტორიტეტიანი ადამიანი და ამ მხრივ აკაკიზე უკეთესი ვინ მოიძებნებოდა, მაგრამ დიდი მგოსანი აკაკი, დიდი თეატრალი, არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე რეჟისორი იყო. რეჟისორის ერთგვარი პროფესიული გამოცდილება მას არ ჰქონდა, მსახიობებთან ისე ვერ მუშაობდა, როგორც ეს საჭირო იყო. საუცხოოდ გადმოგვცემდა აკაკი პიესის შინაარსს, იშვიათი გულმოდგინებით განუმარტავდა მსახიობთ წარმოსასახავ გმირთა ხასიათებს, მაგრამ ძველად რეჟისორის როლი ამით არ ამოიწურებოდა. რეჟისორს თვით უნდა ეჩვენებინა მსახიობისათვის, როგორ უნდა ეთამაშნა და აკაკის კი ამ მხრივ როგორც არაპროფესიონალს, ისეთი გამოცდილება არ ჰქონდა, როგორც მაგალითად, ლადოს, კოტე მესხს და სხვ. ამით აიხსნება, რომ მიუხე-

დავად იმისა, რომ დასს სათავეში ედგა ერის სახელოვანი შვილი დიდი აკაკი სეზონი არ შეიძლება ითქვას, რომ ბრწყინვალე ყოფილიყოს. ამ სეზონის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო „ღალატის“ დადგმა. მკითხველს მინდა გავახსენო ეს ამბავი მით უმეტეს, რომ ამ პიესის დადგმის ირგვლივ თავის დროზე შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა და ნაწილობრივ ეს მეც შემეხებოდა.

1903 წელს ჩვენმა თანამემამულემ ალექსანდრე ივანესძე სუმბათაშვილ-იუჟინმა დაწერა ახალი პიესა-„ღალატი“. ამ დიდ არტისტს და დრამატურგს არა ერთი პიესა ჰქონდა დაწერილი. ზოგი ქართულადაც იყო თარგმნილი და გადმოკეთებულიც, მაგალითად: „ბორკილები“ „შევარდნები და ყორნები“, „ციხის საიდუმლო“, რომლებიც ჩვენს თეატრში არა ერთხელ დაიდგა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, სულ სხვა იყო „ღალატი“; ეს იყო ჩვენი ქართული ისტორიული ლეგენდა, ჩვენი ღვიძლი ამბავი და ამავე დროს დაწერილი სცენის დიდი ოსტატის, ნიჭიერი დრამატურგის და საქართველოს ღვიძლი შვილის მიერ.

რა თქმა უნდა, მთელი ქართველობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ პიესას. უნდა ითქვას, რომ მანამდე ბევრი ქართველი უსაყვედურებდა სუმბათაშვილს, რომ ის მოღვაწეობდა რუსეთში და არა საქართველოში; თითქოს ღალატობდა საქართველოს. „ღალატის“ დაწერის და დადგმის შემდეგ მოსკოვმა ამ ნიჭიერ არტისტს იუბილე გაუმართა. ამ იუბილეზე ქართულმა თეატრმა დელეგატად გაგზავნა ცნობილი მოღვაწე, არტისტი კოტე მესხი. კოტემ იუბილარს სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებით მიმართა: „შენი ღალატი შენივე „ღალატით“ გამოისყიდე“.

ნ. ჩხეიძე ნორას როლში („ნორა“)

თბილისის ქართულ სცენაზე „ღალატი“ დაიდგა 1904 წლის 20 იანვარს. ეს პიესა თვითონ სუმბათაშვილმა გამოუგზავნა კოტე მესხს სათარგმნელად. რა თქმა უნდა, კოტე დიდი ხალისით შეუდგა თარგმნას. თეატრში როგორც მსახიობებმა, ისე დრამატულმა საზოგადოებამ იცოდა თარგმნის ამბავი და ყველა ერთნაირი მღელვარებით ელოდა ჩვენი დიდი თანამემამულის პიესის ჩვენს სცენაზე დადგმას. როდესაც კოტემ თარგმნა დაასრულა და თეატრს ჩააბარა, გამგეობამ მაშინვე მიიღო და დაამტკიცა იგი.

მთავარი როლი, ზეინაბი დააკისრა ეფემია მესხს, რომელიც ბაქოში ცხოვრობდა და დროგამოშვებით გვეწვეოდა ხოლმე თბილისში საგასტროლოდ. ეფემია უკვე იცნობდა პიესას რუსული ეგზემპლარით, რომელიც დაბეჭდილი იყო მოსკოვში ცალკე წიგნად. როდესაც თეატრმა როლი გაუგზავნა, ეფემიამ მაშინვე დიდი ხალისით მიიღო დაკისრებული როლი და შეუდგა მის შესწავლას და შეთვისებას.

ცოტა ხნის შემდეგ თეატრმა მიიღო ქართული ენის კარგად მცოდნის და მთარგმნელის, გრიგოლ ყიფშიძის, ახალი თარგმანი. ამ ამბავმა გამოიწვია თარგმანების შედარება და აზრთა მწვავე გაცვლა. რამდენადაც მახსოვს, ვალერიან გუნიას ზეგავლენით, გამგეობამ გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი არჩია. რა თქმა უნდა, კოტე ნაწყენი იყო. ბევრი მსახიობის აზრითაც კოტეს თარგმანი სჯობდა, ძლიერი და წმინდა თეატრალური ენით იყო დაწერილი და ამიტომ ფიქრობდნენ, რომ კოტეს ცუდად მოექცნენ. მაგრამ რაკი გამგეობა ასეთ გზას დაადგა, რალას გააწყობდნენ?

მაშინდელ დროში პიესის მთარგმნელები და ზოგიერთ შემთხვევაში ავტორებიც ჰონორარს არ იღებდნენ.

მათთვის ეს ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი დატ-ვირთვა იყო.

დადგმის საქმე რომ არ გაფუჭებულიყო და თეატრის დისციპლინა არ დარღვეულიყო, კოტე გამგეობის დადგენილებას დაემორჩილა, მუხედავად წყენისა, რეჟისორობაზე უარი არა თქვა და განაგრძო თავისი მუშაობა.

ახლა საკითხი ის იყო, რა ექნათ ეფემია მესხისათვის, რომელსაც როლი კოტეს თარგმანით ჰქონდა შესწავლილი. გადაწყვიტეს ეფემია კოტეს თარგმანით ითამაშებდა და სხვები კი ყიფშიძისა.

მთავარი როლები ასე იყო განაწილებული:

ზეინაბი — ეფემია მესხი.

სოლეიმანი — ლადო ალექსი-მესხიშვილი.

ოთარ-ბეგი — ვალერიან გუნია.

ანანია გლახა — კოტე ყიფიანი.

გაიანე — ნინო დავითაშვილი.

რუქაია — ალ. კარგარეთელი.

ბესო — კოტე მესხი.

საბა ბერი — სოსო ივანიძე.

დათო — სვიმონიძე.

ერეკლე — კ. შათირიშვილი.

მე ამ პიესაში თავისუფალი ვიყავი, რადგან ჩემთვის შესაფერისი როლი არც ერთი არ იყო.

რატომღაც თარგმანის გარშემო შექმნილ ატმოსფეროსა და კოტე მესხის წყენის გამო, დრამატულ საზოგადოების გამგეობამ ეჭვი აიღო, ეფემია თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, კოტეს ზეგავლენით თამაშზე უარს იტყვისო. შემიყვანეს გამგეობის ოთახში, ამიხსნეს მოსალოდნელი საშიშროება და გამომიცხადეს, თუ ეფემია უარს იტყვის, ზეინაბი შენ უნდა მოამზადო და ითამაშოო. ჩემთვის 23 წლის ქალისათვის, რომელსაც ხნიერი ქალის როლი არასოდეს არ შემესრულებინა, ეს წი-

ნადადება მოულოდნელი იყო. მერე ისიც ზეინაბის როლის შესრულება! ასეთი რთული როლის თამაში იმ პიესაში, რომელსაც ასე გულისძგერით მოელოდა მთელი ქართველი საზოგადოება!... რა თქმა უნდა, საშინლად ავღელდი. მაგრამ იმდენად დარწმუნებული ვიყავი, არც კოტე, არც ეფემია ასეთ საქმეს არ ჩაიდენ-დნენ, რომ თამამად უპასუხე: მე ისე კარგად ვიცნობ ეფემიას და კოტეს, ისე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ასეთ სისაძაგლეს არ ჩაიდენენ, რომ თუ ეს მოხდა, გაძ-ლევთ სიტყვას მე ვითამაშებ-მეთქი. ჩამოვიდა ეფემია, თარგმანის გარშემო არავითარი უკმაყოფილება არ გა-მოუთქვამს. გამგეობა დამშვიდდა, რეპეტიციები დაიწყო და ყველანი დიდი მოწიწებით და ხალისით მუშაობდნენ. მე რა თქმა უნდა, როლისათვის ხელი არ მომიკიდნია.

პიესა დაიდგა საოპერო თეატრში, რომ მეტ ხალხს შესძლებოდა ამ წარმოდგენის ნახვა. პიესა მზადდებოდა ჩვენს ქართულ თეატრში. საოპერო თეატრის დირექციამ რეპეტიციებისათვის სცენა მხოლოდ ერთხელ მოგვცა, წარმოდგენის დღეს დილით. საოპერო თეატრის უზარ-მაზარ სცენას და დარბაზს თავისი საოპერო აკუსტიკა და რეზონანსი აქვს, ხოლო ჩვენი, შედარებით პატარა თეატრის სცენასა და დარბაზს თავისი. ქართველ მსა-ხიობს, პატარა სცენას დაჩვეულს, დიდი გამოცდილება უნდა ჰქონოდა, რომ ახალ, უჩვეულო პირობებში ეთა-შაშნა, რომ მისი როლის სიტყვები თავისუფლად და მკაფიოდ მისულიყო მსმენელის ყურამდე. საერთო მღელ-ვარებამ ყველა შებოჭა: ღელავდნენ მსახიობნი, ღელავდა რეჟისორი, ღელავდა გამგეობაც, მხოლოდ ეს არ იყო ის შემოქმედებითი მღელვარება, რომელიც წარმატებას ქმნის, ეს უფრო ნაკისრი დიდი ამოცანის სუსტად შესრულების შიში იყო. ხუმრობა საქმე არ იყო ჩვენი

თანამემამულის სუმბათაშვილის „ღალატის“ განსახიერება. ღელავს საზოგადოებაც—მოელის არაჩვეულებრივ სპექტაკლს.

აი, წარმოდგენის საღამოც! ოპერის თეატრი გაჭედილია სადღესასწაულოდ მორთული საზოგადოებით, ყველას სიამოვნების ღიმილი უკრთის სახეზე, თან ყველას ნერვები დაჭიმული აქვს.

იქ კი, ფარდის უკან, უფრო დიდი მღელვარეობაა, უფრო დიდი ნერვიულობა. თავქუდმოგლეჯილი დარბის სცენარიუსი (ახლანდელი რეჟისორის თანაშემწე) ხან დეკორაციას ამოწმებს, ხან რეჟისორთან მირბის რაიმე ახალი განკარგულების მისაღებად. მსახიობი—ზოგი მზად არის და ჩუმად კუთხეში როლს იმეორებს, ზოგთან ზის მოკარნახე, ცნობილი პოეტი ბეგლარ ახოსპირელი, თვითონ მშვიდი ადამიანი და მსახიობს ამშვიდებს: ნუ ღელავ, როლი ხომ კარგად იცი, ხოლო თუ მაინცადამაინც შეგეშლება, მე ხომ აქა ვარ!

ქალები ტანსაცმელს ისწორებენ, ერთიმეორეს შველიან, ხანდახან ქინძისთავი ან პირბადე ხელს არ ემორჩილება... მაგრამ, მიუხედავად საერთო მღელვარებისა, თითქმის ყველას გაბრწყინებულ თვალებში დიდ იმედს ვკითხულობ და ვხედავ, რომ ქართველი მსახიობი ამ ძნელ ღელოს გაიტანს.

და აი, აიხადა ფარდა, დაიწყო წარმოდგენა... ვზიავარ ლოჟაში და სულგანაბული, გულისძგერით ველოდები ჰიესის პირველ სიტყვებს, მაგრამ არავისი არაფერი არ ისმის... აქა-იქ გაარჩევ ოთარ-ბეგ-გუნიას და რუქა-ია-კარგარეთლის სიტყვებს, დანარჩენის სიტყვები სრულებით იკარგება, მსმენელის ყურამდე ვერ აღწევს. ისმის მხოლოდ გუგუნი, თითქოს დიდ გვირაბში ვართ.

ვერც მსახიობმა, ვერც რეჟისორმა, ვერც გამგეობამ ვერ გაითვალისწინა უჩვეულო აკუსტიკის კანონები და პირობები.

მთელი დარბაზი საშინელ გუნებაზე დადგა: მშვენიერი, ძლიერი სპექტაკლის იმედი უცრუვდებოდათ, თითქოს ქართულმა თეატრმა ქართველი საზოგადოება მოატყუა.

გამოუთქმელი იყო მათი მღელვარება, ვინც სცენაზე იყო; ყველამ იგრძნო საშინელი ხიფათი... პირველ ხანებში ზოგმა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება სცადა, მაგრამ ამაოდ... პირველი წუთების მარცხმა იმდენად შებოჭა მსახიობები, რომ გამოსწორების ნაცვლად, უფრო ღრმად შეტოპეს. პირველი მოქმედების საშინელება დაგვირგვინდა იმით, რომ ფარდა ადრე ჩამოუშვეს, ასე რომ ისახარის მშვენიერი სიტყვები: „ეს მეოცე აღდგომაა ასეთი“ სულ არ იყო თქმული.

შემდეგი მოქმედებებიც სუსტი იყო: სიტყვები ისმოდა შედარებით მკაფიოდ (მსახიობებმა ალბათ მონახეს ხმის საჭირო დონე და ხაზი), მაგრამ ამსრულებლებს ხალისი დაეკარგათ, უფერულად, უძარღვოდ თამაშობდნენ და სპექტაკლის მსვლელობას მაჯისცემა დაეკარგა. ამას დაერთო კიდევ ის ამბავი, რომ მეხუთე მოქმედებაში მეტეხი უდროოდ ააფეთქეს და, რაღა თქმა უნდა, პიესის ბოლოც შეიკვეცა.

რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო საერთო მღელვარება, თუ საოპერო დარბაზი, ფაქტი ფაქტად დარჩა; წარმოდგენა მარცხით დამთავრდა.

მსახიობები თავზარდაცემულნი, თავჩაღუნულნი ჩუმად თითქოს გაპარვით წავიდნენ შინ.

ხოლო დამსწრე საზოგადოება, ეს სადღესასწაულოდ მორთული ხალხი, გულგატეხილი, ნაწყენი, ისე უხმოდ გავიდა თეატრიდან, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო-

არც გასაკვირია: იმ დროს ქართველ საზოგადოებას მხოლოდ ლიტერატურა და თეატრი ჰქონდა; სულიერად ამით ცხოვრობდა. თეატრში იგი ეძებდა თავისი აზრების, თავისი იდუმალი მისწრაფების გამოძახილს, ეძებდა სიხარულს და შვებას. მას არა ერთხელ გატეხია გული ხან რეპერტუარის უშნო არჩევით, ხან მსახიობთა სუსტი თამაშით. მაგრამ „ღალატის“ დადგმის მარცხით ქართულმა თეატრმა ქართველ საზოგადოებას დიდი უსიამოვნება მიაყენა, თითქოს უღალატა, გული ატკინა. ტკივილიც ძალიან მწვავე იყო.

ამ წარმოდგენის შემდეგ დასი „ღალატით“ ბათუმში და ჭიათურაში გაემგზავრა იმ პირობით, რომ იქიდან დაბრუნების შემდეგ ისევ დადგამდნენ „ღალატს“ ჩვენს ქართულ თეატრში.

დასის გამგზავრების შემდეგ ჩვენს თეატრში რაღაც წარმოდგენა იყო და მეც წავედი საყურებლად. ანტრაქტის დროს ფოიეში შემხვდა თავადაზნაურობის მაშინდელი წინამძღოლი მელიქიშვილი, გამაჩერა და მითხრა:

— ერთი სასიამოვნო ამბავი გავიგე!...

— რა, ბატონო?

— გავიგე, რომ ზეინაბს თქვენ ითამაშებთ და ძალიან მოხარული ვარ!.

— რასა ბრძანებთ? ვინ თქვა?

— დიახ, დიახ, მითხრეს, თქვენ ითამაშებთ და გთხოვთ უარი არა თქვათ.

ელდა მეცა. გავიქეცი ამბის გასაგებად გამგეობის წევრებთან. „დიახ, მითხრეს, საჭიროა თქვენ ითამაშოთ.“ „მერე ეფემია მესხი? აკი იმ გადაწყვეტილებით წავიდა ბათუმში, ქუთაისში, რომ იქიდან დაბრუნებულს ისევ თბილისში უნდა ეთამაშნა ზეინაბი?! ამას გარდა,

მე ხომ როლისათვის ხელი არ მომიკიდნია? დასი მოგზაურობაშია... ვისთან უნდა გავიარო რეპეტიციები? ვისთან უნდა მოვამზადო როლი?

— არა უშავს რა, მარტო გაივლით, მერე დასიც ჩამოვა და ერთ რეპეტიციას მასთან გაივლით.

— არა, მე ამას არ ვიზამ, და გულშემოყრილი შინ წავედი. მეორე დღეს მივედი თეატრში, სცენაზე ვარ, და აკაკი წერეთელმა გამომიტანა პიესა.

— აბა შეუდექი სწავლას! მეუბნება აკაკი.

— არა, ბატონო, მე არ შემიძლია ამ როლის თამაში.

— როგორ თუ არ შეგიძლია, აკი შეგვპირდი!

— დიახ დაგპირდით, თუ ეფემია მესხი უარს იტყოდა ამ როლის შესრულებაზე. ეფემიას უარი არ უთქვამს, მე უნდა შევეცილო? მერე რისთვის? განა მისი ბრალი იყო, რომ პიესამ ცუდად ჩაიარა? არა, ეს საერთო უბედურება იყო... ურეპეტიციობა ოპერის თეატრში, საერთო მღელვარება...არა, მე უფროსი ამხანაგის მიმართ ასე ვერ მოვიქცევი...ეფემია მესხი იმის გარდა, რომ ჩემი უფროსი ამხანაგია, მასწავლებელიც არის...პირველად ანბანის სწავლა მან დამაწყებინა... პირველად მან ამადგმევინა ფეხი სცენაზე!...“

აკაკი საშინლად განრისხდა, დამიწყო დავა.

— არა, ბატონო, აკაკი, თქვენ ნუ... თქვენ ნუ მელაპარაკებით ამაზე, არ მინდა თქვენ გაწყენინოთ!...

ცოტა ხნის შემდეგ დამიბარა გამგეობის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ გიორგის-ძე ქართველიშვილმა, დიდად კულტურულმა, მუსიკის კარგად მცოდნემ და თეატრის დიდმა მოყვარულმა ადამიანმა. მისი ხმამაღალი სიტყვა არასოდეს არ გაგვიგონია. ყველასთან ზრდილი, თავმდაბალი და კულტურული მოქცევა ჰქონდა. ჩვენ ყველანი

დიდ პატივსა ვცემდით და აი, ამ ადამიანმა დაიწყო რწმუ-ნება, რომ მე მოვალე ვარ ზეინაბის როლი ვიკისრო და ამით გამგეობის დავალება შეეასრულო.

- მასაც იგივე ეუთხარი, რაც ჩვენს დიდ პოეტს. ვერც იმან დამარწმუნა, ვერც მე. მაშინ ამ მშვიდმა ადამიანმა ხმა აიმაღლა და მითხრა: „ბოლოს და ბოლოს, მე, როგორც გამგეობის თავმჯდომარე, მოვითხოვ თქვენგან შეასრულოთ ჩვენი ბრძანება!“

— თუ აგრეა მაშინ გამანთავისუფლეთ დასიდან,— და მისი კაბინეტიდან გამოვედი. ამით დასრულდა ჩვენი ბაასი. გამოვედი და ბავშვივით ავღრიალდი.

რამდენიმე დღის შემდეგ დასი დაბრუნდა მოგზაურობიდან. იმ დროს მე კოტე მესხის ოჯახში ვცხოვრობდი. კოტეს გაუკვირდა, შინ რომ დამინახა და მკითხა: შენ რეპეტიციაზე რატომ არა ხარ ბოშო? იმ დროს თეატრში რაღაც ახალ პიესას ამზადებდნენ. კოტეს მეუღლემ ნატომ ჩემს მაგიერ უპასუხა: ნუცა დასიდან გამოვიდა და უამბო ყველაფერი.

საქმის ვითარება რომ გაიგეს, კოტეს ძალიან ეწყინა და უფრო მეტად ეფემიას. ეფემია მესხმა კატეგორიულად გამოაცხადა, რომ ზეინაბს, აღარ ითამაშებს და ახლავე ბაქოში გაემგზავრება.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გამგეობამ გაიგო და ცოტა ხნის შემდეგ ეფემიასთან მოვიდა ნიკოლოზ ქართველიშვილი და სხვები. დიდი თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ეფემია ზეინაბის თამაშზე. ორიოდე დღის შემდეგ „ღალატი“ ისევ დაიდგა ჩვენს თეატრში იმავე შემადგენლობით და დიდი წარმატებითაც. მსახიობი თავის საკუთარ თეატრში თამაშობდა, წინანდელ, ჩვეულებრივ პირობებში იყო და მთელი სპექტაკლი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

მიუხედავად წარსული მარცხისა, დარბაზი ისევ გაჭედილი იყო ხალხით. ზოგს ჯერ არ ენახა ეს პიესა, ზოგიკი, ვინც პირველ წარმოდგენას დაესწრო, გულის სიღრმეში ინახავდა იმედს, რომ წარსული შეცდომა შემთხვევითი და დროებითი ამბავი იყო.

მართლაც, აიხადა ფარდა, გაისმა თუ არა ლადო მესხიშვილის—სოლეიმანის ხმა „დიდ არს ალლაჰი“! და ოთარ-ბეგის—გუნიას პასუხი. განვლო თუ არა ზეინაბ—ეფემია მესხის და ოთარ-ბეგის სცენამ, სიხარული ვიგრძენი, რომ საქმე სწორდებოდა, მსახიობები სასურველ დონეზე იდგნენ და მთელი პიესა ძლიერი განცდით იქნებოდა შესრულებული.

და ახლაც, ორმოცდაექვსი წლის შემდეგ, როცა ამ სპექტაკლს მოვიგონებ ხოლმე, გული სიამაყით მევსება: თვალწინ მიდგას დაუვიწყარი სახეები: სოლეიმანი—უძლეველი მფლობელი, მისტიკური სახე, თვით ბედისწერა. რუქაიასთან საუბრის დროს მისი მშვიდი და ტკბილი თვალები, რისხვის დროს ცეცხლებს აფრქვევდა და მაყურებელს შიშის ზარს სცემდა.

ოთარ-ბეგი—ვალერიან გუნია, ძველი, დიდად გამოცდილი მსახიობი, არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ამ როლში. როდესაც მესამე მოქმედებაში ზეინაბთან საუბრის დროს მასში იღვიძებს სამშობლოსადმი მიფერფლილი სიყვარული, მისი, საერთოდ ლამაზი ხმა, იმდენად წრფელი გახდა და მისი განცდა იმდენად ძლიერი, რომ მაყურებელი სცენაზე ხედავდა ნამდვილ ძველ ქართველ მეომარს და სჯეროდა, რომ ასეთი ქართველი სოლეიმან-ხანსაც თამამად გაუმკლავდებოდა.

ეფემია მესხი, მთელი სპექტაკლის მთავარი ძარღვი, პირველ სპექტაკლში ზედმეტად აღელვებული, შემკრთალი და გაუბედავი, ახლა გაბედულად ანსახიერებდა

როლს. მეხუთე მოქმედებაში, როდესაც სოლეიმანი დამარცხებულია, ეფემიას ხმა გამარჯვების აღტკინებით და შურისძიების გრძნობით იყო აღვსილი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა მსახიობმა ნინო დავითაშვილმა გაიანეს როლში. ჩვენი მდიდარი ბუნების პირმშო შვილი, ახალგაზრდა, ლამაზი, ცქრიალა, გულუბრიყვილო, ყველა იმ თვისებებით დაჯილდოებული, რაც გაიანესათვის აუცილებელია, მართლაც მშვენიერი გაიანე იყო. მრავალი გაიანე მინახავს ქართულ სცენაზე, მაგრამ ნინო დავითაშვილისთანა არც ერთი არ ყოფილა.

კოტე ყიფიანის ანანია გლახა დინჯი, ნამდვილი ქართველი, რომელმაც „ხანჯლის ჩაცემა შიგ გულში იცის“.

კოტე მესხი—ხუმარა ბესო, საბა ბერი—სოსო ივანიძე და საერთოდ ამ სპექტაკლის ყველა მონაწილე ერთიმეორეს თითქოს ეჯიბრებოდა გამარჯვებისათვის.

და მართლაც, გამარჯვება დიდი იყო და პრემიერის დროს ნაწყენი მაყურებელი, ახლა აღფრთოვანებული მხურვალე ტაშით აჯილდოებდა თეით პიესას, ავტორს და მსახიობებს.

* * *

უმართებულოდ მოექცნენ რა ჩემს პირველ მასწავლებელს და ნიჭიერ მსახიობს ეფემია მესხს, მე იძულებული შევიქენი შემეტანა განცხადება დრამატულ საზოგადოებაში დასიდან გასვლის შესახებ. ამ გარემოებამ დიდი ბითქმა-მოთქმა გამოიწვია, რასაც პრესაც გამოეხმაურა. „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა „მოცლილი კაცის“ ფსევდონიმით წერილი, რომელიც შემოკლებით მომყავს.

ივერია 1904 წელი, კვირა 1 თებერვალი № 25

„ფელეტონი შურდულიდან“

მოცლილი კაცის დღიური.

„ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩენა“.

ფილოსოფოსი ე. კ ა ნ ტ ი.

„...ყოველთვის ასეა: პატარა კაცსა-კაცუნას დიდი გული აქვს. აი, ომი გამოუცხადეს კიდევ ზოგიერთმა მსახიობებმა ქართულ დრამატული საზოგადოების კომიტეტს და საგრძნობი ზარალი მიაყენეს. ანგელოზი ხომ ანგელოზია; ისიც კი, ჟამთა ვითარების გამო, ეშმაკის ფრთებს შეისხამს და გაფრინდება ხოლმე კაცთა სავნებლად. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა ისეთი ფარეზობით, ისეთი მოკრძალებით, წრფელის სიყვარულით არავის ეპყრობოდა დასში, როგორც ქ-ნ ნინო ჩხეიძეს. ბ-ნ ვლ. ალექსიმესხიშვილის შემდეგ ყველაზე მეტი ჯამაგირი იმას დაუნიშნა, დაუნიშნა მხოლოდ ოთხის თამაშისათვის თვეში, რომ მსახიობი ქალი არ შეწუხებულიყო, მთელი თბილისის ქართველობა მისი ბენეფისისათვის ზრუნავდა, კომიტეტი გულითა და სულით ცდილობდა, ბრწყინვალედ ჩაეარა ამ დღესასწაულს, სწორედ კომიტეტიც და საზოგადოება ფიანდაზად გაეშალა და აი სწორედ იმ დროს, როდესაც კომიტეტიც და საზოგადოებაც ფიანდაზად, რომ გაეშალა ჩხეიძისას ფეხთა ქვეშ, სწორედ მაშინ დააჭირა მან ორთაევის წიხლი და „უკადრისი წერილი, სწორედ უკადრისი“ წერილი მისწერა კომიტეტს და დასიდან გავიდა. რათა, რისთვის? ალლაჰმა უწყის. მხოლოდ!! თუ კომიტეტმა დაუშავა რამე, საზოგადოებისა რა ბრალია, იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი 18[1] იანვარს აღტაცებით მიიღო ფიანდაზად გაეშალა,

[1] ნამდვილად 18-ს იყო ტასო აბაშიძის ბენეფისი, ხოლო ჩხეიძისა 13 იანვარს, სამშაბათს—„მუშაკი და ნებიერი“ ჟორჟ ონეს.

თუ საზოგადოებამ დაუშავა რამე და ღირსეულად არ დააფასა მისი ნიჭი, კომიტეტისა რა ბრალია. ამ სტრიქონების დამწერმა ბეჯითად იცის, რომ კომიტეტს მის წინააღმდეგ ანი და ბანი არ დაუძრავს, არავითარი უკადრისობა არ მიუყენებია. ჩრდილი რა არის, ჩრდილი! ჩრდილიც კი უკადრისობისა, თუ შეიძლება ასეთი ქართული ითქვას, არ მიუყენებია, მაგრამ ეს გარეგნობით მშვიდობიანი ქალი, ანგელოზის სახით ანუ წმინდა ასულად მოჩვენებული ქალი, შიგნიდან ჭრელი ყოფილა. გავიდა იგი დასიდან, როდესაც ბენეფისი გაათავა, ფულები ჩაიჩხრიალა და საზოგადოება და კომიტეტი ალალ ფურივით მოსწველა. რაც უნდა ვინმეს ეწყენინებინა, ნინო ჩხეიძეს სეზონი უნდა დაემთავრებინა. ქალალდი შეიტანა კომიტეტში 23 იანვარს და სეზონი თავდებოდა 8 თებერვალს—ამ ორი კვირის გულისათვის ქართველ საზოგადოებისათვის, რომელმაც იგი,განვიმეორებთ, ისე შეიყვარა და შეიტკბო, არ უნდა ეღალატნა, ქვა არ უნდა ესროლნა, მაგრამ პირდაპირ ვეტყვით ქ-ნ ნინო ჩხეიძეს, რამდენადაც იგი ნიჭიერი მსახიობია, იმდენად, სულის ძალა არა ჰქონია და ამიტომ შემუსრა იგი იმ გარემოებამ, რომელიც მის გარშემო დაამყარა ეშმაკმა.

ხომ მოგეხსენებათ, ერთმა ეშმაკმა მთელი დასთა-დასი წმიდათა ანგელოსთა თვით საბაოთ ღმერთს გადაუყენა და აბა, ჩვილი არსება ნინო ჩხეიძისა, ამ ერთად-ერთის ანგელოსისა, როგორ გაუძლებდა იმ ტარტაროზსა, რომლის ბრჭყალებშიაც ის ჩავარდა. გვებრალება ეს ბუნებით მშვენიერი, მაგრამ სულით კი სუსტი ადამიანი, რომელიც თავის ხელითვე იგლეჯს თავიდან გვირგვინს დიდებისას და მიაქვს ტარტაროზის ტრაპეზზე. ნუ დაივიწყებთ და გულის ფიცარზე დაიწერეთ სიტყვები

დიდებულის ფილოსოფოსის კანტისა „ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩენა“.

ომი გამოუცხადა კომიტეტს დრამატიულ საზოგადოებისას ბ-ნმა კ. მესხმაც: შეიტანა ქალალდი, დასში ყოფნა არ მსურსო, ააა, აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული, თუ კუდი?! ახლა სრულიად ცხადია ჩვენთვის ნინო ჩხეიძის გასვლა დასიდან. მგონი, მკითხველთათვისაც ეს, მაგრამ პროვინციელ მკითხველთათვის კი გასაგები არ არის ეს ამბავი და უეჭველია, პროვინცია დაჰგმობს, როგორც კომიტეტს ისე საზოგადოებასაც, მაგრამ შემდეგს გავაცნობთ მკითხველებს.

ევრიკა!.. წუხელის დამესიზმრა ისეთი რამ, რომელიც ნათელსა ჰფენს ამ შავბნელს ანგელოსისას და ეშმაკის ხრიკებს... დამესიზმრა ნინო ჩხეიძე და კ. მესხი ბაქოში მიემგზავრებიან შესადგენად დასისა. ჩვენ აქ პერანგის საკინძს დავიბერტყეთ ძველებურად, ჩვენებურად და იქ იმათ ღმერთმა გამარჯვება მისცეს!!“

ამ წერილს პასუხი გასცა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა და რეჟისორმა კოტე მესხმა. ნიჰილერმა მსახიობმა და რეჟისორმა კოტე მესხმა თავის საპასუხო წერილში გამო

ის კი გაზვიადდა, ფეხი დაგვაჭირა, უკადრისი წერილი მოგვწერა და სამსახურსაც თავი დაანებაო!

სიცრუეა უზარმაზარი!

დაბეჭდონ ეს წერილი და ვნახოთ მაშინ, რით არის უკადრისი!

რაც შეეხება ფიანდაზობას და პატივისცემას... სასაცილოა ამაზე ლაპარაკი იმის შემდეგ, რაც ამ სეზონში თავს დაატეხეს ამ მშვიდს, და მართლა ნიჭიერ არტისტ ქალს: დიდის სიმკვახით, უზრდელად, მკაცრის კილოთი ემუქრებოდნენ სასტიკ ჯარიმებს, ბენეფისის წართმევას, დასიდან გაძევებას და რისთვის?

ჩვენ კარგად ვიცით რისთვის, მაგრამ ვუცდი იმათ პასუხს, რომ კიდევ დავიჭირო სიცრუეში.

ბოლოს საქმე იმდენად გამწვავდა ,რომ კრავმა ადამიანმაც ვეღარ მოითმინა ამდენი ყვირილი, მუქარა და დასიდან დაეთხოვა.

ახლა ვიკითხოთ:

ფიანდაზად გაშლა და პატივი ამას ჰქვიან?

სიცრუე იქნება, თუ ითქვა,—ამასაო!“..

(„ცნობის ფურცელი“ 1904წ. 12 თებერვალს).

ახლა მოვიყვანოთ ჩემი წერილიც:

წერილი რედაქციის მიმართ. ბ-ნ „მოცლილი კაცის დღიურის“ ავტორს.

„ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩენა“. მეც შევაწუხებ ფილოსოფოს კანტს და იმავე სიტყვებით მოგმართავთ ბ-ნ „მოცლილი კაცის დღიურის“ ავტორს. რომ დაფიქრებულიყავით, უეჭველია, არ მომმართავდით ამ სიტყვებით, რადგან თქვენ უფრო შეგფერით, ვიდრე მე. „ბეჯითად“ გცოდნიათ, როგორც ბრძანებთ, თუ როგორ „მოკრძალებით და წრფელის სიყვარულით“ მექცეოდა დრამ. საზოგ. კომი-

ტეტი, თუ როგორ „ჩავიჩხრიალე ფულები და ალალ-ფურივით მოვწველე საზოგადოება და კომიტეტი, ყველაფერი ეს თქვენ „ბეჯითად“ გცოდნიათ, ჩანს ძალიან დაახლოებული ბრძანდებით ამ საქმესთან; მაშ რად დაივიწყეთ ან უფრო არ მოისურვეთ აგეხსნათ ის, თუ რისთვის გამოვედი დასიდან, მე მგონია, ასეთ შემთხვევაში ყველას ზნეობრივი მოვალეობაა არა მარტო კაცის უსაფუძვლო გამტყუნება, არამედ სიმართლის გამოაშკარავება. საჭირო იყო საზოგადოებას სიმართლე გაეგო-თქვენ კი ყველა ეს მეტად დაინახეთ და გაიძახით: „ნ-ჩხეიძემ გამგეობას უკადრისი წერილი მისწერაო, საზოგადოებას წიხლი დააჭირა და სხვა“.

მე ვთხოულობ: ნამდვილი და „სიზმარიდან“ და მითქმა-მოთქმიდან შედგენილი მიზეზი ჩემი დასიდან გამოსვლისა გამოაქვეყნოთ; გამოაქვეყნოთ ჩემი „უკადრისი“ წერილი, აგრეთვე ის, თუ რითი გამოიჩინა „წრფელი სიყვარული“ გამგეობამ ჩემდამი! მივიღე ან როგორც თქვენ ბრძანებთ, „ჩავიჩხრიალე“ ჩემი შრომის ფული თუ არა?

რაც შეეხება ჩემს გარეგნულ-შინაგან ღირსება-ნაკლოვანებას დამეთანხმებით, ეს საქმეს არ შეეხება და უადგილოა გაზეთში ამაზე ლაპარაკი“.

ნ ი ნ ო ჩ ხ ე ი ძ ე.

(„ივერია“ 1904 წ. 14 თებერვალი, № 38).

თავი მეექვსე

წარმოდგენები ბაქოში. ჩემი გამოსვლა ზეინაბის როლში. უცხოეთში გამგზავრება.

დრამატული დასიდან გასვლის შემდეგ, როგორც წინა თავში აღვნიშნე, გავემგზავრე ბაქოში. ადგილობრივი სცენისმოყვარეების დახმარებით და ჩემი მეუღლის მიხეილ ქორელის მონაწილეობით 1904 წლის 22 თებერვალს ვითამაშეთ ა. კარეევის „უბედური ნაბიჯი“, ხოლო ორი კვირის შემდეგ ბრანდესის „სტუმარი“. ბაქოს ქართველობამ კარგად მიგვიღო, გვთხოვდნენ დავრჩენილიყავით იქ სამუშაოდ, მაგრამ გამოვტყდები გული დედაქალაქისაკენ მიმიწევდა და უყოყმანოდ დავთანხმდი ამხანაგების წინადადებაზე კვლავ განმეგრძო მუშაობა თბილისში. ჩამოსვლისთანავე არტისტული საზოგადოების თეატრში (ახლანდელი რუსთაველის სახელობის) დაიდგა „ღალატი“, რომელშიაც რუქაიას როლს ვასრულებდი. რუქაიას როლი ჩემს არტისტულ ბუნებას არ შეეფერებოდა, მე ის ვერ დავძლიე, რაც „ივერიის“ ფურცლებზე რეცენზენტმა ქ. ყ-ნმა (ქაიხოსრო ყიფიანმა) აღნიშნა კიდეც. წარმოდგენები იმართებოდა, როგორც ქართული თეატრის, ასევე სახალხო და არტისტული საზოგადოების თეატრებში. დროდადრო ქუთაისში მივემგზავრებოდი ლადო მესხიშვილის მიწვევით და იქ ვთამაშობდი. ამ სეზონში დიდი მოწონება ჰქონდა სა-

ზოგადოებაში პიესა „ახალ მოძღვრებას“, რომელიც დადგა ლადო მესხიშვილმა. მესხიშვილის მარკოს „ახალ მოძღვრებაში“ ეს აქტიორული შემოქმედების მწვერვალი იყო. მე ამ პიესაში ვთამაშობდი მერციას როლს. 23 წლისა შევსრულდი. ამ პერიოდში მე უკვე რამდენიმე ტრაგედიული როლი მქონდა ნათამაშევი: ოფელია („ჰამლეტი“), ამალია („ყაჩაღები“), მედეა, ივდითი, კორდელია და სხვა. ლადოს წინადადებაზე, მეთამაშნა „ღალატში“ ზეინაბი. დავთანხმდი. ალბათ მკითხველი იფიქრებს სწორედ ამ როლის თამაშზე უარის თქმამ გაიძულათ დასიდან გასვლა და რამდენიმე თვის შემდეგ კი სიამოვნებით თანხმდებითო. მიზეზი, რატომ განვაცხადე ამ როლზე უარი, საკმაოდ დაწვრილებით არის აღნიშნული წინა თავში და ამაზე აღარ შევჩერდები. ადვილად მიმიხვდებით რომელ მსახიობს არ უნდა კარგი როლის თამაში და ზეინაბი ხომ ერთი საუკეთესო სახეთაგანია ქართულ დრამატულ ლიტერატურაში. ზეინაბის როლი პირველად ქუთაისში ვითამაშე, ხოლო იმავე წელს (1904 წლის ნოემბერში) თბილისში სახაზინო თეატრში (ამჟამად ოპერის თეატრი).

მინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნო, თუ როგორ მოვამზადე ეს როლი. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ პიესა „ღალატს“ თავის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მე როგორც ქართველ ქალს მაინტერესებდა მეცადა ჩემი ძალღონე და განმესახიერებინა სამშობლოსათვის მებრძოლი ქალის სახე. ზეინაბი, მთელი 20 წლის განმავლობაში ნიღაბს ატარებს. ის ხომ საზიზღარ სოლეიმანხანის ჰარამხანის უფროსი მხევალია. ზეინაბი მთელ თავის სიცოცხლეს ოცნებობს სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ქართველი ქალის და მოსიყვარულე დედის სახე იშვიათი ოსტატობით

აქვს გამოძერწილი ალ. სუმბათაშვილს. გულისფანცქალით შევუდექი ამ როლის მზადებას. მართალია ლადომ, როცა დამითანხმა მეთამაშნა ზეინაბის როლი, ალმითქვა როლის მომზადებაში დაგეხმარებიო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლადო ისე იყო დატვირთული იმ პერიოდში თეატრის საქმეებით, რომ ჩემთვის ვერ მოიცალა. ზეინაბის როლის დამუშავებამდე პიესა „ღალატს“ მე კარგად ვიცნობდი, რამდენჯერმე ვნახე ეფემია მესხი ამ როლში და თვით მე რუქაიას როლიც შევასრულე. ასე, რომ ტექსტის შესწავლას დიდი დრო არ დასჭირდა. ახალგაზრდა ვიყავი, მახსოვრობა კარგი მქონდა და ხუთ-ექვს დღეში მთელი როლი ზეპირად ვიცოდი. პირველსავე რეპეტიციაზე მე სუფლიორის კარნახი არ დამჭირებია, რაც ასე იშვიათი ამბავი იყო ძველად ჩვენს თეატრში. თქმა იმისა, რომ ზეინაბის როლის ყოველი სიტყვა, ყოველი ნიუანსი ჩემს მიერ დეტალურად იყო დამუშავებული და დიდხანს გადადუღებული არ შეიძლება. ამისათვის დრო არ იყო. ოთხი რეპეტიციით წარვსდექი საზოგადოების წინაშე და როგორ განვასახიერე ეს როლი მე პირადად არაფერს ვიტყვი. თუ საზოგადოებას მოეწონა ჩემს მიერ განსახიერებული ზეინაბი, ეს აიხსნება იმით, რომ როლი მე ვიგრძენი და განცდით ვთამაშობდი. ბევრჯერ მითამაშნია ეს როლი და ყოველთვის ახალ-ახალი შტრიხი შემქონდა ამ როლში უფრო ინტუიციით, ვიდრე წინასწარ მოფიქრებული გეგმით. ერთი კია, რომ იმ პერიოდში, როცა მე ზეინაბის როლს ვამუშავებდი, მისი სახე მუდამ თვალწინ მედგა და ვცდილობდი ოჯახშიაც ისე დამეჭირა თავი და მელაპარაკნა, როგორც იმოქმედებდა დედოფალი თამარ ზეინაბად წოდებული.

. ერთი ჩემი საყვარელი როლთაგანი „მედეაც“ სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში მოვამზადე. იაზონის შოგზაურობის ამბავი კოლხეთში ოქროს ვერძის მოსაპოებლად მე გაგონილი მქონდა და დეტალურად ეს მითი კარგად არ ვიცოდი. ერთი კი კარგად მქონდა შეთვისებული, რომ მედეა ზექალი იყო და ასეთი სახის ვანსახიერება მსახიობს ყოველთვის დააინტერესებს და მეც სულით და გულით მოვკიდე ხელი ამ როლის შესწავლას. ამ როლის მომზადებისას მე დამხმარე არავინ მყოლია და გამოვტყდები ეს სამზადისი უფრო კეთილსინდისიერი ჩაბულბულება იყო როლის, ვიდრე ყოველივე ნიუანსის დამუშავება. ერთი კი უნდა აღვნიშნო: მედეა მე ვიგრძენი და ამ როლს ყოველთვის განცდით ვთამაშობდი. მედეას ისეთი მოწონება ჰქონდა და საზოგადოება ისე აღფრთოვანებით ხვდებოდა ამ პიესას, რომ ვგონებ დღეს თუ ასე გავრცელებულია ეს სახელი საქართველოში ნაწილობრივ ჩემს „მედეასაც“ მიუძღვის ამაში წილი... აღნიშნული როლი ბევრჯერ მითამაშნია და იგი თანდათანობით უფრო დაიხვეწა.

1905 წელს მივემგზავრები უცხოეთში. ბათუმში გემი ნაპირს გაშორდა და საშინელი მარტოობა ვიგრძენი. თითქოს სამუდამოდ ვეთხოვებოდი ჩემს საყვარელ ქვეყანას, სადაც ყველა ჩემი ახლობელი რჩებოდა. ნეტა რა მოელით? რა იქნება? თვალზე ცრემლი მომადგა და ცრემლს ქვითინი მოჰყვა.

არამცთუ ქართული, რუსულიც არ ისმოდა. მესმოდა მხოლოდ უცხო ენა, რომელიც ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. მაგრამ ოჰ, სიხარული, ვიღაც ქართულად დამელაპარაკა. „ქალბატონო ნუცა, საით მიემგზავრებით?“ ვხედავ, ბათუმელია, ჩვენი თეატრის მეგობარი. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მზად ვიყავი

გადავხვეოდი, მაგრამ სიხარული ხანმოკლე იყო. ეს ეხოლოდ ტრაპიზონამდე მოდიოდა, მერე კი ისევ უცხო ენა. სტამბოლში ორი—სამი დღე, მერე უკვე რკინიგზით განვაგრძობდით გზას. რუმინეთი, სერბია, ვენა. ვენაში ორი დღე და შვეიცარიით პარიზისაკენ. პარიზში ქართველი ახალგაზრდობა, ბევრი რუსიც. სულ ერთად ვიყავით. ეს უკვე სტუდენტური ცხოვრებაა, რასაც მე სიამოვნებით ვიგონებ. სამწუხაროდ, მდგომარეობა ისეთი მქონდა—პატარას მოველოდი. ბევრს ვერ დავდიოდი. უფრო ლუქსემბურგის მუზეუმს ვესტუმრებოდი ხოლმე, სადაც მზად ვიყავი მთელი დღე მემზირნა ბუმბერაზ შემოქმედთა ხელოვნებისათვის. მაგრამ გული აქაც კი არ მშვიდდებოდა. ვფიქრობდი: ნეტა რა ხდება ჩვენში, ნეტა რას მოიტანს ეს საშინელი სისხლისღვრა? ეს ის ხანა იყო, როდესაც ალიხანოვ-ავარიელი ცეცხლით და მახვილით მოევლინა ჩვენს ქვეყანას და ლამობდა რევოლუციის ჩაქრობას. იმ მხეცმა მთელი რიგი ჩვენი დაბა-სოფლები სულ ერთიანად გადაბუგა, უდანაშაულო ხალხის სისხლი დაღვარა და ათასი უბედურება გამოიწვია.

შეძლებისდაგვარად დავდიოდი თეატრში. ჩემდა სამწუხაროდ საფრანგეთის დიდი არტისტი სარა ბერნარი ამერიკაში იყო საგასტროლოდ. მაშასადამე, ვერა ვნახე. მირჩევდნენ წავსულიყავი სარა ბერნარის თეატრში, მენახა მსახიობი ქალი ბლანშ დიუფრენი. წავედი, თამაშობდნენ როსტანის „არწივის მართვეს". მართლაც გასაგიჟებელი იყო ბლანშ დიუფრენი. ჯერ გარეგნობით. ჩვენს წინ იდგა ნამდვილი ახალგაზრდა ვაჟი; ხმით, მიხრა-მოხრით. მერე რა ტემპერამენტი, რა ტექნიკა. ერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ ნერვების მურგვად ვიყავ გადაქცეული. სულისთქმის მეშინოდა დიდ ხელოვანს ხელში ვყავდი მომწყვდეული. ვაგრამის ველზე დიუფრენი დაუვიწყარია ჩემთვის.

ვნახე კოკლენიც როსტანის „სირანო დე-ბერჟერაკში“-იქ უფრო ვიგრძენი ენის უცოდინარობა. სირანო დე-ბერჟერაკის თვითეულ სიტყვას მნიშვნელობა აქვს, და თუ ენა არ იცი, ისეთი მსახიობი, კოკლენი რომ იყო, დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. აი, როდის ვიგრძენი, რომ ფრანგული ენა არ ვიცი. ერთში კი დავრწმუნდი, რომ მსახიობ კოკლენს დიდი გავლენა ჰქონდა კოტე-მესხზე (კოტე ხომ საფრანგეთში იყო სპეციალურად თეატრალური ხელოვნების შესასწავლად).

ვიყავი „გრანდ ოპერაში“, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ბალერინას ერთი ფეხის მეტი არაფერი დამინახავს. ქანდარაზე გახლდით, საიდანაც არაფერი არ ჩანდა, სიმღერა თბილისის ოპერაში იმ დროს უკეთესი გამიგონია. ასე, რომ დიდხანს აღარ გავჩერებულვარ და ისევ ბინაზე წამოვედი. საერთოდ მაშინ მეტი საშუალება მომეცა პარიზი ცოტა თუ ბევრად გამეცნო. უკვე შვილი მყავდა და მორიგეობით რჩებოდნენ სტუდენტი ქალები, ხან ვაჟებიც, რომ საშუალება მომცემოდა დამეთვალიერებინა საფრანგეთის სიამაყე პარიზი. დავრბოდი დღისით, ღამე. ერთ დღეს შინ დაბრუნება დამიგვიანდა. ვინ იცის, ჩემი პატარა როგორ ტიროდა. ჩქარა, ჩქარა ავირბინე კიბე, გავაღე კარი და ვხედავ ახოვან მოხუცს „ბაკებით“-ვიცანი, ნიკო ღოღობერიძე. მომესალმა, გამომკითხა ჩვენი და პირადად ჩემი ამბავი. მკითხა, რა ვნახე, რა დავათვალიერე პარიზში, და როდესაც, ჩემდა სასირცხვილოდ, გაიგო რომ ლუვრის მუზეუმი არ დამითვალიერებია, მითხრა: მაშ ხვალ მე ვიქნები თქვენი ჩიჩერონი და ლუვრში წავიდეთ. შემდეგ ერთად ვისადილოთ. მეორე დღეს წავედით ლუვრში. რა თქმა უნდა, ლუვრის დათვალიერებისათვის თვეებია საჭირო და არა დღეები (იქ არა ერთხელ მივსულვარ შემდეგ). გამოვტყდები,

მიუხედავად მისი გრანდიოზულობისა, მიუხედავად იმისა, რომ აუარებელია დიდ ხელოვანთა ნაწარმოებნი, მე უფრო მშვენიერ ვენერას ვუტრიალებდი, რომელსაც ლუვრში ცალკე ოთახი აქვს დათმობილი. ვენერა ხელმოტეხილი, ვენერა ცხვირმოტეხილი, მაგრამ მაინც მშვენიერი თავისი სხეულის საუცხოო ნაკვთებით. მაგრამ ლუქსემბურგი სულ სხვაა. სულ სხვა იყო ჩემთვის ლუვრი თავისი გრანდიოზულობით. ლუქსემბურგში კი პირიქით ისვენებ, ისეთი სიმშვიდეა, რომ სულის ამოთქმისაც კი გეშინია, თითქოს შენი სუნთქვით შეურაცხყოფ იმ მშვენიერებას, რომელსაც სულგანაბული შეჰყურებ. ისვენებ სულიერად, გონებით ვითარდები. მე მგონია, დაავადებული განიკურნება ლუქსემბურგის მუზეუმში. ჩემი უმთავრესი სიამოვნება და სიხარული იყო ლუქსემბურგის მუზეუმში მთელი დღე ყოფნა. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ნიკო ღოღობერიძეს: წარმოსადეგი მოხუცი, დინჯი: მეტისმეტად ზრდილი, თავაზიანი, ტკბილი მოსაუბრე, დიდად განათლებული, დიდი მოღვაწე. სასადილოდ საუკეთესო რესტორანში წაგვიყვანა. (ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვგრძნობდი თავს ჩემი მორთულობით). აქ, ეტყობოდა, იცნობდნენ პატივცემულ ნიკოს და მსახურნი დიდი თავაზით ექცევოდნენ სუფრაზე გაჩნდა საუკეთესო დელიკატესები, რაც, რასაკვირველია, არც მანამდის და არც მერმე მე პარიზში არ მიგემნია. როგორი გრძნობით, როგორი გულისტკივილით იგონებდა ნიკო თავის ქვეყანას. რამდენჯერმე კიდევ მქონდა შემთხვევა შევხვედროდი მას პარიზში და ყოველთვის უცვლელი ზრდილი, დინჯი, ყურადღებიანი იყო. სიხარულით ვიგონებ ამას, რადგან ეს იყო პატივისცემა ქართველი მსახიობის მიმართ.

პარიზში ცხოვრებიდან არ შემიძლია არ მოვიგონო სტუდენტი—მედიკი ციკლისი! რუსი ებრაელი, რომლისთვისაც ქართველი იყო წმიდათაწმიდა. განა ჩვენ, ებრაელები, თაყვანს არ უნდა ვცემდეთ საბა კლდიაშვილის[1] ეროვნების ხალხს? განა სიცოცხლე არ შემოგვწირა ებრაელთა დარბევის დროს ოდესაში? და ის ციკლისი ნამდვილ ძმასავით მივლიდა. იმ ხანებში ნერვებით ვიყავი დაავადებული, ექიმობა იყო საჭირო, მე კი, რა თქმა უნდა, არ მქონდა ამის საშუალება. და აი, დატრიალდა ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, და გაიღო ჩემთვის კარი პროფესორ ნევროპატოლოგ ბრისოსი, იმ ბრისოსი, რომელთანაც მისვლა ბევრისათვის ოცნებას წარმოადგენდა. ჰონორარზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მოხუცი პროფესორი შემხვდა როგორც შვილს, დამამშვიდა და მითხრა: როცა გსურდეთ და რა დროც უნდა იყოს, ნუ მომერიდებით, მობრძანდით, ყოველთვის მზად ვარ გემსახურეთო.

აგრეთვე ადვილად გაიღო ჩემთვის უნივერსიტეტის კლინიკის კარი, სადაც თვით ციკლისი სწავლობდა. მთელ თავისუფალ დროს ჩემთან ატარებდა კლინიკაში, თავს დამტრიალებდა როგორც ძმა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ის ძველი მეგობარი ამ რამდენიმე წლის წინათ ოდესიდან (იქ ექიმია) ექიმთა კონფერენციაზე თბილისში ჩამოვიდა და სრულიად მოულოდნელად ჩემთან მოვიდა.

ზემოთაც ვთქვი, პარიზში ვიყავი 1905 წელს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში არეულობა, გაფიცვები დაიწყო, როდესაც რკინიგზებიც შეკრული იყო გაფიცვების გამო. პარიზში მყოფი ქართველები გაჭირვებას განიცდიდნენ: უცხოეთში ფულს ვერ იღებდნენ თავისი ქვეყიდან.

[1] საბა კლდიაშვილი—ცნობილი რევოლუციონერი.

ეი სწორედ ამ დროს მსახიობთა კავშირმა თავაზიანად შემოგვთავაზა დახმარება სესხის სახით. ჩვენ ამით არ ვისარგებლეთ. არ ვისარგებლეთ, რადგანაც ჩემი მეუღლე მ. ქორელი რუსული ენის გაკვეთილებს აძლევდა და ლუკმა პური საზრუნავი არ გვქონდა. მაინც ეს ფაქტი ჩემთვის დიდი სასიხარულო იყო.

ცნობილმა მსახიობმა რეჟანმა გამოთქვა სურვილი ჩემი გაცნობისა, მაგრამ არც იმის გუნებაზე ვიყავი და არც ჩემი მორთულობა მიწყობდა ხელს წავსულიყავი სადარბაზოდ, ამასთან ენის უცოდინარობაც ძალიან ხელს მიშლიდა.

ჩემი პარიზში ყოფნის დროს გაიმართა კავკასიური საღამო. ერთ საღამოს მოვიდნენ ჩემთან სტუდენტების წარმომადგენელნი თხოვნით, ჩემს მეუღლეს მოემზადებინა ქართული გუნდი. მან უთხრა: „აბა, რას ამბობთ, მე სადა მაქვს ამდენი ცოდნა ქართული სიმღერებისა, რომ ვიკისრო ასეთი დიდი საქმე?“ რეპეტიციაზე მაინც წამოდი, ნახე, რა ამბავია—ვთხოვე დაჟინებით. წავედით, მოვისმინეთ სომეხთა გუნდი, მწყობრია, ლამაზი. დაიწყო ქართულმა გუნდმა და რაღაც საშინელებაა. გუნდში არიან რუსები, ებრაელები და ძალიან ცოტა ქართველები. გუნდს ხელმძღვანელობს ჩინებული მომღერალი, სტამბოლელი სომეხი მეღუნიანი, რომელსაც სრულიად არაფერი გაეგებოდა ქართული სიმღერებისა და არც საქართველოში არასოდეს ყოფილა. მაშინ ველარ მოითმინა მ. ქორელმა: არა, მეღუნიანზე უკეთ მე მოვაგვარებ ამ საქმეს, რაც მომივა, მომივიდესო, თქვა, და ჩაება საქმეში. ხელი შეუწყვეს ქართველმა სტუდენტებმა, მათგან უფრო ენერგიულად სტუდენტმა ნადარეიშვილმა. აი, დაიწყო რეპეტიციები და მასთან ერთად ჩვენი უზომო მღელვარება, ხუმრობა ხომ არ არის, საფრანგეთს ვაცნობთ

ჩვენს ხალხურ სიმღერებს. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ამზადებდა. როდესაც გუნდი მომზადდა, გაიმართა გენერალური რეპეტიციები სხვადასხვა უბანში. სულ იყო ოთხი ასეთი რეპეტიცია. ერთი ყველაზე საინტერესო რეპეტიცია ჩატარდა მხატვართა საზოგადოებაში მხატვართათვის მოსაწვევი ბარათებით. ამ შემთხვევას დიდად შეუწყო ხელი ჩვენმა ცნობილმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ, რომელსაც იმ დროს თავისი ატელიე ჰქონდა პარიზში.

მეორე გენერალური რეპეტიცია გაიმართა მუსიკოსთა დარბაზში, სადაც, მუსიკის მცოდნე პირებისა და კრიტიკოსების გარდა, იყვნენ ჟურნალისტებიც. სხვათა შორის დაესწრო იმ დროს დიდად ცნობილი კრიტიკოსი ობრი. რეპეტიციის წინ იყო პატარა განმარტება. გუნდმა შეასრულა კახური ნანინა, მრავალჟამიერი, მეგრული ფაცხა, ახ, მეზურნე და ბევრი სხვა. ლაპარაკში გამოირკვა, რომ ობრი ერკვეოდა ქართულ მუსიკაში. რეპეტიციის შემდეგ ობრი გაეცნო მ. ქორელს და უთხრა, მოგვაწოდეთ მასალა, აქ პარიზში დავბეჭდავთ მხატვრულად და ათას ეგზემპლარს მოგართმევთ ქართული საზოგადოებისათვის უფასოდო. მასალა, რა თქმა უნდა, იქ არაფერი იყო და ჩემმა მეუღლემ სთხოვა თავის მამას ფილიმონ ქორიძეს და ჩვენს ძვირფას კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს საჩქაროდ მოეწოდებინათ მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივემ რატომღაც სიჩუმით უპასუხეს. ასე, რომ ეს დიდად კულტურული საქმე არ გაკეთდა.

განზრახული საღამოს დღეც მოახლოვდა. ყველანი ვღელავთ. მთელი ქართველი სტუდენტობა აწყობს „უანშინგტენ პალასის“ დიდ დარბაზს, რომელიც ელისეის მინდვრის უბანშია. გაჩირაღდნებული დიდი დარბაზი, მორთული საზოგადოებით გაჭედილი,

მათში აქა-იქ ჩვენი ქართველობა ურევია ეროვნულ ტანისაცმოსში. აიხადა ფარდა. გუნდი სცენაზეა, მათში ჩემი მეუღლე ფრაკით, თეთრი ხელთათმანით და მისი ხელთათმანივით გათეთრებული სახით მღელვარებისაგან. მე ქანდარაზე ვარ შალში გახვეული, შიშით სულგანაბული. აი, დაიწყეს სიმღერა, გაათავეს თუ არა—გაისმა ერთსულოვანი ხანგრძლივი მხურვალე ტაში. მეორეს მოჰყვა მესამე და ბოლომდე დაუსრულებელი ტაში, უთუოდ დიდი გამარჯვება ხვდა გუნდს. ვზივარ და ვფიქრობ, რატომ არ შეგვიძლია ნამდვილი მომღერლებით ჩვენი ტკბილი სიმღერები მოვასმენინოთ ამ ხალხს. თუ კი ეს შემთხვევითი ამბავი ასე მოსწონთ, რა იქნება, რომ მართლა კარგი გუნდი, კარგი სიმღერებით და მომზადებული ლოტბარით გაიცნონ მეთქი. აი ჩვენი მოლეკურენიც გამოცურდნენ, მათ შორის ჩვენი დამსახურებული არტისტი ელო ანდრონიკაშვილი და რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, რომელნიც საუკეთესო მოცეკვავეებად ითვლებოდნენ. დამსწრე საზოგადოება ძალიან ნასიამოვნები დარჩა. ოვაციას დასასრული არ ჰქონდა.

ელო ანდრონიკაშვილის ცეკვამ გამახსენა ერთი პატარა ეპიზოდი. ამ კონცერტს დაესწრო იმ დროს პარიზში მყოფი რუსეთის სახელგანთქმული ბალერინა პეტიპა. ცეკვის დაწყებისთანავე ამ სახელგანთქმულმა ბალერინამ კოწო ანდრონიკაშვილთან ერთად იცეკვა ჩვენი ლეკური. საზოგადოება დიდი აღტაცებით შეხვდა მოცეკვავეთ და პეტიპას თაიგულები მიართვა. როდესაც პეტიპას შემდეგ იცეკვა ელომ, აღფრთოვანებული ბალერინა მივიდა ელოსთან, გადაკოცნა და უთხრა: „ძვირფასო პატარა ქართველო ქალო, მაჯობეთ და ძალიან მიხარიან, რომ მაჯობეთ, რადგანაც თქვენი ცეკვა სინამდვილეა,

გულწრფელი განცდაა! ნება მომეცით ეს მშვენიერი თაიგული თქვენ გადმოგცეთ, ეს უფრო თქვენ გეკუთვნით, ვიდრე მეო". ამ სიტყვებით კვლავ გადაეხვია ელოს; მთელი დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა ამ სცენას.

საღამო დასრულდა, საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა და ჩვენ კი ბედნიერნი იმით, რომ საღამო კარგად ჩატარდა, პატარა მაგრამ კარგი საქმე გავაკეთეთ.

პარიზში დავყავი ექვსი თვე. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში და ისეთ პირობებში, როგორიც მე მქონდა, მთლიანად პარიზის დათვალიერება, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ვერ მოვახერხე, მაგრამ რაც ვნახე, ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. გამახსენდა ერთი პატარა ამბავი. ერთხელ მე და ჩემი მეუღლე შინ ვბრუნდებოდით. უცბად ერთ-ერთ რესტორანის კარებთან თვალი მოვკარი მათხოვარ, მთვრალ დედაკაცს.

მიშა! მიშა! ხედავ ჩვენი ნატო, მადამ ფროშარი— ვყვირი შეშინებული. საკვირველად გავდა ნატო გაბუნიას მადამ ფროშარს ეს პარიზელი მაწანწალა დედაკაცი. მართლაც დიდად ნიჭიერი იყო ნატო გაბუნია ,რომ ფროშარის უკვდავი სახე შექმნა „ორ ობოლში". როდესაც თბილისიდან მოვიდა ცნობა სწავლა იწყებაო (მ. ქორელი იმ დროს თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო), ვერაფერმა ვეღარ გამაჩერა საფრანგეთში. სულით და გულით მოვისწრაფოდი საქართველოში და მალე გამოვემგზავრეთ.

თავი მეშვიდე

მ. ქორელის სეზონები

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩემს საყვარელ თეატრს მივაშურე. ქართული დრამატული დასის სეზონი გაიხსნა ა. სუმბათაშვილის „ღალატით“ 1906 წლის 26 სექტემბერს. პიესას რეჟისორობდა ვალერიან გუნია. სახაზინო თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით და ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. ეს არ არის გასაკვირველი. პიესაში სცენის ისეთი ოსტატები იღებდნენ მონაწილეობას, როგორიც იყვნენ ვალერიან გუნია-ოთარბეგი, ვასო აბაშიძე-ბესო, კოტე ყიფიანი-ანანია გლახა, ნატო გაბუნია-ისახარი და სხვა. სოლეიმან-ხანის როლს ასრულებდა ვალერიან შალიკაშვილი და თავისი დაკვირვებული და ბუნებრივი თამაშით საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. მე ჩემს საყვარელ ზეინაბის როლს ვთამაშობდი. ამავე სეზონში ვითამაშეთ კოსოროტოვის პიესა „გაზაფხულის ნიაღვარი“, პროტოპოპოვის „ცხოვრების გარეშე“ და სხვა. დრამატული საზოგადოება სეზონს სათანადოდ ვერ გაუძღვა და საკითხი დადგა თვით მსახიობებს ეკისრნათ სეზონის გაძღოლა და ამხანაგობის შედგენა. თავადაზნაურობის საკრებულომ თეატრი კერძო ანტრეპრენიორს იჯარით გადასცა და ამხანაგობა იძულებული გახდა თავშესაფარი ეძია და წარმოდგენები სახაზინო თეატრში გაემართა. სახაზინო თეატრის დირე-

ქცია ორშაბათობით გვითმობდა დღეებს და ხშირად შემოსავალი თეატრის ქირას და ხარჯებს ძლივს ფარავდა. საკუთარ თეატრს მოკლებული, ოპერის თეატრში გერების მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. მუშაობის პირობები მეტად ძნელი იყო და, ცხადია; ჩვენი პიესების მხატვრული დონე სათანადო სიმაღლეზე არ იქნებოდა.

1906 წლის 5 ოქტომბერს ამხანაგობამ სახაზინო თეატრში სეზონი გახსნა ა. სუმბათაშვილის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს პიესით „შევარდნები და ყვავები". მხოლოდ წარმოდგენის დღეს დაგვითმეს სცენა და გენერალური რეპეტიცია ხეირიანადაც ვერ მოვასწარით ისე ვითამაშეთ. ასეთი ჯახირით დავამთავრეთ სეზონი და ზაფხულში დასვენების ნაცვლად პროვინციებში დავიწყეთ მოგზაურობა და წარმოდგენებს ვმართავდით.

ჩემმა მეუღლემ, რომელიც იმ ხანებში მასწავლებლად იყო, მოინდომა მოსკოვში წასვლა თეატრალური ხელოვნების შესასწავლად. ამისათვის გამოიტანა სასწავლებლიდან ფული და ამ თანხით გადავწყვიტეთ პატარა მოგზაურობის მოწყობა მოსკოვში გასამგზავრებელი თანხის შესაგროვებლად. შევადგინეთ ამხანაგობა, რომელშიც შედიოდნენ: ნ. ჯავახიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ნ. გვარაძე, მ. ნებიერიძე, მე და მ. ქორელი. წავედით დასავლეთ საქართველოში, რომელიღაც დაბაში თუ ქალაქში. მოგვივიდა წერილი სენაკიდან, გვთხოვდნენ უსათუოდ იქაც შეგვევლო: წარმოდგენის დღე გვაცნობეთ, ჩვენ ყველაფერს მოვამზადებთ და თქვენ პირდაპირ წარ, მოდგენაზე მობრძანდითო. ასეთი იყო წერილის შინაარსი. ფოთში მივდიოდით და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ხელსაყრელი იყო სენაკში შევლა. შევატყობინეთ წარმოდგენის დღე, აფიშები გავგზავნეთ წინდაწინ და დანიშნულ დღეს წავედით კიდეც. მანდილოსანი-

მიხეილ ქორელი

რომელიც ასე გულით გვიწვევდა, სადგურში შეგვხვდა-ზობრძანდით, დაისვენეთ, ყველაფერი მზად არის, გვეუბნება. სასტუმროში მისვლა ვერ მოვასწარით, რომ რამდენიმე ქალი და ვაჟი მოვიდა თხოვნით მეორე დღესაც დავრჩენილიყავით და სკოლის სასარგებლოდ გაგვემართა წარმოდგენა. იძულებული ვიყავით უარი გვეთქვა, რადგან მეორე დღეს ფოთში გვქონდა გამოცხადებული წარმოდგენა. წავიდნენ გულდაწყვეტილნი და ცოტა გაჯავრებულნიც. მივედი საღამოს კლუბში; სალაროში, 1 მან. და 50 კაპ. სწორედ სამი ბილეთია გაყიდული. უცდით, 8 საათი, 9 საათი გახდა. სალაროს არაფერი არ ემატება. რა თქმა უნდა, შევკარით ჩვენი გუდა-ნაბადი, მივდივართ თეატრიდან. შემოვიდა დიასახლისი და გვეუბნება: თქენი ჭირიმე, თავი არ მოგვჭრათ, არ წახვიდეთ, ხალხი იქ არის კლუბში, ახლავე გამოელენ. აბა რაღა-დროს ლოდინი იყო და წამოვედით სასტუმროში. მოგზაურობის დროს ჩვენი ჯიბე ძალიან შეთხელდა. მხოლოდ სამგზავრო ფული გვაქვს თითო-ოროლა მანეთი. მოვითხოვეთ სამოვარი, ერთი ბოთლი ღვინო, ნახევარი სულგუნი (ისიც სენაკში ნახევარი სულგუნი) და პური. ეს იყო ჩვენი ვახშამი. ნერვები დაჭიმული გვაქვს ყველას. მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებიან ანეგდოტებში და ჩვენი ოთახიდან ხმამაღალი ხარხარი ისმის (ვინ რა იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა). ჩვენს ხარხარს შემოუერთდა დერეფნიდან ხარხარი; ეს ის მასწავლებლები იყვნენ, რომლებმაც დარჩენა გვთხოვეს მეორე დღისათვის. ხა, ხა, ხა, ხომ არ შედგა წარმოდგენა. ახლა ხომ დარჩებით ხვალისათვის, ხა, ხა, ხა,. მე ვუთხარი, ხვალ 500 მანეთიც (ეს თანხა დიდი იყო მაშინ), რომ შეშოვიდეს, მაინც არ დავრჩები და, მე მგონია, არც ჩემი ამხანაგები დარჩებიან. საერთოდ მკვდარს

არავინ მომასვენებს სენაკში და ცოცხალი აქ მომსვლელი მე აღარა ვარ-მეთქი. ამ პასუხით გავისტუმრეთ ისინი, ვინც ეს შეურაცხყოფა მოგვაყენეს. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ამათ მოგვიწყვეს ეს ოინი. ისეთ პატარა დაბაში, როგორც სენაკია, ძნელი არ იყო ხმის გავრცელება—დღეს ნუ წახვალთ წარმოდგენაზე, მაშინ ხვალ დარჩებიან და სკოლისათვის ითამაშებენო, თორემ შეუძლებელია, ასეთი მაგალითი არასოდეს არ ყოფილა, რომ 1 მან. და 50 კაპ. ყოფილიყო სალაროში. ისიც ერთი ბილეთი რეცენზენტს ჰქონდა ნაყიდი.

გზაში განსვენებულმა ვალ. შალიკაშვილმა უფროს კონდუქტორს „კონჩინა“ ეთამაშა და მოგებული ფულით ფოთის სადგურზე ბუტერბროტებით გაგვიმასპინძლდა სენაკში დამშეულ ხალხს.

1906 წელს ისევ ქუთაისში ვარ. სეზონს ხელმძღვანელობს ვ. გუნია. საქმეს სათავეში უდგას დრამატული საზოგადოების გამგეობა. ვ. გუნია გამოცდილი თეატრალია და მისი სპექტაკლები მაყურებელს მოსწონს. თეატრი ყოველთვის სავსეა, პრესაც ძალიან გვაქებს.

ამავე სეზონში ჩამაცივდა ალ. დარახველიძე (დრამატული საზოგადოების წევრი, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა ქართულ თეატრს), ჩემი მეუღლე დამეჯერებინა, რომ დაენებებინა თავი მასწავლებლობისათვის (იმ დროს ბაქოს რეალურ სასწავლებელში იყო მასწავლებლად) და ქუთაისში ჩამოსულიყო რეჟისორად. ალ. დარახველიძეს იცოდა მ. ქორელის აზრი ქართულ თეატრზე, იცოდა მისი დიდი სიყვარული ამ საქმისადმი და მისი შესაძლებლობაც. მე ვიცოდი, ქორელს დიდი თხოვნა არ დასჭირდებოდა. პირიქით, ის დიდი ხანია სულით და გულით იწევდა თეატრისაკენ და თუ აქამდე დაშო-

რებული იყო ამ საქმეს, ამაში ბრალი ნაწილობრივ მე ვიმიძღოდა. დღესასწაულზე ჩემი მეუღლე ჩამოვიდა ქუთაისში. შემოეხვია გამგეობა, ახალგაზრდა მსახიობნი, და საქმე გადაწყდა. შემდეგი სეზონიდან უკვე ქორელი იქნებოდა ქუთაისის დასის ხელმძღვანელი. დასში არიან ჯერ ისევ ახალგაზრდანი: ალ. ყალაბეგიშვილი, შ. დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ალ. იმედაშვილი, ა. ქიქოძე, მ. მდივანი, თ. ბაქრაძე, ან. ჩხეიძე, ალ. მგალობლიშვილი, ლ. ღოღობერიძე, ა. მურუსიძე, მე და სხვანი. მსახიობთა სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ყველანი ერთსულოვნად მოეკიდნენ საქმეს, მხარში ამოუდგნენ რეჟისორს და გაჩაღდა მუშაობა.

რეჟისორი ქორელი სამხატვრო თეატრის თაყვანისმცემელი იყო. ანსამბლს მთავარ ყურადღებას აქცევდა და თუ აქამდის მთელი ყურადღება მხოლოდ პირველხარისხოვან მსახიობებზე იყო, ახლა უკვე მთავარი ანსამბლი იყო. დიდი და პატარა ყველა მოვალე იყო სალიანგო სცენებში (მასობრივში) გამოსულიყვნენ, ეთამაშნათ პატარა როლებიც, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. პირველ ხანებში საზოგადოება ცოტა ირონიულად შეხვდა ამ ამბავს. მაგალითად, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, რომელშიც მე მთავარ როლს ოლოლს ვთამაშობდი, რეჟისორმა მოსამსახურის როლი მომცა. როგორც კი ხმა ამოვიღე, ხალხმა სიცილი დამაყარა და დიდხანს სიტყვა არ მათქმევინეს. მაგრამ ეს პირველ ხანებში. შემდეგ კი მიეჩვივნენ და აღარავის არ აკვირვებდა, როცა უსიტყვოდაც გამოვდიოდი სცენაზე. მ. ქორელმა დადგა პიესები: მ. გორკის „უკანასკნელნი“, ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „გაუდეამუს“, ლენგიელის „ტაიფუნი“, ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“, გორდონის

„საკლავი“, ჰაუპტმანის „ჰანელე“. რეპერტუარი ჩვენთვის ახალი იყო და მუშაობაც უჩვეული. ჯერ მაგიდასთან ვმუშაობდით. როლების ესა თუ ის ადგილი დავას იწვევდა. იყო აზრთა გაცვლა. ერთსა და იმავე ადგილს მსახიობი რამდენჯერმე კითხულობდა, სანამ არ მონახავდა შესაფერ კილოს. ამ გზით ნელ-ნელა გადავდიოდით სცენაზე. აქ უკვე მიზანსცენების დამუშავება იწყებოდა. არ ვკითხულობდით როლებს, როგორც ეს წინათ იყო. რეპეტიციები გრძელდებოდა ღამის 12 საათამდე. რეპეტიციის შემდეგ რეჟისორი და რამდენიმე მსახიობი ერთად რჩებოდნენ თეატრში, შველოდნენ დეკორატორებს (სპეციალური მხატვარი მაშინ არ ჰყავდა თეატრს), ხატავდნენ სურათებს, როშელიც ამა თუ იმ პიესაში საჭირო იყო. ორკესტრი და გუნდი თეატრს არ ჰყავდა. ამისათვის იყო ერთი ჭაპანწყვეტა; გაიგებდა რეჟისორი, რომ ეს ქალი თუ ვაჟი მღერის, ამა თუ იმ ინსტრუმენტს უკრავს და სხვა, იყო ხვეწნა. ზოგს ბაღში დაიპერდა, ზოგს ქუჩაში და ზოგთან სახლში მიდიოდა და ამგვარად, მუსიკოსებსაც შოულობდა და მომღერლებსაც. ჯერ ისევ ახალგაზრდები ვიყავით, ენერგია, ხალისი და საქმისადმი სიყვარული დიდი გვქონდა და დღედაღამ ვმუშაობდით, რომ საქმე თუ კარგად არა, რიგიანად მაინც წაგვეყვანა.

შემდეგ სეზონში შემოგვემატნენ: ი. ზარდალიშვილი, შ. შარაშიძე, გ. იშხნელი, თ. გოგოლაშვილი, ან. ჩირგაძე. დასი გაძლიერდა და საქმეც უფრო დამკვიდრდა. ამ სეზონში დაიბეჭდა და გამოვიდა ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“. ტოლსტოის „ცოცხალი ლეშის“ დადგმა უეჭველად დიდი მოვლენა იყო ქართული თეატრის ისტორიაში. აღნიშნული პიესა ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ქართველმა ერმა თავის დიდ ვაჟძმე რუს ხალხთან ერთად დაიტირა დიდი მწერალი-

ქართველი ხალხის ზრახვას გამოხატავდა ვაჟა როცა წერდა:

„მარტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ
დაჰკარგა მამა, თვისი აღმზრდელი“.

პიესა „ცოცხალ ლეშში“ ტოლსტოი გენიალური სიმძაფრით ფარდას ხდიდა ბურჟუაზიული ოჯახის ყალბ მორალს. მაშინდელი ქორწინების კანონებს, მეფის ბიუროკრატთა „საქმიანობას“. რა თქმა უნდა ჩვენც მოვინდომეთ მისი დადგმა და დიდი ვაი-ვაგლახით დავდგით. ჯერ მუშაობა ძნელი იყო, განსაკუთრებით გუნდის მომზადება. ყველანი მოსამსახურენი იყვნენ და უნდა შეგვერჩია როდის შესძლებდნენ რეპეტიციაზე მოსვლას, ვათავებდით ჩვენ რეპეტიციას. იწყებოდა გუნდთან მეცადინეობა დილით, ღამით... მერე, პიესა, 12 სურათით. ვფიქრობდით როგორ მოგვეხერხებინა ჩვენს ტექნიკურად სრულიად მოუწყობელ სცენაზე დადგმა. გავყავით სცენა შუაზე ფარდით, და როდესაც ერთ მხარეზე მოქმედება მიდიოდა, მეორე მხარეზე მზადდებოდა დეკორაცია შემდეგი მოქმედებისათვის. მხოლოდ ორი ანტრაქტით დასრულდა პიესა. ამ პიესაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა მსახიობმა თამარ გოგოლაშვილმა, რომელიც ბოშა ქალს მაშას თამაშობდა; მან განსაკუთრებული ტემპერამენტით ითამაშა ეს როლი.

შემდეგ დაიდგა „ოიდიპოს მეფე“, ცნობილი გერმანელი რეჟისორის რეინჰარდტის გეგმით, რამდენადაც შეიძლებოდა ჩვენს ღარიბ თეატრში. ეს წარმოდგენა, მე მგონია, ყველა მათთვის, ვინც მონაწილეობას იღებდა, დაუვიწყარია. ყველა ვგრძნობდით, რომ დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ, რეჟისორით დაწყებული მემანქანემდე. ყველას ნერვები გვქონდა დაჭიმული.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ისინიც ღელავდნენ, უჩვეულო ამბავს ხედავდნენ. ფარდა ასწიეს. ახალი დეკორაციები იყო სპეციალურად ამ პიესისათვის დამზადებული. აგერ გაისმა მუსიკის ხმა. შემოდიან ქალები. იწყება მსხვერპლის შეწირვა. ქალები-ლამაზნი, წერწეტა ტანისანი, თითქმის ყველა ერთი სიმაღლის, ნაზი რხევით, რიტმულად იწყებდნენ მსხვერპლის შეწირვას. ახლა, რა თქმა უნდა, ეს აღარავის აკვირვებს. მაგრამ მაშინ ყველაფერი ეს ახალი იყო და სულგანაბულნი შესცქეროდნენ. აი გაისმა ხმაურობა და ხალხი ქურუმის წინამძღოლობით (კ. მაჭარაძე) პარტერიდან შემოიჭრა. მაჭარაძემ იცოდა, რომ დაწყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღელვებულმა მსახიობმა ისე დაიწყო, რომ ყველას იმედი მოგვეცა გამარჯვებისა. გამოვიდა ალ. იმედაშვილი-ოიდიპოსი... იგი არც წინათ და არც შემდეგ მე ისეთი კარგი არ მინახავს. სად გაქრა მისი ტლანქი მიხვრა-მოხვრა, ულამაზო სახე და გრძელი ცხვირი. სცენაზე იდგა როგორც ქანდაკება. აგერ ტირეზიც—გ. იშხნელი თავისი ძლიერი ხავერდოვანი ხმით. ნამდვილი შეჯიბრება იყო ამ ორ ნიჭიერ მსახიობს შორის და ჩვენ გავიმარჯვეთ. დასრულდა წარმოდგენა. ხალხი რამდენიმე წუთს სულგანაბული იყო. მერე კი გონს მოვიდა. ასტყდა დაუსრულებელი ტაში. ვინც კი ჩვენი თეატრის მოყვარული იყო, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა კულისებში მირბოდა და აქ იყო მოლოცვა, ხვევნა, კოცნა ყველასი განურჩევლად: რეჟისორის, მსახიობის, გრიმიორის, მემანქანის.

თეატრს ბევრი მტერიც ჰყავდა. ესენი იყვნენ მსახიობები, რომელიც თეატრის გარეთ დარჩნენ. იყო მითქმა-მოთქმა, უსიამოვნო ჭორები და სხვა. რა თქმა უნდა, ჩვენ გაჩუმებული ვიყავით. ჩვენი პასუხი იყო კო-

ლექტიურად დაწერილი სატირები „ქართული თეატრის გასამართლება“, რომელშიაც გამოვიყვანეთ თეატრის ვითომდა ჭირისუფლები, ნამდვილად კი საკუთარი ინტერესებით შეპყრობილი „ქართული ენა“. ეს იყო დაცინვა იმათი, ვინც შეუბრალებლად ამახინჯებდა ქართულ ენას. ასეთივე პასუხი იყო „სცენა სცენაზე“. ეს იყო დაცინვა იმ ხალტურისა, რომელიც ხშირად იყო ჩვენს თეატრში. თეატრს ჰქონდა თავისი პატარა გაზეთი, რომელშიც მსახიობები თვითონ წერდნენ. რა თქმა უნდა, დიდ განძს არ წარმოადგენდა ეს პატარა გაზეთი მაგრამ მაინც კეთილი განზრახვა იყო.

სეზონის დასასრულს წავედით პროვინციებში შემდეგი პიესებით: „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“-იმავე გეგმით დადგმული, როგორც „ოიდიპოს მეფე“. დეკორაციები თან წავიღეთ. მახსოვს, ფოთში, სადაც შესაფერისი თეატრი ვერ ვიშოვეთ, ცირკში გავმართეთ წარმოდგენა. არც მემანქანე, არც დამხმარე მუშა, თეატრს არ ჰყავდა და ჩვენი ოიდიპოსი, ტირეზი, ქურუმი და სხვები თვითონვე დგამდნენ დეკორაციებს. ძვრებოდნენ ცირკის ბოძებზე, აჭედებდნენ დეკორაციებს და სხვა. ყველგან, სადაც შივიდოდით, ადგილობრივი სცენისმოყვარეები დიდ დახმარებას გვიწევდნენ და ასე დიდი ვაი-ვაგლახით ვდგამდით წარმოდგენებს. შემოსავალი ყველგან გვქონდა, მაგრამ ამოდენა ხალხი ხომ მხოლოდ შემოსავალს უნდა გამოეკვება და, რა თქმა უნდა, ჯიბე ცარიელი ვბრუნდებოდით. ერთხელ შ. შარაშიძემ მითხრა: ნუცა, ანიკომ (ჩირგაძე) საფულე იყიდა, ვასო ურუშაძემ უთხრა, შვიდას მანეთს მაინც ჩამოიტანთ მოგზაურობიდანო და ანიკომ საფულე მოამზადაო. როცა დასრულდა მოგზაურობა, შევეკითხე ან. ჩირგაძეს: როგორ არის საქმე, მგონი საფულე ტყუილად შეგრჩა-მეთქი. არა, სულ

ტყუილა არა, 700 მანეთი მივიღე ერთი ნოლის გამოკ-ლებით. მაგრამ იმდენს ვშოვულობდით, რომ მშიერები არ ვრჩებოდით. ეს უკვე საკმარისი იყო ჩვენთვის. ჩვენი უბედურება ის იყო, რომ პიესების განმეორება იშვიათად შეიძლებოდა. აუდიტორია ერთი და იგივე იყო, მაგრამ ერთგვარ რისკს ვეწეოდით და ვიმეორებდით ორჯერ, ხო-ლო როდესაც შიუკაშვილის პიესა „სულელი“ დაიდგა, სეზონში 17-ჯერ გავიმეორეთ და ჩვიდმეტჯერვე სავსე დარბაზი გვქონდა. ეს მაშინ არაჩვეულებრივი ამბავი იყო. მაყურებელს ერთის მხრივ იზიდავდა პიესა, მეორე მხრივ ახალგაზრდა მსახიობის მიხეილ ჭიაურელის მოხდენილი თამაში. როდესაც როლები გავანაწილეთ, რეჟისორმა თავადი ბარათაშვილი ჭიაურელს არგუნა; დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თეატრში ამ ამბავმა: ჭიაურელი ჯერ ახალგაზრდა, გამოუცდელი, როგორ დასძლევს ასეთ როლს, პიესა დაიღუპებაო, მაგრამ დიდი სურვილი და შრომა ახალგაზრდა მსახიობის და რეჟისორის დახმარება საწინდარი გახდა გამარჯვებისა და ჭიაურელმაც ისე გაი-მარჯვა, რომ ყველასათვის საყვარელი მსახიობი გახდა.

საკვირველი „რეცენზენტები“ გვყავდა ქუთაისში. მაგა-ლითად, იყო ერთი რუსი რეცენზენტი, გვარი არ მახ-სოვს. აწერდა ომოს. ამხედრდა ჩემს წინააღმდეგ, ჯერ ძალიან ტკბილად მხვდებოდა და თეატრში მოდიოდა ჩემთან, ხან ყვავილებითაც. ყოველთვის ზრდილობით ველაპარაკებოდი. თურმე ეს არ კმაროდა მისთვის და განაცხადა: მაშ მე არ უნდივარ? ვნახოთ! დამიწყო ლან-ძღვა-გინება და როგორი: უნიჭო, ციცი მსახიობიაო, ხოლო, რაც უფრო დაშორებულია სინამდვილეს მშვენი-ერ ელენესავით (ოპერეტა „მშვენიერი ელენე“) შიშველი გამოვიდა სცენაზეო და სხვა ამგვარი. მეორე რეცენზენ-ტი ვერ არჩევდა პაუზებს. მ. გორკის პიესა „უკანას-

ენელში“ ძალიან ბევრი პაუზაა. რეცენზენტმა ეს ვერ გაიგო და დაწერა კარგად თამაშობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, როლები არ იცოდნენო. ეს იმ პიესაში, რომელშიაც ყოველმა მსახიობმა არათუ თავისი როლი, მთელი პიესა ზეპირად იცოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ ჯერ პიესა არ დადგმულა, რეცენზია კი უკვე დაწერილი იყო. ან კიდევ ერთი რეჟისორი პიესას დგამს, ხოლო მეორე რეჟისორს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება წარმოდგენასთან არ ჰქონდა, აგინებდნენ ან აქებდნენ. ასეთი „შეცდომები“ ხდებოდა ხან პირადი ინტერესით და ხან სხვა ჩვენთვის გაუგებარი მოსაზრებებით. მახსოვს ასეთი შემთხვევაც: ქუთაისში „მარგარიტა გოტიეს“ ვთამაშობთ. ჩემი ბენეფისია, რეცენზენტი კულისებშია. რატომ დარბაზში არა ხართ?—ბევრი ხალხია, ვერაფერი დავინახე. რამდენიმე დღის შემდეგ იბეჭდება მისი რეცენზია, სადაც მიწასთან მასწორებს. მივდივარ თბილისში გასტროლებზე, ამავე როლს ვთამაშობ. თბილისში, პირიქით, ძალიან კარგი აზრი გამოითქვა პრესაში. ამის შემდეგ პიესის განმეორების დროს ქუთაისში რეცენზენტს ქებით ცაში ავყავარ. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო, მაგრამ რატომღაც ჩვენ მაინცდამაინც არ გვაღელვებდა. ბევრი კარგი რეცენზენტიც გვყავდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო პროფესორ აკაკი ფაღავას ღვაწლი. სამხატვრო თეატრის მოწაფე; იგი უნივერსიტეტის დამთავრებისას დაბრუნდა საქართველოში და თეატრის მოღვაწეთა რიგებში ჩადგა. მისი რეცენზიები ყველას ყურადღებას იპყრობდა თავისი სიახლით და საქმის ცოდნით. თეატრის შესახებ დაწერა მშვენიერი წიგნი „სევდას“ ფსევდონიმით. მანვე გამოაქვეყნა მონოგრაფია „ლადო მესხიშვილი“. აკაკი ფაღავა მუშაობდა, როგორც რეჟისორი და მისი ინიციატივით დაარსებული იქნა თეატრალური სტუდია, ამჟამად მუშაობს საბჭოთა თეატრალურ ინსტიტუტში.

თავი მერვე

ავლაბარ ქუთაისის დასში. ჩემი მონაწილეობა კომედიებში. ზუბალაშვილის სახლი. თელავი. ა. სუმბათაშვილი თბილისში.

1913 წლამდე ქუთაისის დასს ხემძღვანელობდა მიხეილ ქორელი. მის თანარეჟისორებად ითვლებოდნენ პირველი ქართველი რეჟისორი ქალი ნინო გაბრეკელი-თორელი (1911-12 წლის სეზონი), ხოლო 1912-13 წელს მსახიობი ალექსანდრე იმედაშვილი და ცნობილი იუმორისტი შალვა შარაშიძე. მიხეილ ქორელმა როგორც სამხატვრო თეატრის დიდმა მოტრფიალემ და მიმდევარმა ამ თეატრის რეპერტუარიდან დადგა ა. ჩეხოვის „ძია ვანო“, ლევ ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“ და სხვა. ორიგინალური პიესებიდან აღსანიშნავია ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და „გამცემი“, რომლებშიაც მთავარ როლებს დიდი ოსტატობით ასრულებდა გიორგი იშხნელი. სეზონის განმავლობაში იდგმებოდა ჩემი რეპერტუარიდან „მარგარიტა გოტიე“, „მედეა“, „უბედური ნაბიჯი“, „ნორა“ და სხვა. ხანდახან კომედიებშიაც მიხდებოდა გამოსვლა. ამას მიხეილ ქორელი განგებ აკეთებდა. ტრაგედიულ და დრამატულ როლებში გამოსვლა, როდესაც მსახიობი განცდით თამაშობს ჩემისთანა ფიზიკურად სუსტი ადამიანისათვის იოლი არ იყო. კომედიებში თამაშობა კი ერთგვარი შესვენება იყო, ნერვების

დაწყნარება. სიცილიც ადამიანისათვის ისევე საჭიროა, როგორც ცრემლთა ფრქვევა. უნდა გამოვტყდე, რომ სიამოვნებით ვასრულებდი უმნიშვნელო როლებსაც კი ვოდევილებში.

მახლობლებზე ლაპარაკი ძნელია, მით უმეტეს, როცა დიდი ხანი არ არის რაც დავკარგე ეს ადამიანი, ჩემი მეუღლე, მეგობარი, ჩემი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გადამიტანია, ეს გაჭირვება ხომ ძველი თეატრის მუდმივი თანამგზავრი იყო, მაგრამ ბევრი კარგი წუთებიც განმიცდია. ბევრი ხოტბაც მომისმენია, ამის აღნუსხვას მე არ შევუდგები, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ და მინდა განსვენებული ჩემი მეუღლის არქივიდან ერთი ჩანაწერი მოვიყვანო. მიხეილ ქორელის არქივი საკმაოდ დიდია. მოგონებათა დაწერისას წავაწყდი ფანქრით რუსულ ენაზე ჩანაწერს. მოუყავს თარგმანი „ჩვეულებრივად როცა ნუცა სცენაზე გამოდიოდა დრამაში, საზოგადოებამ წინასწარ იცოდა, რომ იქნებოდა განცდა, ცრემლი და ცხვირსახოცებს ამზადებდა ცრემლის მოსაწმენდად. მისი გამოსვლა კომედიებში მოულოდნელი იყო ხოლმე. ნუცა სიამოვნებით თანხმდებოდა კომედიებში მიეღო მონაწილეობა. შეიძლება ეს აიხსნება იმით, რომ ის როგორც დისციპლინის მტკიცე დამცველი მსახიობი, რეჟისორის კანონიერ მოთხოვნილებას ყოველთვის ასრულებდა, ან იქნება იმიტომაც, რომ მას შესვენება ესაჭიროებოდა და სიცილის მოთხოვნილებაც ჰქონდა. ნუცას ისე მალე გაიტაცებდა კომედია, ის ისეთი მომხიბლავი, მხიარული და გულწრფელი იყო კომედიებშიაც, რომ აქტიორები როცა რაღაც მძიმედ, კუს ნაბიჯებით მიხოხავდნენ, ნუცას სცენაზე გამოჩენისთანავე გარდაიქმნებოდნენ ხოლმე. სიცილ-ხარხარი სცენაზე რამპის ზღუდეებს ლახავდა და დარ-

ბაზიც ეხმაურებოდა აქტიორებს. ზოგჯერ მეგონა, რომ ის არსებითად კომედიური მსახიობია. შეიძლება ის ბუნებით მეტად ცოცხალი ადამიანია, მაგრამ ცხოვრების პირობებმა, ოჯახურმა ტვირთმა, რომელიც მას დააწვა ბავშობიდანვე, გარემომ და ტრადიციამ ჩაახშო ბუნებრივი სიმხიარულე და ეს სცენაზე კომედიებში იჩენდა ხოლმე თავს".

1914 წლის პირველი იმპერიალისტური ომის დროს, სექტემბერში სეზონის დასაწყისშივე ქართული თეატრი, უბედური შემთხვევის შედეგად დაიწვა. მსახიობებს არც ბინა ჰქონდათ, არც ცხოვრების სახსარი. მაშინდელი დრამატული საზოგადოების გამგეობამ, მიუხედავად დიდი სურვილისა, უმწეოდ და უპატრონოდ დარჩენილ დასს ხელი ვერ შეუწყო. სწორედ ამ დროს, მაშინ ზუბალაშვილის სახელობის „სახალხო სახლთან" არსებულმა დრამატულმა სექციამ, თავისი გამგეობის სახით, მასპინძლურად მთელი სეზონით თავშესაფარი მოგვცა. მაშინ, გულნატკენმა დასმა დრამატული საზოგადოების მზრუნველობა უარჰყო, „ამხანაგობა" შეადგინა და სეზონს უმტკივნეულოდ გაუძღვა. პრესამაც „ამხანაგობის" მუშაობა დადებითად აღნიშნა.

აი რას წერდა ერთ-ერთ წარმოდგენაზე („ქვის მთლელნი") ქართული თეატრის მუდმივი, საკმაოდ მკაცრი რეცენზენტი ლევან ყიფიანი („კავკაზსკოე სლოვო" 1914 წ. 19/IX):

„...მობრძანდით სინიორებო და სინიორიტებო, ჯენტლემენებო, და ლორდებო—თამამად! აქ, თქვენთვის მყუდროებაა, სინათლე. აქ მრავალი ახალგაზრდაა, ცხოველი და აღფრთოვანებული. ჩვენს სცენაზე ბრწყინავს და ელავს ნამდვილი ხელოვნების ცეცხლი. ლორდებო და ჯენტლმენებო, დაამსხვრიეთ თქვენი გაუბედაობის ბორ-

კილები! შენც დრამატული საზოგადოების სეისტეტო-
გათამამდი და მტრულად განწყობილი ნუ ხარ: მოდი და
დახედე, როგორ უვლიან თავის სცენურ ამოცანებს შენი-
ურჩი შვილები, რომელნიც მეგობრულ „ამხანაგობაში"
გაერთიანდნენ."

მაგრამ გავიდა სეზონი და „სახალხო სახლის" მასპინ-
ძლობაც გათავდა. დასი დაიშალა და ახალ გაზაფხულზე
ყველამ თავისი გზა მონახა, ზოგმა სოფელში, ზოგმა
დაბაში „საბალახოდ". მე და ჩემი მეუღლე და ორიოდე
მსახიობი წავედით თელავში რამდენიმე წარმოდგენის
ჰოსაწყობად ადგილობრივი სცენისმოყვარეების დახმა-
რებით.

1915 წელს თელავში გავატარე ზაფხული, სადაც წარმო-
დგენებს ვმართავდით. ვიყავით რამდენიმე მსახიობი: ნ.
დავითაშვილი, მე, შ. გომელაური, ს. ბეჟანიშვილი და
რეჟისორი მ. ქორელი. მთელი ზაფხული რეგულარულად
იდგმებოდა წარმოდგენები. იმავე ზამთარში დავრჩი
თელავში, რადგანაც ჩემი მეუღლე მ. ქორელი პედაგო-
გი იყო თელავის პროგიმნაზიაში. ერთ მშვენიერ დღეს
თბილისიდან მომივიდა დეპეშა, ა. სუბათაშვილ-იუჟინის
პატივსაცემად იდგმება მისივე პიესა „ღალატი", სასურ-
ველია მონაწილეობა მიიღოთ, ზეინაბის როლი ითამა-
შოთო. დეპეშას დრამატული საზოგადოების გამგეობა
მიგზავნიდა. მივწერე თანხმობა. საერთოდ, ყოველი წარ-
ოდგენის წინ უზომოდ ვღელავდი. თუ არ ვღელავ, ჩემი
ოამაშიც ცივია, და რა თქმა უნდა სუმბათაშვილის თან-
დასწრებით თამაშს უფრო უნდა ავეღელვებინე. მაგრამ
თელავიდან წამოსვლის წინ სულ არა ვღელავდი. მითხრეს
კიდევაც სახლში, თუ არ ღელავ, ნურც მიდიხარ, არ
შეგვარცხვინო სუმბათაშვილთანო. თბილისში რომ ჩა-
ოვედი, იმავე საღამოს ქართული კლუბის ბაღში წავედი,

რომელიც ჩვენს თეატრთან ერთად იყო სასახლის ქუჩაზე. იქ შეიძლებოდა მთელი ქართული ინტელიგენციის ნახვა. ვხედავ, ბაღში მოდიან სუმბათაშვილი, ალ. წუწუნაია და ნიკო ერისთავი—ჩვენი გამგეობის წევრი და კარგი დეკლამატორი ქართველი კლასიკოსებისა. მივხვდი, რომ ჩვენკენ იყურებიან, საჩქაროდ მივაბრუნე სკამი და ზურგით დავჯექი: სუმბათაშვილმა რომ დამინახოს, გული გაუსკდება, იფიქრებს—ნუთუ ეს მილეული ქალი თამაშობს ჩემი პიესის გმირ ქალს ზეინაბსო.

გავიარეთ რეპეტიციები, სრულიად დამშვიდებული ვარ. აი წარმოდგენის საღამოც. ისევ მშვიდადა ვარ. რა ვქნა, რა ღმერთი მიწყრება, რათ არა ვღელავ, ნუთუ „ჩავაფლავებ“ ამაღამ როლს? შევრცხვები ამ დიდ დრამატურგთან და არტისტთან? საპირფარეშოს კარებზე კაკუნი მომესმა: ქაჯან, ნუცა, სუმბათაშვილს შენი ნახვა უნდა, გამოდი ცოტა ხანს.-ეს ვასო აბაშიძე მეძახის. —ბატონო ვასო. დიდ, დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ახლა არაფრით არ შემიძლია გამოვიდე, გრიმს ვიკეთებ, გახდილი ვარ, — ვუპასუხე მე. კარგი, კარგი ქაჯან, მერე იყოს. უკვე ორი ზარი მისცეს, არა ვღელავ. ეს უკვე მაწუხებს, ჩანს, დღეს როლს „ჩავაფლავებ“ და მერე ვისთან, ალ. სუმბათაშვილთან! ეს ხომ საშინელებაა! მესამე ზარი და ვიღაცამ დაიძახა, ფარდა არ ასწიოთ, გუნია ცუდად გახდაო. ვალერიან გუნიას, ოთარ-ბეგის შემსრულებელს მღელვარებით გული შეუღონდა. აი, მაშინ კი დავიწყე ცახცახი. ცოტა ხნის შემდეგ გუნია დამშვიდდა. დავიწყეთ წარმოდგენა, მაგრამ ისე ვღელავ, თავი სიზმარში მგონია. ხმას ვერაფერს ვერ ვუხერხებ, ხან ვწრიპინებ, ხან საშინელი ბოხი ხმით ვლაპარაკობ. ძლივს დავასრულე პირველი მოქმედება. დასვენების დროს შემოდიან გამგეობის წევრები და მეკითხებიან, ქალო რა მოუვიდა

დღეს შენს ხმას, თითქოს შენი ხმა არ არის. მეორე მოქმედება, მესამე მოქმედება, დავძლიეთ ჩვენი მღელვარება და პიესა კარგად ვითამაშეთ. მესამე მოქმედების შემდეგ რომ ფარდა ჩამოეშვა, ალ. სუმბათაშვილი ცრემლებით დასველებული სახით გამოვიდა სცენაზე, გადაეხვია ვლ. ალექსი-მესხიშვილს (სოლეიმან ხანს), ვალ. გუნიას, მეც. ასწიეს ფარდა და საზოგადოებასთან ერთად გავუმართეთ ოვაცია ჩვენს თანამემამულეს, დრამატურგს და არტისტს. იმ ღამეს სუმბათაშვილმა დასს უძღვნა ვერცხლის გვირგვინი. პატარა სიტყვა თქვა ქართულად, რაც მისთვის ძნელი ამბავი იყო.

თავი მეცხრე

ჩემი იუბილე

1919 წელს ქართველმა საზოგადოებამ დრამატულ საზოგადოებასთან ერთად იუბილე გამიმართა.

მხოლოდ ერთხელ ეღირსება მსახიობს ასეთი ბედნიერება. ყოველი გაჭირვება, უსახსრობა, ტანჯვა დამავიწყდა. პირველად ქუთაისში მოეწყო იუბილე, იმ ქალაქში, სადაც საუკეთესო ხანა ჩემი ცხოვრებისა, ჩემი სიყმაწვილე გავატარე. უზომოდ ვღელავდი. იუბილეს რამდენიმე დღის წინ გული შემიწუხდა. თავზე ექიმი მადგა და მანუგეშებდა. ნერვების ბრალია, სხვა არაფერი არა სჭირს თქვენს გულს, თქვენ თვითონ უნდა დაიკიროთ თავი, გამხნევდეთო.

იუბილეს დღეს მოვემზადე, ჩავიცვი და ველოდები გამცილებლებს. აივანზე ვიყავი გადამდგარი. ამ დროს გავიგონე მანქანის ხმა, ცხენების თქარათქური. ქულაჯით გამოწყობილი თორმეტი ახალგაზრდა მოვიდა ჩემს ბინასთან. ისინი ცხენებზე ისხდნენ. ჩემს წასაყვანად მოვიდა ავტომანქანა, რომელშიაც იჯდა ქუთაისის თეატრის დიდი მოჭირნახულე ივანე პურაბაშვილი. ეს, რომ დავინახე აივნიდან, შევვარდი ოთახში, შემდეგ მეორე ოთახში, მესამეში. ჩემი უფროსი ქალი მედეა უკან მომდევდა და მომძახოდა: დედა, რა მოგივიდა, აი, მოვიდნენ, კიბეზე ამოდიან, გამოდი. ძლივს დავძლიე მღე-

ლვარება და გამოვედი. იკანე პურადაშვილს ვუთხარი: თითქოს სახრჩობელაზე მიგყევართ, —ასეთი გრძნობა მაქვს...მეგონა, სამუდამოდ ვეთხოვებოდი ჩემს საყვარელ საქმეს, ჩემს თეატრს, რომელსაც 25 წელიწადი ვემსახურე.—რას ამბობ ნუცა, თავზე გვირგვინს გადგამთ, შენ კი ასე ღელავ! დამშვიდდი, გენაცვალე... ჭიშკართან რომ მივედი, დამხვდნენ ჩემი პატივისმცემელნი: საყვარელი მწერლის დავით კლდიაშვილის ქალები, მათი ამხანაგები, რამიშვილის ქალი და სხვა მრავალი, ჩემი საყვარელი ყვავილის მიხაკის თაიგულებით. ჩვენ გვინდოდა პირველნი შეგხვედროდით, ძვირფასო ნუცა და მოგვერთმია შენი საყვარელი ყვავილებიო. გადავეხვიე საყვარელ გოგონებს და სიხარულის ცრემლებით დავბანე სახეები. ჩავჯექი მანქანაში, ჩემი სამი შვილი თან ჩამისხდა. ირგვლივ ცხენოსნები შემოხვევენენ მანქანას და წამიყვანეს. ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. ყველა სახლის აივანზე ხალიჩები იყო გადმოფენილი. აივნიდან, ფანჯრებიდან აუარებელ ყვავილებს ისროდნენ. მანქანა აივსო ყვავილებით. რა ბედნიერი წუთები იყო. ახლაც რომ მაგონდება, სიხარულის ცრემლი მახრჩობს. თეატრი დროშებით, მწერლების სურათებით და მწვანით იყო მორთული. ხალხი იყო აუარება. გაისმა დაუსრულებელი ტაში. თეატრის კართან იყო ყვავილებით და მწვანით გაკეთებული ტალავერი. თეატრის კარი, რომ შევაღე, დამხვდნენ თბილისიდან ჩამოსულნი: ძვირფასი მასწავლებელი ეფემია მესხი, ჩემი მეგობრები ნინო და ბაბო გამრეკელები, ვერიკო ანჯაფარიძე, ანეტა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი და სხვანი. ესენი რომ დავინახე, მუხლი მომეკვეთა, გადავეხვიე და გული შემიღონდა. მიხეილ ჭიაურელმა ხელში ხელი ჩამავლო და შემანჯღრია, რა მოგივიდათ, გონს მოდითო.. მეც გამოვეფხიზლდი. მალე

დაიწყო მოლოცვები. ,ბევრი ძალიან გულთბილი სიტ-ყვა ითქვა, ბევრი ცრემლი დაიღვარა როგორც ჩვენი, ისე საზოგადოებისა. ყველა ორგანიზაციამ, დაწესებულებამ მიიღო მონაწილეობა. საღამოს გაიმართა წარმოდგენა და მომილოცეს ამხანაგებმა.

ქუთაისში მოწყობილ ჩემი საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე იყო ჩვენი თეატრის დიდი მოამაგე, საყვარელი მწერალი დავით კლდიაშვილი.

მინდა მოვიყვანო ერთი ამხანაგის ვ. თუთბერიძის სიტყვიდან რამდენიმე სტრიქონი მაშინდელი თეატრის მდგომარეობის გასაშუქებლად:

„სომ გახსოვს ის დრო, როცა ჩვენთან ერთად ანავე თეატრში ზურნით და საყვირით ხალხს უწოდებდით და ეს ხმა ბუკისა და ნაღარისა ღამის წყვდიადში იკარგებოდა და ხშირად მხოლოდ ათიოდ ჭირისუფალთა თანადასწრებით იმართებოდა წარმოდგენები. მოიგონე ისიც, თუ შენ, ობლად დარჩენილს, როგორ გიფთხილდებოდნენ, დაძმური ალერსით თავს გევლებოდნენ შენი იმ დროის ამხანაგები, როგორ ცდილობდით შენც. და შენი თანამოძმენიც ქართველი ქალის სახელი დაღირსება სცენაზე არ დაცემულიყო.

და აი, ახლა სომ დარწმუნდი, რომ გაიმარჯვე, გულის წადილი შეგისრულდა და შენს გამარჯვებას შენთან ერთად ხალხი ზეიმობს.“

შემდეგ ჩემი იუბილე გაიმართა დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში, ყველა დაბაში. დიდი-სიხარული განვიცადე სამტრედიაში. უკვე შებინდებული იყო, მანქანით მივდიოდი თეატრში, მანქანა შეჩერდა და დავინახე პატარა გოგონები, ყველა თეთრებში-გამოწყობილნი, თეთრი ლენტებით და ხელში ყვავილებით. ერთი მათგანი გამოვიდა, თავისი ბავშვური. ტიტი-

ნით ლამაზი სიტყვა მითხრა. მჯად ვიყავი ეს ბავშვი გულში ჩამეკრა და თავით ფეხამდის დამეკოცნა.

სამტრედიიდან ხონში გავემგზავრე მანქანით. შუა გზაზე მთელი ხონის ინტელიგენცია შემხვდა ეტლებით ისე, როგორც ქუთაისში თორმეტი ჭაბუკი ცხენებით. ხონმაც დიდი ზეიმით გადამიხადა დღესასწაული. მაშინ ოზურგეთში ნატანებიდან რკინიგზა არ იყო გაყვანილი და ნატანებში ყვავილებით მორთული ეტლით შემხვდნენ საღამოს მომწყობნი, შუა გზაზე ქალაქისთავი და ოზურგეთელი მანდილოსნები შეგხვდნენ თაიგულებით. აქაც ძალიან გულთბილი მიღება, პატივისცემა. იგივე იყო ფოთში და ჩემს მშობლიურ ზესტაფონში. ყველგან მუსიკით, ყვავილებით შეხვედრა.

იმავე წელს ჩვენმა დედაქალაქმა თბილისმაც დიდი ზეიმით გადამიხადა იუბილე. ყველა იღებდა მონაწილეობას. ინტელიგენცია, მუშები, უნივერსიტეტი, სკოლები, მწერლები, ჯარისკაცები, თეატრები, ერთი სიტყვით, ყველა დაწესებულება. თვით საქართველოს ბულბული, დაუვიწყარი ვანო სარაჯიშვილიც მღეროდა ჩემს დღესასწაულზე. თბილისში გრანდიოზული იყო იუბილე, ხოლო ქუთაისში უფრო გულთბილი: არც გასაკვირველია; ქუთაისში აღვიზარდე, იქ შევდგი ფეხი პირველად სცენაზე, იქ გავატარე საუკეთესო ხანა, ყველა მიცნობდა, როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში, ყველა თანამიგრძნობდა. ერთი სიტყვით, ტყუილად არ ჩაუვლია ჩემს შრომას, რაც გავაკეთე ერთიანთად მომიზღეს ჩემმა თანამემამულეებმა.

თავი მეათე

დიდი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი. ჩემი მარცხი ლაურენსიას როლში. დასიდან წასვლა.

1922 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსული დასი: დიდი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი. კოტეს ახალგაზრდობიდანვე ვიცნობდი და, როგორც თავშივე აღვნიშნე, მასთან ქუთაისში ვითამაშე კიდეც. დიუმას „ცოდვის შვილში". მალე კოტე რუსეთს გაემგზავრა. გაზეთებიდან მესმოდა, რომ კოტე სახელოვანი რეჟისორი შეიქმნა და იმდენად დაწინაურდა, რომ სამხატვრო თეატრმაც კი მიიწვია სამუშაოდ. კოტეს მუშაობამ სამხატვრო თეატრში, ოპერეტაში, მის მიერ დაარსებულმა „თავისუფალმა თეატრმა" რუსეთის მთელი თეატრალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

ჩვენმა ხელისუფლებამ წინადადება მისცა მარჯანიშვილს ქართულ თეატრში დაეწყო მუშაობა. კოტე დათანხმდა პირველად ერთი წარმოდგენა დაედგა. ამ ამბავს ყველა დიდი სიხარულით შეხვდა. დაიწყო ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყაროს" რეპეტიციები. აღნიშნულ პიესაში მთავარ როლებს თითქმის სულ ახალგაზრდები ასრულებდნენ და უნდა ითქვას მათ სასახელოდ, რომ გამოცდა ღირსეულად დაიპირეს და დაუვიწყარი სახეები შექმნეს.

ქართული თეატრის ისტორიაში „ცხვრის წყაროს“ დადგმით ახალი ერა დაიწყო. მთავარი როლების შემსრულებლებმა: ლაურენსია — თ. ჭავჭავაძე. ესტევანი — ალ. იმედაშვილი, პასკვალა — ტ. აბაშიძე, ფრონდოზო — გ. დავითაშვილი, მენგო — ა. ვასაძე, კომანდორი — დ. ჩხეიძე, ბარილდო — ნ. გვარაძე და სხვ. — დაუვიწყარი სახეები შექმნეს.

რა თქმა უნდა ყოველგვარი შესაძლებლობა ხელს უწყობდა მარჯანიშვილს ბრწყინვალე წარმოდგენა ეჩვენებინა. საკმაო რეპეტიციები, ახალი დეკორაციები, კოსტიუმები, არჩევითი მხატვარი, კომპოზიტორი და სხვა. თეატრის მუშაკები აღფრთოვანებით შეხვდნენ მარჯანიშვილს და ყოველგვარ პირობას უქმნიდნენ მას თავისი რეჟისორული ოსტატობა გაცოცხლებინა. გულღიად მიიღო ქართულმა თეატრმა დიდი ხელოვანი და ამ უკანასკნელმაც დაუმტკიცა თუ რა დიდი შესაძლებლობის მქონე იყო ქართველი აქტიორი, თუ მას სათანადო პირობები ექნებოდა. ეს ასეც მოხდა. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით ჩვენი თეატრი აღმავლობის გზას დაადგა და თავისი დიდი ნოვატორის ენერგიულმა მუშაობამ ქართული თეატრის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

სცენის ენთუზიასტი მარჯანიშვილი ცხოვრებაშიაც დიდი ენთუზიასტი იყო, დაუცხრომელი, გატაცებული და მეგობრების დიდი მოყვარული. მის გარშემო მტკიცე მეგობრული კავშირი დამყარდა და სულ მალე ნამდვილი ერთგული მეგობრები გაიჩინა. მარჯანიშვილი მართებულად ახალგაზრდობას ეყრდნობოდა. მისი მეგობრებიდან მინდა დავასახელო ჩვენი მაშინდელი თეატრის დირექტორი მსახიობი დავით ჩხეიძე. ეს უკანასკნელი შართლაც ღირსი იყო მეგობრობის. გულწრფელი, საქმის დიდი მოყვარული, მეტისმეტად ზრდილობიანი

Глубокоуважаемой и дорогой Нине Исидо-
в радостную память первых
наших робких шагов на
сцене. Искренно любящий
Котэ Мгаброян
15/I 1933.
Тифлис

თავიდანვე იზიდავდა ადამიანს. რა დამავიწყებს ერთ პატარა ეპიზოდს. ჩემი მეუღლე სტუდიაში კითხულობდა ლექციებს. ერთ დღეს ვეახელი სტუდიის მაშინდელ დირექციას, ვთხოვე ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ და ხელფასის ანგარიშში მოეცათ ავანსი, რაზედაც უარი მივიღე. შემთხვევით აქვე იყო დ. ჩხეიძე. ვნახოთ, რაღაც ამოიღო ჯიბიდან და ჩუმათ ისე ჩამიდო ფული ხელში, რომ მადლობის თქმაც კი ვერ მოვასწარი.

კოტე ბუნებით პოეტი იყო და როგორც ვიცით ხშირად ლექსებსაც წერდა თავის მახლობლებს და მეგობრებს. მან მოსკოვიდან ერთი მეტად საყურადღებო ლექსი გამოუგზავნა დ. ჩხეიძეს, რომლის სათაურიც იყო „Прощайте Датико". მომყავს ამ ლექსის ერთი ტაეპი:

Прощайте Датико!
Мы встретились легко,
В мужских беседах время коротая,
Умом в искусстве вопросы разрешая,
Все было хорошо.

პირადად მარჯანიშვილს შევხვდი მე, როგორც ძველ ნაცნობს, და მან ჩამოსვლისთანავე თავის სურათი გამომიგზავნა გულწრფელი წარწერით, რაც ჩემთან ინახება. მე საზოგადოდ მეტად კარჩაკეტილ ცხოვრებას ვატარებდი და არ მიყვარდა ბანკეტებზე, საიუბილეო ნადიმებზე სიარული. მაგონდება ერთი სცენა. რომელიღაც პიესის რეპეტიცია დამთავრდა. მე და ჩემი მეუღლე თავისუფალი ვიყავით და თეატრის ფოიეში შევხვდით კოტეს. დამინახა თუ არა კოტემ მოირბინა ჩემთან და მითხრა: „ნუცა, რად ხართ ასეთი მიუკარებელი, წამოდით ჩვენთან „ქიმერიონში". ასეთივე წინადადებით მიმართა ჩემს მეუღლეს. ალბათ არ მოელოდა ჩემს თანხმობას და

როცა ბანუცხადე სიამოვნებით წამოვალ მეთქი, კოტემ უცბად ხელი გამიყარა მკლავში და არტისტულად დაიძახა ა. ოსტროვსკის პიესის გმირის სიტყვებით: „Шире дорогу—Нуца с нами идет!“ სუფრაზე მეტად გამხიარულდა კოტე და მეუბნებოდა მხოლოდ შენი თამაშობა მგვრიდა ცრემლებსო. ვიცოდი კოტეს შეხედულება ჩემზე, როგორც მსახიობზე, მაგრამ მიუხედავად ამისა რატომღაც მე თეატრში სრულიად უმოქმედოდ ვიყავი. მუშაობის უნარი მქონდა, მაშინ 43 წლის ვიყავი.

ერთ დღეს ველარ მოვითმინე და უკვე გაცხარებული მივმართე დირექტორს: „რად ჩამაყენეთ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში, მე არ მითხოვნია დასში მიგეღეთ, დროზე გაგაფთხილეთ, რატომ არ გამანთავისუფლეთ?“ ეს გაიგო კოტემ და მეუბნება: „ნუცა, უნდა მოგელაპარაკოთ“. „ეხლა ლაპარაკი არ შემიძლიან მეთქი“,—ვუპასუხე, რადგან ცრემლები მახრჩობდა. მაშ „ხვალ“ და აი, მეორე დღეს ჩამკეტა თავის კაბინეტში და მეუბნება: „მიამბე რითი ხარ უკმაყოფილო“. მეც ავუხსენი, მკითხა—„რა როლები გინდა ითამაშო?“—მე როლები ძალიან ბევრი მითამაშნია, ამით დაინტერესებული არა ვარ, მაგრამ რაკი დასში ვარ, თავს უნდა ვგრძნობდე დასის წევრად და არა პენსიონერად“. „ხვალიდან მე ჩავუდგები საქმეს სათავეში და ჩემთან გეჭნება საქმე. როგორ შეიძლება ისეთი მსახიობი, რომელიც ხალხს ასე უყვარს დასიდან წავიდესო“ და სხვა. ჩამომართვა სიტყვა, რომ დასიდან წასვლას არ ვიფიქრებ. მომთხოვა სია იმ როლებისა, რომელიც მე მითამაშნია. ამოვირჩიოთ ნათამაშევი როლებიდან და ერთად დავამუშაოთო. თეატრის რეპერტუარი ისე წარიმართა, რომ მე უმოქმედოდ ვიყავი. არ ვიცი რატომ, სეზონის ბოლოში გამომიცხადა, რომ ლაურენსიას „ცხვრის

წყაროში“ მე ვითამაშებდი. „რა საჭიროებისათვის, ხომ თამაშობს მსახიობი ამდენი ხანია და თამაშობს ძალიან კარგად“. „არა, მე მინდა შენ ითამაშო“. საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი; ლაურენსია ყველა მსახიობისათვის სახარბიელო როლია, მაგრამ იმ ინტერპრეტაციით, როგორც იყო დადგმული, ჩემთვის შეუფერებელი იყო, არც შეიძლებოდა იმ ორიოდე რეპეტიციით, რომელიც მე მარგუნეს, რისიმე შეცვლა. მთელ დასს სისხლხორცში. აქვს გამჯდარი როლები, შეხმატკბილებულნი არიან რეპეტიციებით და შემდეგ წარმოდგენებით, და აი მე, სრულიად მოუმზადებელი მთავარ როლში უნდა შევიჭრა ამ მშვენიერ დახვეწილ წარმოდგენაში. შემომეხვივნენ ახალგაზრდები, მემუდარებიან, მთხოვენ უარი არა ვთქვა და მეც დავთანხმდი. უკანასკნელ მოქმედებაში დოქი მომცეს ხელში, ვიდექი და არ ვიცოდი რა უნდა მექნა ამ დოქისათვის. ერთმა წამჩურჩულა, ნუ სწუხართ, მე უნდა გამოგართვათ ეს დოქი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ვიდექი სცენაზე და ვაი-ვაგლახით დავამთავრე როლი.

სეზონი გრძელდებოდა. მარჯანიშვილმა დადგა რამდენიმე განსაცვიფრებელი წარმოდგენა: „ინტერესთა თამაში, „მზის დაბნელება საქართველოში“, „გმირი“, „გააზნაურებული მდაბიო“ და სხვა. სეზონის ბოლოს მარჯანიშვილმა მიმიხმო: ნუცა, მე ვიცი უკმაყოფილო ხარ მუშაობით, ეს მეც მაწუხებს, მე მინდა თანხმობა იყოს ჩვენს შორის და ამიტომ აი, ახლავე გეტყვი რა როლები გექნება მომავალ სეზონში. ამ ჩვენს ლაპარაკს ესწრებოდა აგრეთვე თეატრის დირექტორი დავით ჩხეიძე. დამისახელა რამდენიმე პიესა. კმაყოფილი ხარ? მე ერთი როლიც რომ ვითამაშო, კმაყოფილი ვიქნები-მეთქი, დანარჩენი თუ გინდათ სინი გამომატანინეთ სცენაზე,

ოღონდ ვგრძნობდე, რომ მეც ვმუშაობ, ან სულ ნუ დამტოვებთ დასში.

შემდეგი სეზონისათვის მოსამზადებელ ხანას ვატარებთ ბორჯომში. მთელი დასი ვმუშაობთ, ყველანი ენერგიულად. ყველა მარჯანიშვილს შევყურებთ თვალებში. ვამზადებთ ტოლერის „კაცი მასსას". აქ კი მთავარი როლი მე მარგუნეს. რეალურ პიესებზე შეჩვეულს ძალიან მიძნელდება ექსპრესიონისტული პიესის თამაში, მაგრამ რა ვქნა; მწამს დიდი ხელოვანი დიდ საქმეს აკეთებს და მეც ვცდილობ შევითვისო ეს ჩემთვის საძნელო ამბავი. პიესის დადგმა მიენდო მ. ქორელს მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

ეს ის პერიოდია, როცა ჩვენი თეატრების რეპერტუარში ერთგვარი გასაქანი ჰპოვეს ექსპრესიონისტულმა პიესებმა. თუ კოტე ასეთ სპექტაკლებშიაც ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა, ეს უნდა მივაწეროთ მის დიდ რეჟისორულ ნიჭს. კოტეზე ხუმრობით თქმული ფრაზა, მიეცით კოტეს სილოვან ხუნდაძის გრამატიკა და ის მას დადგამს მშვენივრადო,—კვეხნა არ იყო. მას მართლაც შეეძლო უსულო საგნისათვის სული შთაებერა. მაგრამ ბევრი ძველი მსახიობი ვერ ურიგდებოდა თეატრის მაშინდელ მიმართულებას; ამ ნიადაგზე წარმოშობილი უკმაყოფილოების შედეგად მეც გამოვეთხოვე დასს. ძველმა მსახიობებმა შევადგინეთ კოლექტივი და დროდადრო წარმოდგენებს ვმართავდით. ნათლად მახსოვს ოპერის თეატრში გვქონდა დანიშნული წარმოდგენა. ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ შევხვდი თეატრში ჩვენს დიდ ხელოვანს, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს. გამოსაუბრებისას ზაქარიამ გამამხნევა და მითხრა: „ნუ სწუხარ ნუცა, ყველაფერი რაც ახლა გეჩოთირებათ, გამოსწორდება. ჰეშმარიტი რეალიზმი ყო-

ველგვარი იზმების ნარჩენებს დასძლევს და გაიმარჯვებს“. მართლაც ასე მოხდა, დიდმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა დასძლია ცალკეული ნაკლოვანება და შემდეგ უფრო თამამად წაიღო რეალიზმის დროშა. კოტეს გამარჯვების სათავე, ჩემის აზრით, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მისთვის თეატრში მთავარი იყო აქტიორი და მუდამ დაუცხრომლად მუშაობდა და იღწვოდა აქტიორის შესაძლებლობის სრული სცენიური გამომჟღავნებისათვის. ამასთან პარტია და მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობდნენ დიდ რეჟისორს. ადრე ძველ მსახიობებს წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო ასეთ მზრუნველობაზე; სწორედ პარტიის ამ უსაზღვრო დახმარებით უნდა აიხსნას, რომ ქართულ საბჭოთა თეატრს საპატიო ადგილი უჭირავს და ხელოვნების მბრძანებელ მწვერვალებს იპყრობს. რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის და ჩვენი სხვა თეატრების შესანიშნავი დადგმები ამის ნათელ დადასტურებას იძლევიან.

თავი მეთერთმეტე

სახკინმრეწვი

1924 წელს კ. მარჯანიშვილმა კინოში დაიწყო მუშაობა. დადგა „სამანიშვილის დედინაცვალი“ (დ. კლდიაშვილისა). სხვათა შორის, იმ ხანებში ძალიან გატაცებულნი იყვნენ პატარა გოგი რატიანით, რომელიც სვანეთიდან იყო ჩამოყვანილი და ათამაშებდნენ პატარა ბავშვის როლებს. ამ პატარა ბიჭუნამ მარჯანიშვილიც გაიტაცა. კოტემ წერილიც კი უძღვნა გოგის, სადაც პატარა ბიჭუნას დიდად ნიჭიერს უწოდებდა. აი ამ გოგისათვის დადგა მარჯანიშვილმა ამავე სახელით საბავშვო სურათი. სხვათა შორის, მეც მიმიწვია პატარა ეპიზოდური როლის შესასრულებლად. დამინიშნა დღე სასინჯი სურათის გადაღებისათვის. მივედი. მარჯანიშვილმა შემხედა, მეუბნება: „არა ღირს სასინჯი სურათის გადაღება, მე ვიცი, კარგად გამოხვალ. სახკინმრეწვში პირველად ხარ?“ „ჰო, პირველად“,—ვუპასუხე მე. „მაშ წამოდი, დაგათვალიერებინებ აქაურობას“ (მაშინ კინოატელიე არ იყო აშენებული). გამიყვანა ეზოში და ერთ-ერთ გრძელ სკამზე ჩამოვსხედით, ვბაასობთ. ჩვენთან ახლოს დგას რაღაც აპარატი. კაცი ატრიალებს ამ აპარატს და ეკითხება: „კონსტანტინე ალექსანდრეს-ძევ, კმარა? აი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ეს იყო კინოაპარატი, რომელიც მე არ მენახა და კინოაპარატის სახელურს,

თურმე ოპერატორი ატრიალებდა. მივხვდი, რომ მარჯანიშვილთან ბაასის დროს გადამიღეს. წამოვხტი ზეზე და გავიქეცი, მაგრამ რაღა დროს. მარჯანიშვილის სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა, რომ ასე მოხერხებულად გადამიღო.

საბავშვო სურათში ეპიზოდი გადავიღე. სამწუხაროდ მე არ მინახავს ის სურათი. მარჯანიშვილმა კი მითხრა: „ნუცა, საჭიროა კინოში გადაიღო". კინოსათვის ახალგაზრდებს და ლამაზებს ეძებენ-მეთქი,—ვუპასუხე. „არა, საჭიროა შენთვის დაიწეროს სცენარი. აი პატარა ეპიზოდი რომ გადაიღე,არაჩვეულებრივ კარგად გამოხვედი". მიდიოდა წლები, ჩემთვის სცენარს არავინ წერდა და არც არავინ მიწვეკდა და მეც, რა თქმა უნდა, არავის ვაგონებდი ჩემს თავს.

1927 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა რეჟისორი მიხინი. უნდა გადაეღო სურათი „მთების კანონები". საჭირო იყო მოხუცებული ქალის შემსრულებლები. სხვათა შორის ვ. გუნიამ დამასახელა მე. სხვა მსახიობებთან ერთად მეც მიმიწვიეს გასასინჯი სურათის გადასაღებად. აპარატთან რომ დავდექი, მიხინი მეკითხება: „თქვენ სულ არ იცნობთ კინოაპარატს?"—„არა, არ ვიცნობ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა ეპიზოდს, რომელიც მხოლოდ ერთი საათის სამუშაო იყო. გადამიღო გასასინჯად, როგორც არის მიღებული საზოგადოდ, რეჟისორმა რომ გაიგოს, რამდენად მოძრავი აქვს სახე მსახიობს—გაცინებულს, გახარებულს, დაღვრემილს,ატირებულს, გაჯავრებულს და სხვა.

ამის შემდეგ დამიბარა ისევ მიხინმა და მითხრა: „ამ პატარა როლისათვის („მთის კანონები") თქვენი დახურდავება არ შეიძლება. მე აზრად მაქვს თქვენთვის სცენარი გავაკეთო. უკვე თემა მივეცი ფაბრიკის დირე-

ქტორს და იმანაც სიამოვნებით მიიღო ჩემი წინადადება. სურათს გავაკეთებ თქვენი მონაწილობით, მხოლოდ სიტყვა უნდა მომცეთ, რომ სანამ მე არ გადაგიღებთ, სხვასთან არ უნდა გადაიღოთ. მე პირდაპირ გეუბნებით, თქვენს რეჟისორებს თქვენთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მე, მე გიპოვნეთ და პირველად მე უნდა ვისარგებლო". მეც მივეცი პირობა. ამის შემდეგ არ ვიცი, რა მოხდა, რაღაც უსიამოვნება მოუვიდა მიხინს და წავიდა ისევ რუსეთში. მე ისევ უსაქმოდ დავრჩი, თუმცა სურვილი მქონდა ერთხელ მაინც მეცადა ჩემი თავი ეკრანზე.

ნ. ჩხეიძე კინოფილმში „საკანი № 79"

1931 წელს ისევ მოვაგონდი სახკინმრეწვს, ან უფრო სწორად, რეჟისორ შ. ბერიშვილს, რომელიც „კამერა № 79" იღებდა, სადაც მთავარი როლი მე მქონდა დანიშნული. რამდენადაც ვიცი ეს სწორედ ის სცენარი იყო, რომელიც მიხინის დავალებით დაწერეს შ. ალხაზიშვილმა და ს. დოლიძემ. ამ სცენარში მსახიობისათვის

ძალიან დიდი მაყალა არის. რა თქმა უნდა, ბევრად უკეთ შეიძლებოდა მისი განსახიერება, მაგრამ ჩემმა გამოუცდელობამ ძალიან შემიშალა ხელი. აპარატის წინ რომ ვდგებოდი, ვფიქრობდი—აი, სულელი ვდგავარ აპარატის წინ, რა უნდა გავაკეთო? ერთია დრამაში სცენაზე თამაში, ხოლო კინო სულ სხვაა. აქ უთუოდ სულ სხვა ტექნიკაა საჭირო, რომელსაც მე სრულიად მოკლებული ვიყავი და ახლაც, რამდენიმე სურათის შემდეგ, მე უფრო ინტუიციით ვთამაშობ. „საკანის“ შემდეგ კიდევ გავიდა სამი თუ ოთხი წელიწადი და მხოლოდ შემთხვევით ვითამაშე სურათ „უემურში“. შემდეგ კი აღარ მოვშორებივარ კინოს. მონაწილეობა მივიღე სურათი „დარიკოში“ (რეჟისორი ს. დოლიძე) და „არსენაში“ მ. ჭიაურელის რეჟისორობით.

გამოტეხით ვამბობ, როგორც დრამის მსახიობს, კინო ნაკლებად მაკმაყოფილებს. დრამის მსახიობისათვის ძნელია ჯერ მოკვდე და მერე დაიბადო. დრამაში როლი თანდათანობით ვითარდება, კინოში კი როგორც რეჟისორისათვის არის მოხერხებული, ან ტექნიკური საშუალება აქვს, ჯერ მოგკლავს და მერე იწყება თავიდან როლი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ თეატრში აუდიტორიას ხედავ, გრძნობ შენს ძალას, გრძნობ, როგორ ხელში გიჭირავს ხალხი. სარბიელიც (სცენა) ფართო გაქვს მოძრაობისათვის, ხმის მოხმარებაც შეგიძლია თავისუფლად. კინოში კი ყოველივე ამას მოკლებული ხარ, ერთი სანტიმეტრით თავი თუ გადასწიე მარჯვნივ ან მარცხნივ, ან ფეხი გადადგი, აღარაფერი გამოვა. ვიმეორებ, დრამის მსახიობს ნაკლებად დააკმაყოფილებს კინოში მუშაობა. კინომსახიობს სპეციალური კინოტექნიკა უნდა ჰქონდეს; რასაც ბევრი დრამის მსახიობი მოკლებულია და მათ რიცხვში მეც ვიყავ.

თავი მეთოთხმეტე

სანკულტურის თეატრი. გამოთხოვება.

1937—38 წლების სეზონის დასაწყისში ჩემთან მოვიდა სანკულტურის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ნინიძე და წინადადებით მომმართა მუშაობა დამეწყო სანკულტურის თეატრში. სეზონში მხოლოდ ერთი როლი უნდა შემესრულებინა. იბსენის „მოჩვენებანში"- ფრუ ალვინგი. ძალიან შეეშფოთდი; სცენას გადაჩვეული, თამაშს როგორღა შევძლებმეთქი. ვ. ნინიძე დაჟინებით მთხოვდა. სინჯეთ რეპეტიციებზე, თუ ვერ შესძლებთ, ძალას ხომ ვერ დაგატანთო. აქვე ჩემმა მეუღლემ მ. ქორელმა მირჩია—ჯერ კიდევ ღონე გაქვს, რატომ გინდა მოწყდე შენს საყვარელ საქმეს. დავთანხმდი, მსურდა მესინჯა ჩემი ძალღონე.

იბსენის „მოჩვენებანი" ნახული მქონდა ორლენიევის შესრულებით. იმდენად მოხიბლული ვიყავი ოსვალდი-ორლენიევით, რომ ფრუ ალვინგი სრულებით არ მახსოვდა. მომაგონდა რეგინა-ნაზიმოვა ორლენიევის მეუღლე, შემდეგ გამოჩენილი კინომსახიობი. ფრუ ალვინგი კი ვერ მოვიგონე. როდესაც პიესა წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ როლი ძალიან საინტერესოა, ოსვალდს არც ჩამოუვარდება. ჩემი ჩვეულებისამებრ პიესა ყურადღებით წავიკითხე, როლი გადავიწერე და სიამოვნებით შევუდექი მის შესწავლას. რეპეტიციებზე რომ მივედი

ვთრთოდი ისე, როგორც პირველად, როცა სცენაზე ფეხი შევდგი. რეჟისორად მოწვეული იყო შოთა აღსაბაძე. ოსვალდი—ახალგაზრდა მსახიობი ნ. ხორავა, რეგინა—დ. მელიქიშვილი და ც. მეძმარიაშვილი, პასტორ მანდორსი—ა. შანშიაშვილი, ენგანსტრად—დ. პავლიაშვილი.

პიესა ფსიქოლოგიურად რთულია, მაგრამ იმავე დროს მასობრივი სცენებით არ არის დატვირთული. ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი შ. აღსაბაძე ძალიან გულით მოეკიდა საქმეს. მხარი დავუჭირეთ მსახიობებმაც. ჩემი შიში გადავლახე, როლში ადვილად გავერკვიე, ჩემი ძალღონის შესაფერისი აღმოჩნდა. რეჟისორიც არ მბოჭავდა, არ მახვევდა თავს თავის შეხედულებას და შეთანხმებულად ვმუშაობდით. ახალგაზრდა მსახიობი ნ. ხორავა ჩინებული ოსვალდი აღმოჩნდა. იგივე ითქმის დანარჩენებზეც. როგორც პრესამ აღნიშნა, პატარა თეატრში დიდი წარმოდგენა გამოვიდა. ნუცა ჩხეიძე, როგორც გაზეთები წერდნენ, ისეთივე მომხიბლავი იყო, როგორც წინათ.

დასის ჩემდამი დამოკიდებულება არაჩვეულებრივი იყო; დაწყებული დირექტორ-ხელმძღვანელიდან სცენის მუშაკამდის ყველა განსაკუთრებული სიყვარულით მექცეოდა. სიამოვნებით ვიგონებ იმ მოკლე ხანს, რომელიც სანკულტურის თეატრში გავატარე. ვ. ნინიძეს ვუწოდებ ჩემს მეორე ნათლიას, რომელმაც მეორედ ამადგმევინა ფეხი სცენაზე.

არ ვიცი, სანკულტურის თეატრის წარმოდგენამ იმოქმედა, თუ რა მოხდა, სეზონის დასრულებისას რუსთაველის თეატრმა მომცა წინადადება დავბრუნებულიყავი იმავე თეატრში, სადაც მრავალი წელი გავატარე.

ძალიან გულის ძგერით მივედი პირველ რეპეტიციაზე. როგორ შემხვდებიან? როგორ შეხედავენ ჩემს დაბრუ-

ნებას? იქ ხომ ბევრი ახალი ხალხია? მაგრამ ჩემი შიში არ გამართლდა. ყველა სიხარულით შეხვდა ჩემს დაბრუნებას. ახალგაზრდებიც კი, რომლებიც მხოლოდ გაგონილით მიცნობდნენ. პირველად რუსთაველის თეატრიდან რომ წამოვედი ახალგაზრდა მსახიობები დავტოვე, თ. ჭავჭავაძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. დავითაშვილი, ე. აფხაიძე, დ. მჟავია და სხვები. ახლა კი დამხვდნენ სცენის დიდი ოსტატები, აგრეთვე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებიც.

ჩემი პირველი გამოსვლისათვის მზადდებოდა ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“ ელო ანდრონიკაშვილის თარგმანით. პიესას დგამდა ა. ვასაძე და იმავე დროს თამაშობდა შმაგას, მე კრუჩინინას, გ. დავითაშვილი ნეზნამოვს. მე ჩემი აზრი გამოვთქვი როლის შესახებ, რეჟისორმა თავისი, შევთანხმდით და დავიწყეთ მუშაობა. აქვე უნდა აღვნიშნო კრუჩინინა ითამაშა თ. ბაქრაძემაც და ითამაშა ჩინებულად.

კრუჩინინა წინათაც მითამაშნია სახელდახელოდ, არ მახსოვს, ჭიათურაში თუ ბათუმში. მაშინ სრულებით დრო არ მქონდა როლი დამემუშავებინა. აქ კი დრო ბევრი მქონდა. შემეძლო ჩავფიქრებოდი როლს. დავისახე ძლიერი ხასიათის ქალი, რომელმაც ბევრი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ მიუხედავად ამისა შესძლო დიდი მსახიობი გამხდარიყო, ცხოვრებას შებრძოლებოდა, პირდაპირ შეეხედნა ყველასათვის, როგორც შეურაცხმყოფელთათვის, ისე კეთილმყოფელთათვის. ვიწყებდი მეორე მოქმედებიდან, რადგან პირველ მოქმედებაში ახალგაზრდა, ოტრადინასათვის უკვე შეუფერებელი ვიყავი ხნოვანებით. პირველ მოქმედებაში თამაშობდა რ. ბერიძე, შემდეგ ა. თოიძეც.

რადგანაც კრუჩინინა მეორე მოქმედებაში ნილ სტრატონიჩს (ე. აფხაიძე) უამბობს იმას, რაც პირველი მოქმედებიდან უკვე იცის მაყურებელმა, ამიტომ ავიღე ჩქარი, ნერვიული ტემპი, რომ მაყურებელს არ მოსწყინებოდა და ვფიქრობ მიზანს მივაღწიე. დარბაზი სულგანაბული ისმენდა პიესას. ეს ჩემი აზრი გავუზიარე დამდგმელ რეჟისორს, ისიც დამეთანხმა. პირველი წარმოდგენა ჩემთვის იუბილედ გადაიქცა. აუარებელი ყვავილები, ხალხით გაჭედილი დარბაზი და არაჩვეულებრივი გულთბილი შეხვედრა. ყელში ცრემლები მომებჯინა და რამდენიმე ხანს ხმა ვერ ამოვიღე მღელვარების გამო. ფოიეში მსახიობმა ქალებმა ოვაცია გამიმართეს.

შემდეგი პიესა იყო „გიორგი საკაძე" ა. შანშიაშვილისა, სადაც გიორგის დედას ვთამაშობდი. როლი მეტად მარტივი და კარგი იყო.

მალე დაიდგა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატიც". ზეინაბის თამაში სიყმაწვილეშიაც მიჭირდა. მთელი ხუთი მოქმედება, უაღრესად დაჭიმული ნერვები, ტექსტი ძალიან დიდი და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდული სიძლიერით ვეღარ ვითამაშე. თანაც დამღალა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში დღეგამოშვებით თამაშმა. დაღლილობის გამო ავად გავხდი, ნერვები ძალიან დამისუსტდა და ერთხანს ჩამოვშორდი მუშაობას. შემდეგ კვლავ ვითამაშე რამდენჯერმე „უდანაშაულო დამნაშავენი", ერთხელ ეპიზოდური როლი „არსენაში" და ამით დასრულდა ჩემი მუშაობა. გამოვეთხოვე ჩემს საყვარელ საქმეს, რომელსაც 53 წელი ვემსახურე.

რუსთაველის თეატრმა აღნიშნა ჩემი შემოქმედებითი მუშაობა და საღამო მომიწყო. ხალხით გაჭედილმა დარბაზმა ძალიან გულთბილად მიმიღო და გამაცილა. აგრეთვე ბათუმმაც აღნიშნა ჩემი ხანგრძლივი მუშაობა

ნ. ჩხეიძე კრუჩინინას როლში
(„უდანაშაულო დამნაშავენი").

მხოლოდ ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრმა, სადაც პირველად შევდგი სცენაზე ფეხი, სადაც გავატარე ჩემი სიყმაწვილის საუკეთესო ხანა, სადაც მესხიშვილთან ერთად ვეწეოდი წარსულის მძიმე პირობებში მუშაობას, არაფრით არ აღნიშნა ეს თარიღი. გული მატკინა ამ ამბავმა, მაგრამ რა გაეწყობა: სიტკბოებაც ბევრი განმიცდია ჩემს კოხტა ქუთაისის თეატრში.

თავი მეცამეტე

კოტე მესხი

კოტე მესხის მოღვაწეობა ერთ-ერთი ეპოქაა ქართული თეატრის ცხოვრებაში: გამოჩენილი არტისტი, ნიჭიერი რეჟისორი, დიდი საზოგადო მოღვაწე.

კოტე მესხი იმ ცნობილი ოჯახიდან გამოვიდა, რომელმაც საქართველოს მისცა სერგი მესხი—პუბლიცისტი და გაზეთ „დროების" რედაქტორი, დათიკო მესხი—მსახიობი და მწერალი, ეფემია მესხი—ცნობილი არტისტი, დრამატული როლების ამსრულებელი, ანა მესხი-პეტრიაშვილისა.

კოტე მესხს ვიცნობდი ჩემი ბავშვობიდან; მახსოვს ძია კოტე მხიარული, მხნე, ალერსიანი, ბავშვების დიდი მოყვარული (თვითონ კი შვილები არ ჰყავდა). ქუთაისის თეატრს საძირკველი პირველად კოტემ ჩაუყარა.

დაახლოებით 1888 წელს მეფე ალექსანდრე მესამე ეწვია საქართველოს, სხვათა შორის, ქუთაისშიც ჩავიდა. ამ დღისათვის ქუთაისის თავადაზნაურობამ და ქალაქის თვითმმართველობამ თავი მოიყარეს ქალაქის ბაღში, ე. წ. „ბულვარში." აქ სასწრაფოდ აშენებული იყო კოხტა სახლი-პავილიონი, სადაც მეფეს და მის ამალას გაუმასპინძლდნენ ჩაით და სხვადასხვა გასართობით. მეფემ მხოლოდ ორიოდე საათს დაჰყო ამ შე-

ნობაში, შემდეგ კი შენობა დარჩა სრულიად გამოუსადეგარი რომელიმე დაწესებულებისათვის. მაშინ კოტე მესხმა ეს „პავილიონი“ იჯარით აიღო და გამოიყენა სათეატრო შენობად, რადგანაც ქუთაისის ქალაქის თეატრი დამწვარი იყო. დასი შეადგინა და დაიწყო თეატრალური სეზონი. ამ ახალ დასში მუშაობდა კოტეს თითქმის მთელი ოჯახი, კოტეს მეუღლე ნატალია, და ეფემია, ძმა დავითი, აგრეთვე რამდენიმე ნათესავი, ჩემი უფროსი და მაშო, დედა ევგენია და თითო-ოროლა სცენისმოყვარე. ამ დასის ოჯახურ-ნათესაური ხასიათი იმით აიხსნებოდა, რომ იმ დროს პროფესიულ მსახიობად თავის შეწირვა იშვიათი ამბავი იყო; მსახიობის მატერიალური ხელმოკლეობა ბევრისათვის საშიში იყო. მიუხედავად ამისა, კოტე მაინც გაბედულად შეუდგა საქმეს და თეატრალურ სეზონს ღირსეულად გაუძღვა.

როდესაც 1894 წელს პირველად გამოვედი სცენაზე, მაშინ გავიცანი კოტე როგორც რეჟისორი, მაშინ დავინახე, თუ რა სერიოზული, ენერგიული და ზოგჯერ მრისხანე მასწავლებელ-რეჟისორი იყო. როდესაც დასადგმელ პიესას და როლების ახსნა-განმარტებას შეუდგებოდა, თვალები უბრწყინდებოდა და მისი დამაჯერებელი კილო მსახიობს რწმენას და გაბედულებას უნერგავდა. რეპეტიციების დროს ყოველთვის ფეხზე იდგა. მსახიობს თვალებში შესცქეროდა. მიმოხრას, აზრის სწორად გამოთქმას ასწავლიდა, მსახიობისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვდა და ვაი იმისი ბრალი, ვისაც მისი ნასწავლი და გასწორებული დაავიწყდებოდა. ჩემს საუბედუროდ ერთხელ რეპეტიციის დროს ერთ ადგილას მისი ნასწავლი შემეშალა და კოტემ დამიყვირა: „დაგავიწყდა, ბოშო“. ძალიან შევწუხდი, ცრემლი მომადგა, მაგრამ თავი შევიკავე. რეპეტიცია, როგორც

იყო დავასრულე, მერე მყუდრო კუთხე მოვნახე და ცრემლს თავისუფლება მივეცი. დამინახა კოტემ, მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და დამამშვიდა. მაშინ 13 წლის ბავშვი ვიყავი, მეწყინა, მაგრამ შემდეგ, როდესაც გამოცდილება მივიღე და ამ ამბავს ვიგონებდი, ვხედავდი, რომ მისი სიმკაცრე სამართლიანი იყო. მუშაობის დროს ყურადღებისათვის იშვიათად მიღალატნია.

რეჟისორული უნარი კოტემ პარიზში განავითარა, სადაც რამდენიმე წელიწადი დაჰყო და კარგად გაეცნო საფრანგეთის თეატრებს და გამოჩენილ არტისტების შემოქმედებას. განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებდა ძმებს კოკლენებს, უფრო კი უმცროსს. როდესაც 1905 წელს პარიზში ვიყავი, ჯნახე კოკლენ უმცროსი სირანო—დე ბერჟერაკის როლში და მაშინ დავრწმუნდი, რა დიდი გავლენა ჰქონდა ამ დიდ არტისტს კოტე მესხის საერთო შემოქმედებაზე. მაგალითად, კოტემ შემოიტანა ქართულ თეატრში საფრანგეთის თეატრალური ხელოვნების სტილი და თამაშის მანერა. საფრანგეთის თეატრების რეპერტუარი, ფრანგული მელოდრამა „ორი ობოლი“, „პარიზის ღარიბ ლატაკნი“ და სხვა კლასიკური კომედიები მოლიერისა, ჰიუგოს რომანტიკული დრამა „რუი—ბლაზ“, „ერნანი“. და სხვა. ეს რეპერტუარი, ქართველი საზოგადოებისათვის, პირველი შეხედვით, თითქოს უცხო იყო, მაგრამ კოტე ძალიან ჭკვიანი მოღვაწე და დიდი გემოვნების პატრონი იყო. მან ალღო აუღო ქართველი ადამიანის სულისკვეთებას, მან კარგად იცოდა როგორი რეპერტუარი სჭირდებოდა მაშინდელ საზოგადოებას; მის მიერ შერჩეული პიესები, ამ პიესების ოსტატურად აშენებული ხლართები, რომანტიკული პათოსი და დიდი ტემპერამენტით მოცემული სცენური სახეები—ყოველივე ეს

მაყურებელმა ადვილად და სიხარულით მიიღო და სათეატრო დარბაზს მადლობის ნიშნად არა ერთხელ დაუჯილდოებია კოტე მხურვალე ტაშისცემით.

იმ რეპერტუარის ზოგიერთი პიესა მაგალითად, „რუიბლაზი“, „ორი ობოლი“ ანუ „დები ჟერარ“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ და სხვა დღესაც მეტყველებს ქართულ თეატრში. ეს არის კოტე მესხის ჩვენთვის ძვირფასი მემკვიდრეობა.

როგორც კარგი ადამიანი და შესანიშნავი უფროსი ამხანაგი, კოტე არაჩვეულებრივი იყო; ახალგაზრდა მსახიობისათვის მოსიყვარულე უფროსი ძმა და მამა; გულწრფელი რჩევა და საღი დარიგება მუშაობის დროს, მისი თანდაყოლილი თვისება იყო. ახალგაზრდის სასცენო წარმატება ახარებდა ისე, როგორც მამას ახარებს შვილის წინსვლა. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ამბავი, რომელიც შემხვდა ჩემი ახალგაზრდობის დროს. თბილისის თეატრში იდგმებოდა პიესა „დამარცხებული რომი“ ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობით. დამაკისრეს მოხუცებულის თითქმის 80 წლის ქურუმი ქალის, პოსტუმიას როლი. როლი ტრაგიკულია, ძალიან ძლიერი. მე. ჯერ ახალგაზრდა მსახიობს, შემეშინდა და ძალიან ვღელავდი, ვაითუ ვერ შევძლო, ვაითუ სცენური ღონე არ მეყოს—მეთქი. ღრმად მოხუცებული ადამიანის ტრაგიკული სახის შექმნა ჩემთვის პირველი იყო. აი, მოვიდა წყევლის სცენა... ვღელავ, რაღაც ბურუსში ვარ, თითქოს ნიადაგი მეცლება, და უცებ ვიგრძენ კოტეს შემოხედვა, დავინახე მისი მეტყველი თვალები. ისიც ამ პიესაში თამაშობს, ჩემს გვერდით დგას... შემომყურებს, თითქო ჰიპნოტიზიორია, თითქოს მეუბნება: „აბა, ნუცა, ყოჩაღად! ნუ გეშინია, ძალა შეგწევს, ასე,

კოტე მესხი

ასე, კარგია! მამხნევებს, მისი თვალები, იმედს მაძ-ლევს რწმენას მინერგავს...მეც ძალა მომეცა და ჩემთვის მოულოდნელი სიძლიერით შევასრულე როლი. ეს ძმური გულწრფელი დახმარება არაერთხელ განუცდია ახალ-გაზრდა მსახიობს, ეს მისი ნათელი ბუნების თვისება იყო.

ამავე დროს ულმობელი, მკაცრი იყო. როდესაც დაი-ნახავდა თეატრში ან რომელიმე ადამიანში რაიმე ცუდს, მავნე ამბავს, მაშინვე სიმართლეს მიახლიდა პირში, არ დაზოგავდა, არავისი არ ერიდებოდა, მაგრამ ეს პირში თქმა ისეთი ცხოველი, ისეთი თითქმის მხიარული იყო, რომ მოპასუხეს წინააღმდეგობის ნიადაგი და საშუალე-ბა ეცლებოდა. ეს მისი სიმართლე, ეს მისი პირში თქმა ბევრს არ მოსწონდა, განსაკუთრებით უფროს ამხანაგებს. არა ერთი მტერი ჰყავდა, მაგრამ გულს არასოდეს არ იტე-ხდა, თავისი ხაზი ყოველთვის წინანდებურად მიჰყავდა-ენამოსწრებული, სიტყვამახვილი იყო. როდესაც მო-სკოვში ჩვენი თანამემამულის არტისტის და დრამატურგის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილე იყო, ქარ-თულმა თეატრმა კოტე დელეგატად გაგზავნა. ეს პატა-რა კაცი, ჩასუქებული, ქულაჯით გამოწყობილი გამოვი-და იუბილეზე. თავისი გარეგნობით, თავისი ცხოველი გამომეტყველებით მაშინვე მიიქცია მოსკოვის რჩეული საზოგადოების ყურადღება. იმ დროს სუმბათაშვილ-იუ-ჟინს ქართველი საზოგადოება უსაყვედურებდა, რომ მან სამშობლოს უღალატა, რუსეთში მუშაობს და არა სა-ქართველოში. როცა კოტეს სიტყვის დრო მოვიდა, ის წინ წამოვიდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა იუბი-ლარს: „პატარა საქართველოს პატარა თეატრის პატარა არტისტი გესალმები, შენ დიდი რუსეთის დიდ არტისტს“, ამ სიტყვებს დარბაზმა მხურვალე ტაშით უპასუხა.

კოტემ განაგრძო თავისი სიტყვა, დაახასიათა რა იუბილარის მოღვაწეობა, დასძინა: „ძვირფასო ბეგობარო, მინდა მოგეხვიო, რადგანაც შენ შენი „ღალატით“ შენი ღალატი გამოიყენიდე“. ხანგრძლივი და მხურვალე ტაში იყო ამ სიტყვის პასუხად. მაშინ ახლად დაწერილი იყო პიესა „ღალატი“, რომელსაც იმ ხანებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისათვის. აქ მოყვანილი სიტყვები იყო მხოლოდ პატარა ნაწილი კოტეს მისალმებისა. შემდეგ ამ იუბილეს დამსწრენი გვიამბობდნენ, რომ კოტეს ხვდა არანაკლები წარმატება, ვიდრე თვით იუბილარს.

საერთოდ კოტე თავისი დიდი კულტურით დიდად განირჩეოდა ბევრი მაშინდელი მსახიობისაგან. მას ყოველთვის აინტერესებდა საზოგადოებრივი საკითხები, ძველი და ახალი ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის კარგად ცოდნა. ამ ცოდნას სხვებსაც გადასცემდა ბოლმე. მის მაგიდაზე ყოველთვის ნახავდით ახალ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს. დილის ათ საათზე შეხვდებოდით ახალი გაზეთით ხელში რუსთაველის პროსპექტზე რეპეტიციაზე მიმავალს.

ამ პატარა მოგონებაში მე მინდა ოდნავ მაინც გავაშუქო და დავახასიათო კოტეს ცხოვრების და მოღვაწეობის ის მხარეები, რომელნიც ნაკლებად არის ნახსენები მის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოგონებებში, სახელდობრ: კოტეს წასვლა, თავის მინებება სათეატრო მოღვაწეობისათვის და კოტეს პირადი, შინაური ცხოვრების ზოგიერთი მხარე. კოტეს მთელი ხანგრძლივი მოღვაწეობა როგორც სათეატრო, ისე საერთო, ყოველთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, რომ ყოველ დიდ, საზოგადოებრივ საქმეში, განსაკუთრებით კი რთულ, მრავალფეროვან თეატრალურ საქმეში, მის ზრდი-

სა და განვითარების დროს, ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობა იბადება ხოლმე. ამ დროს თეატრში ორი ბანაკია: ახალგაზრდობა, რომელსაც სიახლე, წინსვლა სწყურია, უკეთესი მომავლისაკენ გზას იკაფავს და ძველი თაობა, კონსერვატორები, რომელთაც ძველი წესების, ძველი მიმართულების და საზოგადოებრივად ძველი აზრების შემნახველნი არიან. ერთი მხრივ—რადიკალები თავისი სიახლით, მეორე მხრივ—კონსერვატორები—ამ სიახლის მოწინააღმდეგენი. რადიკალების მეთაური და ბელადი ყოველთვის კოტე იყო, კონსერვატორების კი ძველი თაობა, ხან მსახიობი ხან გამგეობის წევრი, ხან პრესის წარმომადგენელი[1]. ბრძოლის საბაბს უმეტეს შემთხვევაში თვითონ კოტე აძლევდა; მოწინააღმდეგე ბანაკი ბრძოლას გამოაცხადებდა, შეტევას აწარმოებდა, კოტე კი ჯერ იგერიებდა, შემდეგ კი კონტრიერიშით თვითონ გამოდიოდა ხან კრებაზე, ხან პრესაში, ხან კულისებში, კერძო საუბარში.

ბრძოლა უყვარდა, იბრძოდა სიხარულით, ხალისით, მედგრად, იარაღად ჰქონდა საღი გონება, ცოდნა, სიმართლის სიყვარული, პირდაპირობა, ულმობელი მახვილი ენა, დაუშრეტელი ენერგია და ტემპერამენტი. როცა შეამჩნევდა, რომ მის წინააღმდეგ გამოსვლა წვრილმანი, პირადი ინტრიგით იწყებოდა, მაშინვე უარყოფდა ბრძოლის ამ წესს და საერთოდ ზოგად საკითხზე გადაიტანდა. (ერთხელ გავიგონე, როცა კლუბში ვახშმის დროს ერთ უფროს ამხანაგს უთხრა:—„ჩემი ღიტინის მეტი არაფერი არ შეგიძლია? მწვადს შეექეცი არ ეაცივო, ხვალ კი კრებაზე გამოდი შენი მსუბუქი

[1] ვინმეს დასახელება საჭირო არ არის, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ჩალის ისარი მტყორცნე, თუმცა ჩემამდე მიზანს ვერ მიაღწევ, მსუბუქია და თავს შეირცხვენ".)

კოტეს ეზიზღებოდა უხამსი ხუმრობა და წვრილმანი ინტრიგები. ასეთი ინტრიგების არასოდეს არ ეშინოდა, ადვილად მოიშორებდა ხოლმე, გაუმკლავდებოდა და დასძლევდა. საერთოდ კი ამნაირი ინტრიგები მის წინააღმდეგ ძალიან ცოტა მახსოვს, რადგანაც მოწინააღმდეგემ ყოველთვის იცოდა, ამ ხერხით ვერაფერს დააკლებდა.

როცა კოტემ, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, ახალი ფრანგული რეპერტუარი შემოიტანა, დიდი ძალა და ენერგია დასჭირდა ამ რეპერტუარის დამკვიდრებისათვის. ახალი შინაარსი, თამაშის ახალი სისტემა და სტილი ბევრს, უფრო ძველ მსახიობებს და გამგეობის წევრებს აშინებდა; ქართველ საზოგადოებას ასეთი პიესები არ გამოადგება, წმინდა ქართული რეპერტუარია საჭიროო.

ყოველთვის სუფთად და კოხტად ჩაცმული, ახალგაპარსული, კოხტა ყელსახვევით, მომღიმარე, ენერგიული და მხნე, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. როდესაც თეატრში შემოდიოდა, თითქოს კედლებიც იცინოდნენ. დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა, შინაც ისეთივე მხნე და მხიარული იყო, როგორც გარეთ. მიუხედავად მუდმივი მატერიალური გაჭირვებისა, სტუმრის ძალიან მოყვარული იყო. იშვიათი იყო, რომ სადილად სტუმარი არ ჰყოლოდა. დილითვე იტყოდა: აბა, ნატო, დღეს სტუმარი მეყოლება, შენ იცი!

ამ ადამიანის გავლენა ჩემზე, როგორც მასწავლებლის, დიდი იყო. მან და კიდევ ლადო მესხიშვილმა ბევრი რამ შემძინეს, როგორც მსახიობს. ახლა, როდესაც ხანდახან სულიერად ვიღლები, მოვიგონებ ხოლმე კოტეს, მოვიგონებ მის ენერგიულ მომღიმარ სახეს და გული სიამით ივსება.

გულით მინდა კოტეს ხსოვნა სამარადისოდ დარჩეს.

თავი მეთოთხმეტე

ლადო მესხიშვილი

ჩემი თეატრალური ცხოვრების გზაზე ორი დიდი ადამიანი იდგა. და თუ რამე გავაკეთე ქართულ თეატრში, უსათუოდ ამ ორი ბუმბერაზის დახმარებით. ესენი იყვნენ კოტე მესხი და ლადო მესხიშვილი. მე არას ვიტყვი ლადო მესხიშვილზე როგორც მსახიობზე. ამის შესახებ პევრი ითქვა და დაიწერა. მე მინდა მოვიგონო ლადო, როგორც მასწავლებელი და მეგობარი თავისი მოწაფეების, მოვიგონო იგი, როგორც ფაქიზი, კეთილი, მოსიყვარულე ადამიანი და ხელმძღვანელი. ჩემი მოგონების მეორე თავში მე უკვე აღვნიშნე როგორ შევხვდი ლადოს პირველად, შევეხე ჩემს პირველ გამოსვლას სცენაზე ლადოსთან ქუთაისში ემას როლში. მინდა დავსძინო, რომ პირველსავე რეპეტიციაზე მე გაფითრებული ვიდექი კულისებში და შიშისაგან სულ მთლად ვკანკალებდი. ადვილი ხომ არ იყო 13 წლის გოგონასთვის სცენაზე გამოსვლა და ისიც ასეთ დიდ ბუმბერაზებთან? ლადომ დამინახა, მოვიდა ჩემთან, თავზე ხელი გადამისვა, წინ წამიმიყვანა ავანსცენისაკენ: „ნუ გეშინია შვილო,— მითხრა მან,—ნუ აღელდები, ახლავე აგიხსნი, რა უნდა გააკეთო"-და ალერსიანად მიამბო ჩემი პატარა როლის შინაარსი. მაშინვე სიმშვიდე ვიგრძენი. ვიგრძენი, რომ თუ ეს კეთილი ადამიანი ჩემთან იქნება, მე არაფერი

ლადო მესხიშვილი

მიჭირს. წარმოდგენის დროს ისევ დამამშვიდა, აბა ყოჩაღად გოგონი, ნუ გეშინიაო, და მეც გაბედულად შევდგი ფეხი სცენაზე.

იმ ადგილას, სადაც მამა-შვილის შეხვედრაა, საკმარისი იყო დამენახა ლადოს მშვენიერი აცრემლებული თვალები, გამეგონა მისი ნაღვლიანი, ტანჯვით სავსე ხმა, რომ მეც კი მეგრძნო ის დრამა, რომელსაც მამა—კორადო განიცდის. მე ძალაუნებურად ვეზიარე მის განცდას და მასთან ერთად განვიცადე მისი ტანჯვაც, მისი მწუხარებაც... ასეთი იყო მისი აქტიორული ძალა.

ახლაც ვხედავ, რომ ეს ჩემთვის პირველი და დიდად შინაარსიანი გაკვეთილი იყო. დავინახე, როგორ განიცდიან სცენაზე.

იმავე წელს ქუთაისის თეატრი დაიწვა; კოტე მესხი თბილისს გადავიდა და შემდგომ სეზონში მეც თბილისში მიმიწვიეს, რა თქმა, უნდა ლადოს და კოტეს სურვილით. ჩემი მეორე გამოსვლისათვის დადგეს სუმბათაშვილის დრამა „ბორკილები". მე მოშცეს ახალგაზრდა ქალის, ანიკოს როლი. პიესას ამზადებდა ლადო. თითოეული სიტყვა, თითოეული ნაბიჯი შემასწავლა. ჯერ პიესა მთლიანად წამიკითხა და მისი საერთო შინაარსი განმიმარტა, შემდეგ მოქმედი პირების სახეები გამიშუქა, ვინ კეთილია, ვინ ბოროტი, ვინ რას ჩადის და რატომ. ამიხსნა, ვინ ვარ მე პიესის მიხედვით და რა მონაწილეობას ვიღებ პიესის საერთო მსვლელობაში.

ჩემთვის, სრულებით მოუმზადებელი და გამოუცდელი მსახიობისათვის, ძალიან ძნელი იყო დამოუკიდებლად გაგება ყველა ამ საკითხისა. ლადომ ისეთი უბრალო და მარტივი ენით ამიხსნა ყველაფერი, ისე მკაფიოდ გამიშუქა პიესისა და ჩემი როლის დედააზრი, რომ ჩემი როლის სახე ნათლად წარმომიდგა თვალწინ. პიესაც და

როლიც შინ გამატანა: „ყურადღებით გადაიკითხე პიესა და როლიც გადაიწერე. თუ რამე საკითხი დაგებადა, მითხარი, აგიხსნი, შვილო".

სცენაზე რეპეტიციებს რომ შევუდექი, როლის სიტყვები მოძრაობას მიშლიდნენ, ხოლო მოძრაობა სიტყვებს მიბორკავდა და აზრებს მავიწყებდა. ხელი და ფეხი სად წამეღო, არ ვიცოდი და უნდა გენახათ, რა სიფრთხილით, რა ყურადღებით და ამავე დროს ალერსით მასწავლიდა ლადო: „აბა, გავიმეოროთ შენი პირველი გამოსვლა. ნუ ჩქარობ და ნუ ღელავ! აბა, დავიწყოთ. შენ ახალგაზრდა, ცქრიალა გოგონა ხარ, შინ მოდიხარ სასწავლებლიდან მხიარული, გინდა გაახარო შინაურები შენი წარმატებით, იღიმები, სიხარული მოგაქვს. აბა, აბა, კარგია! ახლა კიდევ გავიმეოროთ! კარგია! კარგია! ნუ დაივიწყებ, რომ შენ მხიარული ანიკო ხარ".

თანდათან ვატყობ თავს, რომ ფეხი აღარ მიშლის, ხელსაც მართებულად ვამოძრავებ, ჩემი სიტყვები მკაფიოდ ისმის... სიმხნეევ მემატება. შევყურებ ლადოს თვალებში, ვგრძნობ გაბედულობას, ვფიქრობ, ასეთი მასწავლებლის ხელში, რას არ შევძლებ! სამწუხაროდ, იშვიათად ჰქონდა ლადოს საშუალება ასე ემუშავნა მსახიობთან.

აი, წარმოდგენის საღამოს ლადო მოვიდა, გამამხნევა, დამლოცა და თვითონ წავიდა დარბაზში თავის მოწაფის საყურებლად. არ დამავიწყდება მისი აღფრთოვანებული სახე წარმოდგენის შემდეგ, როდესაც მისი მოწაფე ხალხმა ტაშით დააჯილდოვა. „შენ გენაცვალე, შვილო შენა!" იმ დღიდან მივენდე მას და არ წამიგია.

შემდეგ სეზონში ქუთაისში ახალგაზრდათაგან ამხანაგობა შედგა და ლადო მოიწვიეს ხელმძღვანელად, რეჟისორად და მსახიობად. მეც ლადოს მაჩანჩალა ვარ-

ლადომ ქუთაისში ერთ მიკრულებულ ქუჩაში ორი პატარა ოთახი დაიქირა და იქ დაბინავდა თავის ოჯახობით. საწოლი ტახტები არ ჰქოფნიდათ და ლადოს ტაბურეტებზე უხდებოდა ძილი. ასეთი იყო ძველი მსახიობის ხვედრი, თუნდაც ისეთი ბუმბერაზისაც, როგორიც იყო ლადო მესხიშვილი.

ლადოს ზამთრის პალტო არ აქვს. თაყვანისმცემლებმა იყიდეს ნაბადი და ნაბდის პალტო შეუკერეს. საერთოდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არა ერთხელ შემიმჩნევია, რომ თვითონ გაჭირვებაში ჩავარდნილ მსახიობს ხელს უმართავდა და ამას შეუმჩნეველად, სიფრთხილით სჩადიოდა, რომ ადამიანის თავმოყვარეობა არ შეელახა. ხშირად მსახიობს რეპეტიციის შემდეგ შინ წაიყვანდა, ვიოლის როლის ახსნა-განმარტებისათვის. ნამდვილად კი სადილად დაიტოვებდა და შემდეგ ეტყოდა: „აბა ახლა, შვილო, კარგად შეითვისე როლის ეს ადგილი, არ შემარცხვინო“ და მადლიერი სტუმარი ფრთაშესხმული მიდიოდა.

ერთი ახირებული ზნე მჭირდა: ხელფასის მიღება შრცხვენოდა, არავინ იფიქროს, რომ ხელოვნებას ფულისათვის ვემსახურები-მეთქი, თუმცა ცხოვრების ერთადერთი სახსარი. ჩემი ხელფასი იყო. არ ვიცი როგორ, ლადოს შეემჩნია ეს ჩემი სულიერი განწყობილება და ამის შემდეგ ხელფასს ყოველთვის შინ მიგზავნიდა. ჰეშმარიტად, დიდი ალღოს პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ სხვის სულს ასე ფაქიზად მოექცეს.

ქუთაისში დაიდგა პიესა „ებრაელი ქალი“, სადაც საჭირო იყო ხალხი მასობრივი სცენებისათვის. თეატრს მუდმივი თანამშრომლები არ ჰყავდა. მოჰყავდათ გარეშე ხალხი დასახმარებლად. ერთ სამოქალაქო სკოლის მასწავლებელს ლადომ მიმართა თხოვნით: სამი-ოთხი კარ-

გი შესახედავი მოწაფე მომიყვანე, პიესაში მჭირდება. ნუ გეშინია, ისეთ გრიმს გავუკეთებ, შენც კი ვერ იცნობ. მასწავლებელმა უარი ვერ უთხრა და მოუყვანა ოთხი მოწაფე, მათ შორის ანდრო მურუსიძე იყო (ახლა ის დამსახურებული მსახიობია). რაკი ახალგაზრდა ანდრომ ფეხი შედგა თეატრში, ვეღარ ჩამოშორდა, სასცენო უნარიც გამოიჩინა. შინ კი მამამისი თმას იგლეჯდა: „დამიღუპეს შვილი, სტოლონაჩალნიკად მინდოდა, ის კი გაგიჟდა, არტისტობა დაიწყოო". მურუსიძე ისე გაიტაცა თეატრმა, რომ მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა თეატრში და სასყიდელზეც არა ფიქრობდა, არც მოელოდა.

რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ ლადო ეკითხება: „ხელფასი მიიღე, შვილო?" „არა, ბატონო". „მაგ მიდი და მიიღე" და ჩააბარა 60 მანეთი. ანდროს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მცირე ხნის შემდეგ მურუსიძე გამოიხმო ერთმა, უკვე ხნიერმა მსახიობმა, გამოართვა ფული, წაიყვანა მაღაზიაში და 30 მანეთად თავითფეხებამდე შემოსა. რა თქმა უნდა, გახამებული საყელო და ჰალსტუხი არ დაივიწყა და ბლუზას შეჩვეული ანდრო მაღაზიიდან კისერგაშეშებული გამოვიდა. დანარჩენი 30 მანეთი მან ისევ ჩააბარა — „აი, ბიჭო წაუღე მამაშენს, იქნება სტოლონაჩალნიკობა დაავიწყოო",—ეს ლადომ დაავალა მსახიობს: „მიხედე ახალგაზრდას, უხეიროდ არ შემოეხარჯოს ფულიო".

იმავე საღამოს რეპეტიცია ლადოს ბინაზე იყო დანიშნული. მურუსიძე ახალ კოსტიუმში გამოწყობილი ფრთხილად რეკავს ზარს. კარი ლადომ გაუღო და ვერ იცნო— „ვინ გნებავთ, ყმაწვილო?". „ეს მე ვარ, ბატონო, მურუსიძე". და აი, მოგვესმა ლადოს ხარხარი—„ზინა, (მისი მეუღლე), ზინა შეხედე, შეხედე მურუსიძეს!" და გაწითლებულმ ახალგაზრდა ოთახში შემოიყვანა. „აი,

შვილო, შენ უკვე მოინათლე, უკვე ჩვენი ხარ და შენ იცი, ბიჭო, თუ არ შემარცხვენ, თუ გამახარებ.“ თან გადაეხვია და სამჯერ აკოცა. დღესაც კი, მოხუცებული მსახიობი ანდრო მურუსიძე, თვალცრემლიანი იგონებს ამ ამბავს.

დიახ, კეთილი იყო ლადო. ეუყვარდით მოწაფეები, ჩვენი ჭირი ჭირად უჩნდა, სიხარული ახარებდა. განსაკუთრებით ახარებდა ჩვენი წინსვლა, წარმატება. აღელვებით თვალსა და ყურს ადევნებდა ჩვენს სცენურ ნაბიჯებს, მისი სწავლების ნაყოფს. მაგრამ, ვიმეორებ, იშვიათად ჰქონდა ლადოს საშუალება დაწვრილებით ესწავლებინა ჩვენთვის სასცენო ხელოვნების კანონები; თითქმის ყველა პიესაში თვითონ თამაშობდა მთავარ როლს და, ამას გარდა, ათასი წვრილმანით იყო დატვირთული. ამ შემთხვევაში ჩვენ ცოდნას ვიძენდით მისი თამაშის ყურებით, ყოველი მისი როლის შესრულება ჩვენთვის გაკვეთილი იყო.

ერთ-ერთ სეზონში ლადომ დადგა შილერის „ყაჩაღები“. თვითონ ფრანცს თამაშობდა, მე ამალიას. იმ სცენაში, სადაც ფრანცი ცდილობს ამალიას ხელში ჩაგდებას, მე სილა უნდა გავარტყა. ფარდის ახდის წინ ლადო მეუბნება: „ნუცა, სილა რაც შეგიძლია ძლიერად გამარტყი, ნუ დამზოგავ,“ „როგორ შემიძლია, ბატონო“. „არა, არა, რაც შეგიძლია ძლიერად; მე მოვითხოვ ამას, ეს საჭიროა ჩემთვის!“ როდესაც თამაშის დროს დაეინახე მისი არეული თვალები, გავიგონე მისი მიხლეჩილი ხმა, როდესაც ვიგრძენი ფრანცის მოხვევნა, შემეშინდა, თავდაცვის ინსტიქტი დამებადა და რაც ძალი და ღონე მქონდა გავარტყი სილა. სილა ისეთი ძლიერი იყო, რომ პარტერში ხალხი შეინძრა. უნდა გენახათ მაშინ ლადო; ის იქცა გაბრაზებულ მხეცად, რომელიც არავის არ ფაინდობს, რომელსაც ვერსად ვერ გაექცევი. საიდან

ვამიჩნდა გამბედაობა, ღონე! თამამად წავართვი ხმალი, ეხნედ მოვიგერიე მისი შემოტევა, არც კი შემიმჩნევია, რომ დავიჭერი, ხელი მთლიანად სისხლში მაქვს მოსვრილი. ჩემი ამალია გაიზარდა, მხეცმა—ფრანცმა ვაჟკაცად მაქცია...ასე მასწავლიდა ლადო სცენურ ხელოვნებას, სცენურ რეალობას.

როდესაც ფარდა დაეშვა, დიდხანს ვერ მოვედი გონს. ლადომ მაშინვე შემიხვია ხელი და მითხრა: „ყოჩაღ, გოგო, კარგად ჩაატარე ეს სცენა, მადლობელი ვარ.“ „მადლობელი მე ვარ, ბატონო, თქვენ შემაძლებინეთ ნამდვილი განცდა.“

დავინახე, რომ დიდად ნიჭიერი პარტნიორი სცენაზე დიდად ნიჭიერი მასწავლებელიც არის.

დიახ! ლადო ჩვენი მასწავლებელიც იყო და მამაც. დედა რომ გარდამეცვალა, სრულიად უპატრონოდ დავრჩი, ჩემი პატრონი მხოლოდ ლადო იყო; ზნეობრივად მან გამამხნევა, მატერიალურად ის მომეშველა. ერთმა მოხუცმა ნათესავმა ქალმა მითხრა: „ნუ დასტირი შვილო დედას, ხომ ხედავ როგორი მამა გადგას თავზე.“

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მომივიდა ამდენი წლის განმავლობაში უსიამოვნება ლადოსთან. მე არას ვიტყვი, ვინ იყო დამნაშავე ჩვენს შორის. ვფიქრობ მე უნდა მომეთმინა, როგორც უმცროსს, როგორც მოწაფეს, რაც უნდა ეწყენინებინა, მაგრამ მეტად განებივრებული ვიყავი ძვირფასი მასწავლებლისაგან. არასოდეს არც ერთი ხუმამღალი სიტყვა არ მახსოვს მისგან. ჰო-და გავიბუტე. ეს იყო მისი ბენეფისის წინა საღამოს რეპეტიციაზე. ლადო თბილისიდან ჩამოვიდა გასტროლის შემდეგ. თავის საბენეფისოდ დგამდა ჰიუგოს პიესას „განკიცხულს“. ცოტა წალაპარაკების შემდეგ მე პარტერში წავედი, რა-

დგან პირველ მოქმედებაში არ ვიყავი. მეორე მოქმედება იწყება მამა-შვილის სცენით. პირველი სიტყვა ქალიშვილისა არის „სად იყავი, მამა?“ პასუხად მესმის ლადოს ხმა: „ჯანდაბაში, ოღონდ ეს არ მომსვლოდა“ ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, როლში არ იყო. რამდენად უნდა წყენოდა ლადოს ჩემთან უსიამოვნება, აქედან ჩანს. მე შევწუხდი, მაგრამ ხმა არ ამოვიღე. ეს იყო უკანასკნელი წარმოდგენა სეზონში. მეორე-მესამე დღეს ახალგაზრდები მოვიდნენ ჩემთან თხოვნით სამოგზაუროდ წავსულიყავი. ბუტიაობას განვაგრძობდი და უარი ვუთხარი. შენ ლადოსთან უსიამოვნება მოგვივიდა, ჩვენ რა შუაში ვართ? ხომ იცი უშენოთ ვერსად ვერ წავალთ (ქალები ცოტანი ვიყავით). ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დამითანხმეს. კარგი წამოვალ, მაგრამ ლადოსთან ერთად არ ვიმგზავრებ, შემდეგი მატარებლით წამოვალ-მეთქი.

წავედი დანიშნულ დღეს ბათუმში. სასტუმროს კარი რომ გავაღე, ზევით კიბეზე ლადო დავინახე. „ოჰ, ქალბატონო ნინო, ჩამოხვედით?“ ჩამეცინა გულში, მაგრამ არაფერი ვთქვი, ნუციკოს მაგივრად რომ ქალბატონო ნინო მიწოდა. კიბეზე რომ ავედი, ხელი ჩამომართვა: ნინო, შენთვის ოთახი მომზადებულია, არ ვიცი, მოგეწონება თუ არა. შევედით ოთახში—„პატარაა, ორნი ვერ მოვთავსდებით აქ“,—ვეუბნები. „მაშ, ნუცა, ზემო სართულზეა კარგი ოთახი, იქ ავიდეთ“. ავედით, მომეწონა ოთახი. „მოგეწონა, ნუცა? მაშ დაიბანე, დასუფთავდი და ვისაუზმოთ“. მიხარია, რომ ასე მალე მოულბა გული ქალბატონი ნინო უკვე ნუცა გავხდი. ხუთი წუთის შემდეგ ისევ შემოდის: „აბა, ნუცკი, წავიდეთ შვილო, ვისაუზმოთ.“ გადამხვია ხელი და წამიყვანა. ასე დასრულდა ჩვენი პირველი და უკანასკნელი უსიამოვნება.

დიდი იყო ლადოს მზრუნველობა მოგზაურობის დროს ჩვენი ახალგაზრდა მსახიობებისადმი. მატარებელში საუკეთესო ადგილი ჩვენი იყო, სასტუმროში საუკეთესო ნომერი, ერთად საუზმობა, ერთად სადილი თუ ვახშამი. არც თვითონ გაგვიშვებდა და არც ჩვენ მოგვდიოდა აზრად მარტო რესტორანში წასვლა. იმ დროს არც თუ კარგი თვალით უყურებდნენ ზოგიერთნი მსახიობ ქალებს, მაგრამ ლადო ქორივით გვადგა თავზე და ვაი იმის ბრალი, თუ ვინმე გაბედავდა ულირსი რამ ეკადრებინა. საერთოდ ლადო მოგზაურობის დროს ერთ ოჯახს ქმნიდა; ყველანი ერთ სასტუმროში ვთავსდებოდით. დილით, ჩვენთან, ქალებთან შემოჰქონდათ საუზმე, სამოვარი „აბა, შვილებო, გაგვიმასპინძლდით",—გვეტყოდა ლადო და ჩვენც ვდიასახლისობდით. ყველა დასის წევრი ჩვენთან მოდიოდა სასაუზმოდ. იგივე იყო საღამოს წარმოდგენის შემდეგ. ჩვენ ისიც კი არ გვავიწყდებოდა პირსაბანში თბილი წყალი ჩაგვესხა, რომ ამხანაგებს წარმოდგენის შემდეგ გრიმის ჩამობანა შესძლებოდათ. ვსადილობდით რესტორანში ყველა ერთ სუფრაზე, თეატრში მივდიოდით ერთად რეპეტიციაზე თუ წარმოდგენაზე. ერთი სიტყვით, ეს იყო ერთი ოჯახი. რა თქმა უნდა, ეს არ ხდებოდა ძალით, იძულებით, ეს ხდებოდა თავისთავად, სხვაგვარად ჩვენ არც კი შეგვეძლო წარმოგვედგინა ცხოვრება.

ბათუმში ვართ. საგასტროლო წარმოდგენის შემდეგ აუარებელი ხალხი ელოდება ლადოს. როგორც კი გავედით თეატრიდან, აიტაცეს ხელში და ერთბაშად ამ ზღვა ხალხში მარტო დავრჩი. მესმის ლადოს ხმა: „შვილო, ნუცკი, მარტო დარჩი?" „ნუ სწუხართ, ბატონო, აქა ვართ". შემომეშველნენ თეატრთან ახლომდგომნი და მიმაცილეს ეტლამდე.

წინათ რეჟისორებს ძალიან ცუდი პირობები ჰქონდათ პიესების მომზადებისათვის. მათ შორის ლადო მესხიშვილსაც. ჩვენ ხომ ყოველ კვირაში ახალი პიესა უნდა მოგვემზადებინა. ეს დიდი უბედურება იყო ჩვენთვის. რეჟისორი ასწრებდა მხოლოდ მიზანსცენების დალაგებას, ამა თუ იმ რთული სცენის განმარტებას; დანარჩენი თვითონ მსახიობს უნდა გაეკეთებინა. ამიტომ იყო, რომ ჩვენ არავითარი საშუალება არა გვქონდა დეტალურად დაგვემუშავებინა პიესა.

დიდ მსახიობებს კულტურა, მომზადება, ტემპერამენტი შველოდათ და ახალგაზრდებს დიდი მსახიობების ყურება და ალღო, მაგრამ როდესაც ლადოს საშუალება ჰქონდა ემუშავნა ახალგაზრდა მსახიობებთან, ეს იყო უდიდესი ბედნიერება. ისე აუხსნიდა, რომ მართლა თუ სულ უნიჭო არ იყო, არ შეიძლება არ გაეგო მისი ახსნა-განმარტება. ლადოს სახეზე ეწერა, რას მოითხოვდა მსახიობისაგან. ამ მხრივ ლადოს, როგორც რეჟისორს, მე კოტე მარჯანიშვილს ვადარებ.

როდესაც მიყურებია მარჯანიშვილის რეპეტიციისათვის, არაერთხელ მითქვამს, თუ სულ უნიჭო არ არის მსახიობი, უეჭველად კარგად უნდა ითამაშოს. მარჯანიშვილის სახეზე წაიკითხავ, რა არის საჭირო. მხოლოდ განსხვავება ლადოსა და მარჯანიშვილს შორის ის იყო, რომ მარჯანიშვილს მეტი საშუალება და დრო ჰქონდა ემუშავნა მსახიობთან.

თუ ლადოს ცოტა დრო ჰქონდა, როგორც რეჟისორს, როგორც მსახიობი იგივე მასწავლებელი იყო ჩვენი. მას შევცქეროდით, მისგან ვსწავლობდით სცენაზე ყველაფერს: მიმოხრას, განცდის გადმოცემას, ტანის მოძრაობას და მიმიკასაც კი. ლადოს ბევრჯერ დავუჭერივარ თუ რა თვალდაჭყეტილი შევცქეროდი მას რეპეტიციის დროს.

„შეხედეთ ნუცას, როგორ მიყურებს“,—ჩუმად ეტყოდა ამხანაგებს.

მე როგორ შემეძლო ლადოს არაჩვეულებრივი ბუნებრივი მიმიკის გადაღება. ქართულ თეატრში მხოლოდ ორი მსახიობი მახსოვს, რომელთა სახეზე ყოველი ნაკვთი თრთოდა; მათი სახე გადაშლილი წიგნი იყო, სადაც ყველაფერს ამოიკითხავდით; ეს იყო მაკო საფაროვი-აბაშიძე და ლადო მესხიშვილი. მახსოვს პიესა „გულისთქმა“; მთავარი გმირი, რომლის როლს ლადო თამაშობდა, კულისებში კლავს პიესის გმირ ქალს. ამ მკვლელობის შემდეგ გამოდის სცენაზე, ტანსაცმელს ისწორებს, გრაფინიდან წყალს ასხამს ჭიქაში, სვამს, ცილინდრს იხურავს. ეს სულ უსიტყვოდ, პაუზებზე გრძელდებოდა სამი წუთი, მხოლოდ აკანკალებული ხელებით წყლის დასხმის დროს ისმოდა ჭიქის ოდნავი წკარუნი მეტი არაფერი. მაგრამ მთელი სამი წუთის განმავლობაში სულგანაბული, პირდაპირ დატყვევებული მისჩერებოდა ლადოს მთელი დარბაზი. ფარდის დაშვების შემდეგაც ხალხი გაოგნებული იყო და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმოდა ერთსულოვანი ტაშის გრიალი.

ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის ზეგავლენა მოზარდი თაობისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ როგორც კი გაიგებდნენ კლასიკური პიესა იდგმებაო, შექსპირი, შილერი თუ სხვა, მაშინვე დაიწყებდნენ პიესის ძებნას ბიბლიოთეკაში თუ ოჯახებში და არა თუ წაიკითხავდნენ, ზეპირადაც სწავლობდნენ. ეძებდნენ, კრიტიკა თუ რამე იყო ამა თუ იმ ნაწარმოებზე, ცდილობდნენ გაეგოთ, რომელ დიდ მსახიობს უთამაშნია ესა თუ ის როლი, როგორი ინტერპრეტაციით და ასე მომზადებულნი მიდიოდნენ თეატრში, რომ ენახათ თავისი საყვარელი მსახიობი.

ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფეებს მისცეს სასწავლებელში თემა შექსპირის ჰამლეტის დასახასიათებლად. კლასი ორად გაიყო: ზოგი ამტკიცებდა ჰამლეტი ძლიერი ხასიათის ადამიანია, ზოგი კი საწინააღმდეგოს.

სასწავლებელში ამის გამო დავა გაიმართა. მასწავლებელი არ მიეშველა, უნდოდა, მოსწავლეები თვითონ მისულიყვნენ საბოლოო დასკვნამდე. აი, მაშინ ერთმა მოწაფემ წინადადება მისცა ამხანაგებს წასულიყვნენ მესხიშვილთან ამ საკითხის გადასაჭრელად. რამდენიმე მოწაფე ქალი ორივე ბანაკიდან, აღელვებული, ლოყებაწითლებული მივიდა ლადოსთან. ლადომაც მასწავლებლის მხარე დაიჭირა: „თქვენვე გამოიცანით, შვილებო, ეს უფრო საინტერესო იქნება, მე მხოლოდ ერთ ფრაზას მოგაგონებთ ჰამლეტისას „სჯობს რომ საბუთი უფრო მტკიცე მეჭიროს ხელში“, ამ ფრაზას მიაქციეთ ყურადღება, რისთვის ამბობს ამას ჰამლეტი. რა სიყვარულით, რა ალერსით, რა ყურადღებით უსმენდა ჩვენს დავას ლადო, ახლაც იგონებს იმ დროინდელი მოწაფე. ლადოს თაყვანისმცემელი, ახლა თვითონ მოხუცი, დამსახურებული მასწავლებელი ანა ქავთარაძისა.

ლადო როდესაც ქუთაისში გასტროლებზე ჩამოდიოდა, ჩამოდიოდა კვირისათვის, ამ დღეს იყო წარმოდგენა. ორშაბათს ისევ თბილისისაკენ მიემგზავრებოდა. საერთოდ აცილებდა ხოლმე სადგურზე მისი მეგობარი მსახიობი მიხეილ ნემო (ჯანოევი). აი ამ ნემოს ნათხოვარი ჰქონდა მოწაფე ქალებისაგან, მესხიშვილი წმინდა ნინოს სასწავლებელთან გაეტარებინა. მატარებელი ბიდიოდა დილით, სწორედ გაკვეთილების დროს. ვინც პირველად დაინახავდა ეტლით მიმავალ მესხიშვილს, ნიშანს აძლევდა მოწაფეებს, ერთბაშად მთელი კლასი ფანჯარასთან ბიცვივდებოდა და შეიქნებოდა ტაშისცემა. ერთხელ,

ვაკვეთილი იყო მასწავლებელ იურკევიჩისა, რომლისაც ცეცხლივით ეშინოდათ მოწაფეებს, მაგრამ ისე ძლიერი იყო ახალგაზრდობაში მესხიშვილისადმი სიყვარული და თაყვანისცემა, რომ იურკევიჩისაც კი არ მოერიდათ; მისცვივდნენ ფანჯრებს, დააღეს და მიესალმნენ მესხიშვილს. მკაცრმა მასწავლებელმა ჯიბეში ხელი ჩაიწყო და ჰკითხულობს: „რა მოხდა? აა, არტისტმა მესხიშვილმა გაიარა, წავიდა არა? მაშ განვაგრძოთ გაკვეთილი“. იურკევიჩმაც იგრძნო, რომ გაგიჟებული ვიყავით, არანორმალურნი და წარმოიდგინეთ, არ დაგვსაჯა—იგონებს იგივე ანა ქავთარაძისა.

როგორც სცენაზე, ყოველი ნაბიჯი კეთილშობილი იყო ლადოსი, ასეთივე კეთილშობილური სული ტრიალებდა მის ოჯახში. მის ოჯახში რომ მივიდოდი, სიმშვიდეს, სითბოს ვგრძნობდი ხოლმე. თვითონ ლადო. მისი მეუღლე ზინაიდა ნიკოლოზის ასული და ორი მტრედივით გოგონა ნინო და ვარია. ზინაიდა ნიკოლოზის ასული ნამდვილი მეგობარი იყო თავისი მეუღლისა. ყოველნაირად დამხმარე მუშაობაში, ოჯახში, ერთგული მეუღლე, სამაგალითო დედა. ცხოვრობდა ეს ოთხი ადამიანი, დიდი და პატარა, თანხმობით, ტკბილად. მესხიშვილი იმის გარდა, რომ დიდად ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი იყო, ამავე დროს კარგი მამაც იყო ბავშვებისათვის; ხელოვნების ატმოსფეროში ზრდიდა, უნდოდა, რომ მისი გზა მის შვილებს განეგრძოთ. საშუალო სწავლას აძლევდა, რომ შემდეგ შესძლებოდათ უმაღლესი სწავლის მიღება, რომ ასე მომზადებულნი მიეყვანა იმ სამსხვერპლოზე, სადაც თავისი სიცოცხლე შესწირა.

ადვილი არ იყო მისთვის შვილების გამოზრდა. ბევრჯერ გასჭირვებია სწავლის ფულის შეტანა სასწავლებელ-

ში, მაგრამ ბევრს იკლებდა თავისთვის და შვილებს კი არ აკლებდა. ერთადერთი წელის გასამაგრებელი მისთვის იყო ბენეფისი და აი, ბენეფისის მეორე დღესვე გარბოდა სასწავლებელში, რომ ბავშვების სწავლის ფული შეეტანა. ხშირად ბენეფისის შემოსავალი ვალებში მიდიოდა და ისევ ისე ჯიბეცარიელი რჩებოდა, მაგრამ გულს არ იტეხდა. „ლადო, არაფერი აღარ დარჩა, ხვალ სადილის ფულიც კი არ არის“,—ეტყოდა ხოლმე მეუღლე. „არა უშავს რა, ჩემო კარგო, კიდევ რამეს მოვახერხებთ, შიმშილით არ მოვკვდებით“.

ლადომ უკვე მოხუცებულმა დატოვა ეს ტკბილი ოჯახი და სხვა ქალს დაუკავშირდა, მაგრამ არც შვილები დაუტოვებია უყურადღებოდ და არც ცოლთან შეუწყვეტია მეგობრული კავშირი. მახსოვს, ლადოს გარდაცვალების ათი წლისთავზე სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადა ცოლ-შვილმა დიდუბის პანთეონში და ზინაიდა ნიკოლოზის ასული ცხარე ცრემლით დასტიროდა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. მესხიშვილის ქალს ნინოს ვუთხარი: „საკვირველია, რა ტანჯვა მიაყენა ლადომ ზინას, ამის გულში კი, ეტყობა, ისევ დარჩენილა ღრმა გრძნობა.“ „ნუცა, მამამ განა იმიტომ დატანჯა დედა, რომ ის ცუდი კაცი იყო? არა, მამაჩემი სუსტი ნებისყოფის კაცი იყო და იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი“,—მიპასუხა მან. ლადოს სუსტი ხასიათი ამ შემთხვევაში წელგამაგრებული აღმოჩნდა იმ ახალი პიროვნებით, რომელიც შეიჭრა მის მყუდრო და ლამაზ ცხოვრებაში. სხვა შემთხვევაში მას უფრო კეთილი სირბილე ახასიათებდა, ვიდრე სისუსტე. საერთოდ უწყინარი ადამიანი იყო და არ შეეძლო სხვისი წყენა; თუ ასეთი ამბავი მოუხდებოდა ვინმესთან ხანდახან, მაშინვე ცდილობდა გამოესწორე-

ბინა დარღვეული კეთილი განწყობილება და ამას შეუშ-ჩნევლად, ფაქიზად ახერხებდა.

რევოლუციის ქარიშხალი საბედისწერო შეიქმნა ლადო მესხიშვილისათვის; ქარიშხალმა, რომელმაც ლადო სულიერად აღაფრთოვანა, ამავე დროს ფიზიკურად დაასუსტა—მოტეხა. 1919-20 წლებში რუსეთში იყო. საქართველოსაკენ მძიმე მოგზაურობამ გავლენა იქონია უკვე მოხუცებულ კაცზე. თბილისში ჩამოვიდა 1920 წლის, ზაფხულში. ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა მსახიობი დ. აბდუშელიშვილი:—ქ-ნო ნუცა, მიშამ (ჩემი მეუღლე) გთხოვათ რესტორან „ქიმერიონში“ წამოხვიდეთ. ძალიან გამიკვირდა, „ქიმერიონის“ სტუმარი მე არ ვყოფილვარ, რა მოხდა? რისთვის მიბარებს? —„ლადო ჩამოვიდა, და ყველა ჩვენი მსახიობი იქ არის ლადოს პატივსაცემად, მხოლოდ თქვენ გვაკლიხართ“. რა თქმა უნდა, ძალიან გამეხარდა. საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი და წავედი საყვარელი მასწავლებლი სანახავად. დარბაზში რომ შევედი დავინახე უზარმაზარი მაგიდა, ირგვლივ შემომსხდარნი ჩვენი ქართველი მწერლები და მსახიობები, მაგიდის თავში იდგა ლადო, სიტყვას ამბობდა და რომ შევხედე, გული შემეკუმშა... გამხდარი, დაბერებული, თითქოს დაპატარავებული... არ მინდოდა სიტყვა შემეწყვეტინებინა, ბოძს მინდოდა ამოვფარებოდი, მაგრამ რატომღაც მობრუნდა და დამინახა:—„ნუცკი, შენ გენაცვალე, ისევ გხედავ, რა ბედნიერებაა“ და გულში ჩამიკრა, მიკოცნის ხელებს, სახეს და მდუღარება გადმოსდის თვალებიდან. ასე მამათუ შეხვდება შვილს. სუფრასთან მსხდარნი ყველანი ფეხზე წამოდგნენ; არა ერთ და ორ ვაჟს გადმოსცვივდა ცრემლი ამ სცენის დანახვაზე. თითქოს ეს შეხვედრა ლადოსთან ჩემი გამოთხოვებაც იყო. ლადო ისე მოუ-

ლოდნელად, ორი დღის ავადმყოფობით გარდაიცვალა, რომ მე ავადმყოფობაც კი არ გამიგია.

მესხიშვილი ძალიან მოტეხილი ჩამოვიდა რუსეთიდან, მიუხედავად ამისა, მაინც გამართა წარმოდგენები. ერთი მხრივ კიდევ უნდოდა საზოგადოებას ჩვენებოდა და მეორე მხრივ მატერიალური მდგომარეობაც აიძულებდა. ვითამაშეთ ისევ ერთად „შეშლილი“, „ინსტიქტი“ და გამოტეხით უნდა ვთქვა, თუ წინათ ჩემთვის ლადოსთან თამაში დღესასწაული იყო, თუ მისი მომჯადოებელი თამაში მეც აღმაფრთოვანებდა ხოლმე, ამ ხანად უკვე სატანჯველი იყო. ლადოს უკვე ღონე აღარ ჰქონდა, აღარ იყო მესხიშვილისებური ცეცხლი. მე ამას ნათლად ვხედავდი და უზომო ტანჯვას განვიცდიდი. ბათუმშიც წავედით, იქაც ვითამაშეთ, მაგრამ იგივე სიცივე ვიგრძენი, რაც თბილისში. მას შემდეგ ლადო რამდენიმე დღე არ მინახავს. ერთ დღეს შინ მოვიდა ჩემთან მეუღლე (მ. ქორელი) ძალიან აღელვებული.—„რა მოგვიდა?“—ვეკითხები. „ნუცა, ძალიან სამწუხარო ამბავი უნდა გითხრა, ლადო გარდაიცვალა!“... გიჟივით გავიქერ სახლიდან, ღრიალით გავიარე რუსთაველის პროსპექტი და იქიდან ჩავუხვიე სადღაც მიყრუებულ ქუჩაში. მესხიშვილის კართან ჩვენი სცენის მამა ვასო აბაშიძე დამხვდა, გულმოკლული თავისი ძველი ამხანაგისა და მეგობრის გარდაცვალების გამო.—„ნუცა, შენა ხარ? შედი, ქაჯან, ნახე ჩვენი ლადო“ და ცრემლი გადმოსცვივდა. შეევედი ნახევრად ბნელ ოთახში, სადაც ლადოს ცხედარი დამხვდა. მისი მშვენიერი თვალები სამუდამოდ დახუჭულიყო.

თავი მეხუთმეტე

მაკო საფაროვი

მე რომ სცენაზე გამოვედი, მარიამ საფაროვ-აბაშიძისა უკვე დაავადებული იყო, ყურთა სმენას მოკლებული იმდენად, რომ ჩემი ხმა არ ესმოდა სცენაზე. ნიშანი გვქონდა: როცა მე გავათავებდი ჩემს სიტყვებს, თავი მარჯვნივ ან მარცხნივ უნდა გადამეხარა, ამით მიმეცა ნიშანი, და ისიც განაგრძობდა თავის როლს. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობაში მუშაობა მისთვის ძალიან სამძიმო იყო და ჩქარაც ჩამოშორდა თეატრს. ამრიგად მე არ მქონდა ბედნიერება მასთან დიდხანს მემუშავნა. მიუხედავად ამისა, ახლაც თვალწინ მიდგას ძვირფასი მაკო, სიცოცხლით სავსე, ცეცხლის მფრქვეველი თვალებით, მუდამ მოძრავი, ენერგიული. ვისაც ერთხელ უნახავს ის სცენაზე, იცის, თუ რა დიდი ხელოვანი იყო. მაკო ეკუთვნის იმ დიდ ბუმბერაზთა რიცხვს, როგორიც იყვნენ ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, კ. მესხი, კ. ყიფიანი და სხვა, რომელთა შემოქმედების გაცნობა საჭიროა ახალგაზრდობისათვის.

მაკოსთანა მსახიობი იშვიათად ეღირსება თეატრს. ბევრი მსახიობი მინახავს როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და საზღვარგარეთაც, მაგრამ ვერავის ვერ შევადარებ მაკოს. მახსოვს, მხოლოდ უკრაინელი მსახიობი ქალი ზანკოვეცკაია, რომელსაც უკრაინა ახლაც უკრაინის

დუზეს უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხასიათის მსახიობები იყვნენ, საერთო ბევრი რამ იყო მათ შორის.

ახალგაზრდები, რა თქმა უნდა, დიდი მოწიწებით შევყურებდით, მისგან ვსწავლობდით. ბევრი ჩვენგანი ვბაძავდით კიდეც, მაგრამ მაკოსთანა ვერც ერთი ვერ გამოვედით. თვით ისეთი დიდად ნიჭიერი მსახიობიც კი, როგორიც არის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ტასო აბაშიძე დედას ვერ უტოლდებოდა.

მახსოვს „აღლუმში“ მაკო ნუცას თამაშობდა, მე კი ლიზას. მისმა თამაშმა ისე გამიტაცა, რომ სრულებით დამავიწყდა რომ სცენაზე ვარ. მივაშტერდი მას და რეპლიკას აღარ ვაწვდი, სანამ თვითონ არ წამჩურჩულა— „ქალო, რა მოგივიდა“. მე გაშტერებული შევყურებდი. მაკო არ გამიჯავრდა ამისთვის, იცოდა, რომ ეს როლის უცოდინარობით არ მომსვლია.

მე ძალიან მოხარული ვარ, რომ უკვე ღრმად მოხუცებულ მაკოს 1940 წელს საღამო გაუმართეს, მოხარული ვარ, რომ აცნობენ ახალგაზრდობას ძველი თეატრის დიდ ხელოვანს.

თავი მეთექვსმეტე

ვალერიან გუნია

ვინც იცნობს ძველი ქართული თეატრის ისტორიას, იცნობს ვალერიან გუნიასაც. იცის, რომ ის მართლაც ქართული თეატრის გაჭირვების ტალკვესი იყო: დრამატურგი, რეჟისორი, არტისტი. როგორც შვილს, ისე თავს ევლებოდა, ელოლიავებოდა ჩვენს საყვარელ თეატრს, სადაც თამამად გაისმოდა ქართული სიტყვა.

რაც უნდა უმნიშვნელო როლი ყოფილიყო, თუ ეს პიესისათვის საჭირო იყო, ვალერიანი დაუზარებლად კისრულობდა.

მახსოვს 1909-1910 წლის სეზონი ქუთაისში ვ. გუნიას რეჟისორობით. სეზონი იყო ბრწყინვალე და ხალხიც სიამოვნებით ავსებდა დარბაზს წარმოდგენაზე. იმ სეზონში დაიდგა შილერის „მარიამ სტიუარტი". ვალერიანმა ჯალათის უსიტყვო როლი არ ანდო ახალგაზრდა გამოუცდელ მსახიობს, ვაითუ რამე შეცდომა დაუშვას და სასჯელის სცენამ სათანადო შთაბეჭდილება არ მოახდინოსო და ეს არასასიამოვნო უსიტყვო როლი თვითონ იკისრა. და აი, როდესაც ჯალათმა (ვ. გუნია) ცული აღმართა პიესის გმირი ქალის თავის მოსაკვეთად, ხალხში გაისმა—არა, არა, ნუ მოჭლავ! იმდენად ძლიერ იყო შთაბეჭდილება.

მე დიდი სიამოვნებით და მადლობის გრძნობით ვიგონებ იმ სეზონს. ვალერიანის ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ნიჭი ჩვენს თეატრს წელს უმაგრებდა და ხელს უწყობდა. მისი ინიციატივით დაიდგა „მარიამ სტიუარტი“, მისივე რჩევით ავირჩიე საბენეფისოდ დიუმას „მარგარიტა გოტიე“. სხვათა შორის ეს პიესა ვ. გუნიამ და ალ. იმედაშვილმა ორ დღეში გადამითარგმნეს. ეს თითქმის დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ამ ორი ადამიანის არაჩვეულებრივმა ენერგიამ, განსაკუთრებით ვ. გუნიასმა, შესძლო ამ საქმის შესრულება.

ვ. გუნია უსათუოდ ნამდვილი ქართველი იყო სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. იყო როლები, რომლებსაც კი არ თამაშობდა, არამედ განიცდიდა, როგორც ქართველი. ასეთი იყო მაგალითად, ოთარ ბეგი „ღალატში“. ვალერიანის ოთარ-ბეგი უბადლოა. არასდროს არ დამავიწყდება მისი სახე, მისი ხმა, მისი განცდა, მისი ცრემლები მესამე მოქმედებაში ზეინაბთან დიალოგის დროს. ის არ თამაშობდა, სცენაზე იდგა ქართველი, რომელიც განიცდიდა საქართველოს ჭირ-ვარამს. 1919 წელს „ღალატის“ წარმოდგენას ამ პიესის ავტორი ა. სუმბათაშვილ-იუჟინი დაესწრო. დაწყების წინ ვალერიანს მღელვარებით გული შეუღონდა. სამაგიეროდ ითამაშა ისე, რომ სუმბათაშვილი, რომელიც ოთარ-ბეგს მოსკოვში, მცირე თეატრში თამაშობდა, თვალცრემლიანი გადაეხვია ვალერიანს და უთხრა: „მე შენგან უნდა ვსწავლობდე ოთარის თამაშს“.

ერთხელ მესამე მოქმედების დიალოგის დროს სიტყვები ამერია და საშინლად ავღელდი. ჩურჩული მესმის-კარგია, ძალიან კარგია... რა ვქნა, ვფიქრობ, რა არის კარგი, როცა ტექსტი სულ ავრიე. ეს მისი შექება რა თქმა უნდა, იმისათვის იყო, რომ დავემშვიდებინე და

ფალერიან გუნია

ხელი შეეწყო ჩემთვის. მოქმედების დასრულების შემდეგ მითხრა: „ვერ წარმოიდგენ, როგორ შეუწყო ხელი აღელვებამ შენს თამაშს“.

შეუმცდარი არავინ არა ვართ და ერთი პატარა ეპიზოდი უნდა გიამბოთ „ღალატის“ გამო. წარმოდგენა დაიწყო. ოთარ-გუნია სცენაზეა, მე ზეინაბს ვთამაშობ. გამოვედი სცენაზე და პირველი სიტყვით მივმართე: ოთარ-ბეგ, გაიანეს გამოგზავნაც არ დაგავიწყდეს! ოთარი სალამს მაძლევს, მაგრამ რაღაც არაჩვეულებრივ სალამს, თითქოს ქალური რევერანსია. ვაკვირდები, თვალები უცინის... რა ვქნა, რა მოსდის, ნუთუ მხიარულ გუნებაზეა? ავღელდი, განვაგრძე თამაში... სიტყვა არ ერევა, ყველაფერი რიგზეა... მაგრამ ეჭვი მაინც მაწუხებს... ნუთუ?... მოქმედება რომ დამთავრდა, ვალერიან შალიკაშვილს მივვარდი, პიესის რეჟისორს: „ვალიკო, ძალიან ეტყობა გუნიას? ნუთუ ნასვამია?“ „არაფერი არ ეტყობა, ყველაფერი მშვენივრად არის!“ ვხედავ ისიც მხიარულ გუნებაზეა. ახლა გამგეობის თავჯდომარეს, სოსო გედევანიშვილს შევკითხე: „ბ-ნო სოსო, თქვენ პარტერიდან უყურებდით, როგორ მოგეწონათ პირველი მოქმედება? ხალხმა ხომ არ შეატყო გუნიას?“— „არა, ქ-ნო ნუცა, მშვენიერი წარმოდგენაა, არა, ჩვეულებრივად კარგი“. ვხედავ, რომ თავჯდომარეც არაჩვეულებრივად მხიარულია. ამ დროს კულისებში შემოვიდა ჩემი შვილის ნათლია, გამგეობის ხაზინადარი-არჩილ ავალიშვილი. ახლა ამას მივმართე: „არჩილ თქვენ, მართალს მეტყვით, ძალიან ცუდი იყო პირველი მოქმედება?“ „ნათლიდედ, ახლა მე ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ყველაფერი კარგად მეჩვენება“. ვხადავ, რომ ესეც ძალიან მხიარულ გუნებაზეა. მერე გავიგე, რომ სწორედ იმ დღეს რაღაც თეატრისათვის კარგი საქმე გაკეთებულა

და თავჯდომარეს, ხაზინადარს, რეჟისორს და მსახიობებს, ამის გამო, ერთად უსადილნიათ და ღვინოც მიურთმევიათ. ვალერიანი მალე დადგა ოთარ-ბეგის შესაფერ გუნებაზე და ჩვეულებრივი გულწრფელობით ითამაშა როლი. ჩემზე კი ანეგდოტი დადიოდა დასში, როგორ ეძებდა ნუცა ჩხეიძე სამართალსო.

მის მიერ გადმოქართულებულ პიესაში „აღლუმში“ და „პირველ ბუზში“ ის თამაშობდა ქართველ სამხედრო პირებს—გენერლებს. ორივე როლში ვალიკო უბადლო იყო თავის დაჭერით, მოქცევით, განცდით, სიდინჯით; ნამდვილი ქართველი იყო.

ხშირად უცხო პიესებშიც თამაშობდა: ზუდერმანის „მშობლიურ ჭერქვეშ“ მამას-შვარცეს და „უბედურ ნაბიჯში“ როტმისტრ ბალავინს. ორივე პიესაში მეც ვთამაშობდი და ჩემთვის დაუვიწყარია ის დაკმაყოფილება, ის სიხარული, რასაც მე განვიცდიდი, როგორც მსახიობი, როგორც პარტნიორი და ადამიანი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ვ. გუნიას ერთი თვისება. არავისთვის საიდუმლო არ არის, თუ როგორ უყურებდნენ წინანდელ დროში მსახიობ ქალებს „ბრწყინვალე“ საზოგადოებაში. და აი, ვ. გუნია როგორც ქორი თავის ბარტყებს, ისე დაგვყურებდა? თვითონ უყვარდა ლხინი, ქეიფი, მაგრამ აი ჩვენთან, როგორც მამა, ისე იყო. ეს განსაკუთრებით ჩანდა მოგზაურობის დროს. ვინ გაბედავდა, უხეშად მოგვქცეოდა? ღირსეულ პასუხს ვალერიანისაგან მიიღებდა.

ერთხელ მახსოვს სამტრედიაში ჩავედით. მივედით სასტუმროში. რაღაც საშინელებას წარმოადგენდა ეს სასტუმრო: ძველი ხის შენობა, უსუფთაო, ბუზით სავსე. მხოლოდ ერთი ოთახი იყო თავისუფალი. მითხრეს, ერთი ორი საათის შემდეგ მატარებელი ჩამოივლის და

ოთახებიც დაიცლებაო. გადაწყვიტეს, რომ ამ თავისუფალ ოთახში ქალებს მოგვათავსებდნენ, მამაკაცები კი დაუცდიდნენ ოთახების განთავისუფლებას. ოთახში რომ შეეედი, გვერდით ოთახიდან მომესმა ქალების კისკისი, მამაკაცების ხარხარი. ვიფიქრე, ალბათ, სამხედრო პირები არიან თავიანთი ოჯახებით და ისინი მხიარულობენ-მეთქი. რატომღაც ასეთი წარმოდგენა მქონდა, რომ სამხედროები ძალიან მხიარულები არიან. გუნიამ შემოიხედა ოთახში და ზვეუბნება: იცით რა, მოდით აქ, გამოდით შუშაბანდში და ჩვენთან იყავით. რა თქმა უნდა, გავუგონეთ და შუშაბანდში ჩამოვჯექით. ამ დროს, ვხედავ, მეზობელი ოთახიდან გამოდის თმააწეწილი, არაჩვეულებრივად მორთული ქალი. დანახვა ვერ მოვასწარი, რომ ვალერიანმა ჩამავლო ხელი, მომატრიალა და სხვა ქალებთან ერთად ოთახში შემაგდო. ჯერ ვერ გამოვერკვიე, რაში იყო საქმე. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, დაფიქრების შემდეგ მივხვდი, რომ ის ქალი იყო მსუბუქი ყოფაქცევისა და გვერდით ოთახში ისინი მხიარულობდნენ. აი, ასეთი მამობრივი გრძნობით გვექცეოდა ვალერიანი სხვა უფროს ამხანაგებთან ერთად. და, მე უკვე მოხუცებული, მათი მოწაფე, სიყვარულით და მადლობის გრძნობით ვიგონებ მათ.

თავი მეჩვიდმეტე

შალვა დადიანი

53 წლის წინათ ახლად ულვაშაკოკრებული, თმახუჭუჭა ჭაბუკი, შალვა (ქუჯი)[1] მივიდა კოტე მესხთან ძველ ქართულ თეატრში, რომ თავისი ახალგაზრდული ენერგია შეელია საყვარელი საქმისათვის, მშობლიური თეატრის სამსახურისათვის.

სხვა ამხანაგებთან ერთად უღელში შებმული შეუდგა მძიმე გზას. სამუშაოს ნიადაგი მკვიდრი არ იყო, არც „ამინდი“ უწყობდა ხელს. ძველ ქართულ თეატრს მუდმივი სენი—ხელმოკლეობა თან სდევდა. ხშირად დაცინვაც გადაუტანია იმ ხანაში მსახიობს. ვერაფერმა ვერ შეაშინა ჩვენი შალვა, დიდი ნიკო დადიანის შვილი. ის მაინც განაგრძობდა სხვებთან ერთად მძიმე უღლის წევას. 70 წელზე გადაბიჯებულ შალვას მუშაობას რომ გადახედავთ, მისი მრავალფეროვანი და დიდად ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა თვალწინ წარმოგიდგებათ. მსახიობი, რეჟისორი, თეატრის ხელმძღვანელი, დრამატურგი, სიტყვაკაზმული ლიტერატურის დიდი ოსტატი, პოლიტიკური მოღვაწე და დიდად სასიამოვნო მოუბარი—ეს ლამაზ ყვავილთა თაიგულია.

---

[1] ქუჯი—შალვას ფსევდონიმი იყო.

მე ვერ ვიკისრებ შალვას შრომა-მოღვაწეობის გარჩევა-დაფასებას. ამ დიდ საქმეს სხვები შეასრულებენ. მე კი მსურს სიყვარულით და წრფელი გულით მადლობა გადავუხადო „გიორგი რუსის“ დამწერს. დიდი მადლობა „ნაპერწკლიდანის“, „გუშინდელნის“, „შენი ჭირიმეს“, „თეთნულდის“ და მრავალი სხვა ნაწარმოებთა ავტორს.

ჭეშმარიტად ბედნიერია ჩემი დიდი ხნის ამხანაგი. ვინ იფიქრებდა წინათ, რომ ძველი უუფლებო ქართველი მსახიობი თავისი დაუღალავი შრომით ასე მაღლა ავიდოდა. თუ სიყმაწვილეში ბევრი ჭირ-ვარამი გამოსცადა, დღევანდელი მოვერცხლილი მოხუცებულობა მშვენიერი აქვს. ჩვენი ხელისუფლება, აფასებს რა შალვას, მის შრომას ყოველნაირად პატივს სცემს და უზრუნველყოფს. შალვას საყვარელ ქართველ ხალხს, იგი დიდად უყვარს, პატივს სცემს მას.

ჩემი სურვილია, შალვამ კიდევ დიდხანს იცოცხლოს, არა მარტო იმიტომ, რომ დღეს სიცოცხლე კარგი და სასიხარულოა, აგრეთვე იმისთვისაც, რომ გვინდა კიდევ ბევრი გაგვაგონოს და წაგვაკითხოს თავისი დახვეწილი, ლამაზი ქართულით დაწერილი და კიდევ იმისათვის, რომ საშუალება მოგვცეს ნიკო დადიანიდან დაწყებული, მრავალი წლის ნანახი და გაგონილი, მოგონებების სახით ხალხს გააცნოს. ეს იქნება დიდი საჩუქარი, ხალხისათვის.

ბოლოთქმა

ადვილი არ ყოფილა მოგონებათა დაწერა და ისიც ხანდაზმული ადამიანისათვის. მე უკვე 70 წელს მივაღწიე და ცხადია გამიჭირდებოდა ყველა იმ ამბის გახსენება, რის მოწმეც ვიყავი. მაპატიებენ ის ამხანაგები, რომელთა თვალსაჩინო მოღვაწეობაც სათანადოდ ვერ გავაშუქე, რას იზამთ, ძნელი ყოფილა სიბერე, განსაკუთრებით მსახიობისათვის, რომელსაც სიკვდილამდე ვერ დაარწმუნებთ, რომ დროს თავისი გააქვს და მას არ ძალუძს ემსახურო'ს იმ საქმეს, რასაც ეთაყვანებოდა. ხანდაზმული მსახიობი მხოლოდ მოგონებებით ცოცხლობს და ეს მოგონებები კი მეტისმეტად მდიდარი იყო ჩემს ცხოვრებაში. ბედმა კარგი სიბერე მარგუნა და ჩემს ბედნიერებას სასღვარი არ ექნებოდა, რომ ამ ერთი წლის წინათ ფრთა არ მომტეხოდა და ჩემი საყვარელი მეუღლე, ჩემებრ თეატრით გატაცებული და მისი ერთგული მსახური, არ განშორებოდა ამ წუთისოფელს. მთელ ჩვენს ოჯახს თამამად შეიძლება ეწოდოს თეატრის მსახურთა ოჯახი. დედა და ჩემი და თეატრის მუშაკები იყვნენ. ჩემი მამამთილი ფილიმონ ქორიძე პირველი ქართველი პროფესიული მომღერალი მსახიობი. ჩემი მეუღლე თეატრის რეჟისორი და მსახიობი. ჩემი ორივე ქალი მსახიობი, ვაჟი კინოს მუშაკი. ჩემი ორივე სიძე ქართული თეატრის თვალსაჩინო მუშაკები არიან. უფროსი ქალის მეუღლე ხელოვნების დამსახურებული

მოღვაწე რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი, უმცროსი ქალის მეუღლე სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე. მგონია ჩემი შვილიშვილებიც მშობლების გზას დაადგებიან. მე სცენაზე მუშაობა იმ პერიოდში დავიწყე, როცა მსახიობის პროფესია არ იყო სახარბიელო და ერთგვარ თავდადებას მოითხოვდა ადამიანისაგან. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დიდი ოქტომბრის რევოლუციის მზის სხივები თეატრსაც უხვად მოეფინა და მსახიობობა სასახელო და საამაყო პროფესია გახდა. პარტია და მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას უწევს თეატრს და ყველა პირობას უქმნის თეატრის მუშაკებს იყვნენ ხალხის ღირსეული მსახურნი. მთავრობა ასევე დიდი მზრუნველობით ეკიდება ხელოვნების ძველ მუშაკებს და მეც ერთი იმ პირთაგანი ვარ, რომლის მუშაობაც სათანადოდ არის დაფასებული. ჩვენმა მთავრობამ 1925 წელს დამაჯილდოვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო სახელწოდებით, გაძლიერებული პერსონალური პენსია დამინიშნა, ჩემი საყოფაცხოვრებო პირობები გამიუმჯობესა. ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის 100 წლის თავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინის ორდენით ვარ დაჯილდოებული. წინათ კი დაჯილდოებული ვიყავი შრომის წითელი დროშის ორდენით. თვით ის ფაქტი, რომ თეატრალურმა საზოგადოებამ მომმართა წინადადებით დაეწერო ჩემი მოგონებანი, მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენში ყოველივე შრომა ღირსეულად ფასდება. მიხარიან, რომ დიდ აღმავლობას განიცდის ჩვენი თეატრი, მიხარიან, რომ ჩვენ სცენას ასობით ამშვენებენ სცენის ოსტატები. ჩვენი ბედნიერი ეპოქის სცენის ოსტატებს და თეატრის მუშაკებს თუ ეს მოგონებანი ოდნავ მაინც დააინტერესებს, ავტორი თავის პატარა მისიას შესრულებულად ჩათვლის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ უ ც ა ჩ ხ ე ი ძ ე—შესავალი წერილი ა. ბურთიკაშვილისა. 5
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი—ბავშვობა და პირველი ნაბიჯები 21
თ ა ვ ი მ ე ო რ ე—დებიუტი დედაქალაქის თეატრში. „ივერიის“ რეცენზია. ა. სუმბათაშვილის „ბორკილები“. ემილიას როლი „ოტელოში“. დიდ ილიასთან შეხვედრა. ილიას მეუღლე ოლღა თადეოზის ასული. ეკატერინე გაბაშვილი. გუნიას „პირველი ბუზი“. რაფიელ ერისთავის იუბილე 37
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე—მესხიშვილის სეზონები. თეატრის უჩინარი მუშაკნი. შილერის „მარიამ სტიუარტი“. განცდა. 44
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — მოგზაურობა პროვინციებში. ჩვენს რიგებს ახალი ძალები ემატებიან. პირველი გასტროლები დედაქალაქში. 61
თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე—კვლავ მშობლიურ ქუთაისში. დრამატული საზოგადოების 1903-04 წლის სეზონი. აკაკის დადგმები. „ღალატი“ ქართულ სცენაზე. დასიდან ჩემი გასვლა. „მოცლილი კაცის“ წერილი. კოტე მესხის პასუხი. ჩემი წერილი რედაქციის მიმართ. 71
თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე—წარმოდგენები ბაქოში. ჩემი გამოსვლა ზეინაბის როლში. უცხოეთში გამგზავრება. 91

თავი მეშვიდე—მ. ქორელის სეზონები. 103
თავი მერვე—კვლავ ქუთაისის დასში. ჩემი მონაწილეობა კომედიებში. ზუბალაშვილის სახლი. თელავი. ა. სუმბათაშვილი თბილისში . . 115
თავი მეცხრე—ჩემი იუბილე. 121
თავი მეათე—დიდი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი. ჩემი მარცხი ლაურენსიას როლში. დასიდან წასვლა. 125
თავი მეთერთმეტე—სახკინმრეწვი. 133
თავი მეთორმეტე— სანკულტურის თეატრი. გამოთხოვება. 137
თავი მეცამეტე—კოტე მესხი 143
თავი მეთოთხმეტე—ლადო მესხიშვილი . . 152
თავი მეხუთმეტე—მაკო საფაროვი 169
თავი მეთექვსმეტე—ვ. გუნია 171
თავი მეჩვიდმეტე—შალვა დადიანი . . . 177
ბოლოთქმა 179

რედაქტორი შ. დადიანი
ტექნიკური რედაქტორი თ. მაჩფორია
კორექტორი ნ. ხელაძე
საკონტროლო კორექტურა ნ. ჩიქოვანისა

გადაეცა წარმოებას 14/XII-50 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IV-51 წ. ანაწყობის ზომა 5×8 ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 11½

უე06256 ტირაჟი 3000 შეკვ. № 2759

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობის გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5